

აიჯნა

№1 (16) იანვარი, 2020 წელი



ტმეჩიო,
მომეცა მოიმინება, ჩათა ავიჯანო ახ,
ჩიხი შევვლას აჩ შემიძლას,
გამბედაობა, ჩათა შევვალთო ახ, ჩიხი
შევვლას შემიძლას და გონიერება,
ჩათა გავაჩიხო ჰინველი მეორეხვან!

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (16), იანვარი, 2020

დამფუძნებელი, პროექტის

ავტორი და გამომცემელი:

თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა

„მიჯნა“, რეგისტრაციის

№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



ს ა რ ჩ ე ვ ი

გილოცავთ!

ლავა გვასალა

ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო 3

კლასიკა

ნობელიანტი მწერლების სიტყვები
ნობელის პრემიით დაჯილდოებისას 5

ანდრე ჟიდი

თქვენ დააფასეთ დამოუკიდებლობის
სულისკვეთება 5

ტომას სტივენს ელიოტი

სიმბოლო პოეზიის სიდიადისა 6

უილიამ ფოლკნერი

დაუდუმებელი ხმა ადამიანისა 7

პროზა

ლავა გვასალა

სიყვარულის ამბავი 8

მადლიერება

დემეტრეს მამის მადლიერების ბარათი
ბათუმს! 13

პოეზია

ეკატერინე სოჭოლავა

ლექსები 14

თანამედროვეობა და პოლიტიკა

ჯემალ შონია

მართალი წიგნი ქართული სახელმწიფოსა
და დემოკრატიის თანამედროვე
პრობლემებზე... 17

ინტერვიუ

კახა ქაცვანია

რატომ ფრიდრიხ ნიცშე და
კონსტანტინე გამსახურდია? 29

კრიტიკა

მურმან ზაქარაია

კოლხ-იბერული ერთიანობის
მაიდენტირებელი შემოქმედებითი
სამერთიანობა 34

კონსტანტინე ვაკუა

რას გვიამბობს მაფშალია? 51

წიგნის თარო

მარინე ღამენია

ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში 53

პოეზია

თორნიკე ქავშავაია

თავაშვებულობა 63

თარგმანები

ნარლზ ბუკოვსკი

ლექსები 67

ჩვენი სტუმრები

იგორ ავანესოვი

ლექსები 75

რაისა მუზიჩენკო

ლექსები 78

ეთერი აგარონოვა

ლექსები 80

ეველინა ბაბი

ლექსები 82

ღიანა ბაბი

პროზა 84

ტაშკანტის 25-ის მოღვაწენი 86

უხი ჩემი კვალი ანგელოზისაო...

მოგონებები რომ დაგიხვავდება ადამიანს, ე, მაშინაა თურმე ცუდად საქმე! ერთი დიდი ნაბიჯი გაქვს გადადგმული მხცოვანებისკენ. კარგია ეგეც, სად გინდა გაექცე ნლების სიჭარბეს, მაგრამ ახალგაზრდობას არაფერი სვლობია, კამკამა და ხასხასა სიყმანვილეს, დარდს გაქცეულ სილამაზეს და უკიდევანო ოცნებების ჟამს. იმდენი რამ დამიგროვდა გასახსენებელი და მოსაყოლი...

ამასწინებზე სასაფლაოები მოვიხილე, ჩვენი გულისა თუ ფიქრის პანთეონები, იმდენი კარგი ადამიანია წასული ჩვენგან, იმდენი ცამალალი ქართველი, სული შეგიგუბდება კაცს. თითოეული მათგანი თითო კარგი მოთხრობა ან ნოველაა, ლექსი თუ რეკვიემი. ტკივილიანია ცხოვრება ამიტომაც. მოდიხარ გზაზე, ხშირად უსიერ ტყეში და ადამიანები, რომლებიც თან გსდევდნენ, ხელს გიმართავდნენ, სიტყვას შეგანევდნენ, ჭიქას გიჭახუნებდნენ და გულს გიყოფდნენ, ნელ-ნელა ჩამოგეცლებიან... მადლობა ღმერთს, ცხოვრება გრძელდება, სხვები მოდიან და ახლა შენ ჩადგები წამსვლელთა რიგებში, მაგრამ ისიც ხომ ცოდვაა, ვისაც მე ვეიმედები, ვუყვარვარ, ჩემი სჯერა და რომ წავალ თავის დროზე, გული ეტკინება, ცრემლი ბურთად დაეგუბება... რას ვიზამთ, ერთმანეთის გამცილებლად გავუმნესებივართ ამ ცოდვილ მიეთ-მოეთში გამჩენს. ღმერთო, ერთმანეთის შემდგომი ადამიანები არ დაუღიო ჩემს ქვეყანას!..

მეც ხომ ვარ ურჯუკელი ვინმე, რა სევდიანი ნოტი ამიჟღერდა ამ გასახარ დროს, მისალოც ჟამს? გილოცავთ, ჩემო ძვირფასო ქართველებო, უსაყვარლესო კოლხებო, უფალმა კარგად მიმყოფოს თქვენი თავი, გახარებულად, ჯანმრთელად, ხვავრიელად და მზემოძალეზულად.

იციტ რა მენატრება? ათამდე კაცთან და ქალბატონთან, მორჩილ ტაბლასთან ჯდომა, ხორაგმოზომილად, მჭადისა და ყველის, შიშხათიანი მწნილების მომეტებით, თლილ ჭიქებში ჩამოსხმული საუფლო ღვინის დაგემოვნებით წრუპვა. ღმერთთან „გამოსაჩენი“ სადღეგრძელოების მიდევნებით, ჩუმი სიმღერების გულიდან გადმოღვრა და ლექსაობა...

აუჰ, როგორ მოუხდებოდა ამ ზამთრის-პირის ოჩოფეხობას, ბუხრის გიზგიზთან და კედლის ნოხქართულზე ჩამოკიდებულ რამეებთან ერთად.

ნაძვისხე და ჩიჩილაკიც გაახარებდა მზერას. ჰო, რაც თავი მახსოვს, შარშანდელის გამოკლებით, სულ ცოცხალი ნაძვისხეები გვიმშვენებდნენ ოჯახს შობა-ახალწელს, მაგრამ შარშან გაიმხარევა ჩემი ბავშვები მეუღლემ და დაიჯინეს, ხელოვნური გვირჩევნია, ის უფრო ლამაზი და მიმზიდველიაო. არა მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა, ახლანდელ პატარებს გენიოსები ჰგონიათ თავი და ადვილად ვერ გადაარწმუნებ, მით უფრო თუ დედაც უმაგრებს ზურგს და, ასე და ამგვარად, ჩემს სახლში შემოაბიჯა ბუტაფორიამ.

ყოველ წელიწადს შობის წინა დღეებში, მე და მამა მივდიოდით ტყეში და ვეძებდით ლამაზ ნაძვის ხეს. ისეთს, სიმღერას რომ წამოგანყებინებდა: „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო, ლამაზო და მშვენიერო...“ – ან დახატვა რომ მოგინდებოდა. თან, მამაჩემი ისეთ ადგილას გადაჭრიდა, აღმოცენება რომ არ გასჭირვებოდა, და სამ-ოთხ წელიწადში ისეც გამომდგარიყო საახალწლო დედოფლად. მამის გარდაცვალების მერე, მარტო დავდიოდი, ისეთი სიფრთხილითა და სიდინჯით ვარჩევდი „მოსართავ გოგოს“, გაოცდებოდით. ახლა კიდევ არაო და, ეჰე, მოიტანეს პლასტმასის, გასაბერი ქალივით მზერა მაცდური ნაძვის ხე. არა, ლამაზი არ არისო, ვინ ოხერი იტყვის, მაგრამ არა სუნთქავს, კაცო, მკვდარია. გამოხედვა არა აქვს, აი, ცოცხალი და მიმზიდველი გამოხედვა აკლია, კიდევ ტყიდან გამოყოლილი ველური სურნელი და მითების მოძალეზა... მაფშალია ხომ, სველ ფრთებს ზამთარში ნაძვის მარადმწვანე ტოტებზე იშრობს. ტყაშმაფას ქოხიც მისი ხშირი ტოტებითაა გადახურული... ეჰე-ჰეე, რამდენი რამის მომგონებელია ეგ საოცარი ხე-კეთილი... ამ დროს მიუარეს და დამჯაბნეს ოჯახისებმა...

ჩიჩილაკი – ოქრომრავალი კოლხეთის სიმბოლო – კოლხური ვერძის წარმოსახვა... ხმელი თხილის ტოტისგან აქუჩურებული სილამაზე. ბედობისთვის გამზადებული ატარია-კვერცხით, თხილის ხვიხვილით, ღერლილით, ხურდა

ფულით, კამფეტებითა და სხვა ტკბილეულით. ახლაც ჩამესმის ბედობის ღამეს მამაჩემის მიერ ლოცვად წარმოთქმული ღვთაებრივი სიტყვები. მასეთ რამეს სხვაგან ვერ მოისმენ. ახლა, მამაჩემის შემდგომ მე დამეკისრა ეს უდიდესი ტრადიციული მოვალეობა. ჩემს მერე დემეტრე გააგრძელებს, მერე მისი შვილები და შემოვუნახავთ თვალმიუწვდომ მერმისს ჩვენს საგვარეულო საახალწო ლოცვას!..

ორიოდე სიტყვით, პოლიტიკურ ორომ-ტრიალში ახმამაღლებულ, ქართული ჯარისა და ჯარისკაცის უარყოფის თემასაც უნდა შევეხო.

ქართველი დაბადებამდე ჯარისკაცია თავისი ბედკრული ქვეყნისა. დიახ, ასეა, რადგან სხვანაირად წარმოდგენაც შეუძლებელია. რომ ჩააკრავდნენ აკვანში ყრმას – საბრძოლო სახელს დაანათლავდნენ და წმინდა გიორგის საგვარეულო ხატს ჩააბარებდნენ მის მომავალს, ანუ მომავალ ჯარისკაცად დაიგულოვნებდნენ!..

ამიტომაც იყო, ოდითგან სანატრელი და გასახარი ვაჟის დაბადება ჩვენს პატარა ქვეყანაში. ახლადმოვლენილი ანგელოზი მისი წინაპრების დარად გუთნისდევაც უნდა ყოფილიყო და მეომარიც. ცალ ხელში სახნისი უნდა სჭეროდა, მეორეში – ხმალი. ჰოდა, იტყოდნენ ჩვენი ძველები: „ქართველი ხმალთან ერთად იბადებაო“, კიდევ – „კაცს თავი რომ არ მოსწონდეს ჯარი ვერ შეიკრიბებოდაო!“ წერდნენ საოცრად ჟღერად და აღმტყინებელ სტრიქონებს:

„თავმოძულებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძილშიაც ეცვა ქართველს ბექთარი,
სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი...“

განა იალბუზზე ფეხის შემდგმელი ვახტანგ მეფე ან პატარა კახიც ეგეთი არ იყო? „ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია“... სულ ბრძოლასა და სისხლისღვრაში ვათენ-ვა-

ღამებდით. თუმცაღა ამ ომებსა და უბედურობებში არც სულიერი საზრდო დაგვიტოვებია უპატრონოდ და უყურადღებოდ. ჩანგსაც ვაჟღერებდით და დაფდაფებსაც შემოვკრავდით, უნიკალურ პოლიფონიურ ნიმუშებს ვქმნიდით, აი, ისეთებს, სხვა პლანეტაში რომ აიტანეს და იქიდან ასმენინებენ კაცობრიობას. ჩვენი ცეკვების უმეტესობაც, ხორუმს რომ თავი დავანებოთ, ბრძოლების იმიტაციაა. საბრძოლო ხელოვნება „ხრიდოლზე“, „ურუმისა“ და „ხინტიკირიაზე“ რომ ვისაუბროთ, უფრო დიდი ფორმატი დაგვჭირდება.

ჩვენი ხმალი – ჯვრის განსახიერებაა, რადგანაც მებრძოლი ქრისტიანები ვიყავით და ვართ დღესაც. მხედართმთავარი ქალიც გვყოლია და თან როგორი?

სამამულო ომშიც პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველებმა გავიღეთ. სხვათა ომებშიც ლომებივით გვიბრძოლია და ლეგენდები შექმნილა ჩვენს გმირობებზე. განა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დარი მებრძოლები, ერთგული ჯარისკაცები და თავდადებული გმირები ბევრნი ჰყოლიათ სხვა ერებს?! გოჩა ესებუას, ამ უღირსეულებსი ქართველი ჯარისკაცის გმირობა და საოცარი ჰუმანიზმი არ ეყოფა ნებისმიერ ნაციას თავის მოსაწონებლად?!

მოკლედ, ამ თვისებამ და ძალისხმევამ მოგვიყვანა დღემდე და მომავალშიც ის თუ გადაგვარჩენს!..

ვისაც ეს არ სჯერა, ვინც უნდა იყოს ის-საცოდავია და უქართალველჯიშო!..

გამიგრძელდა სიტყვა, უფალმა მრავალ შობა-ახალწელს დაგვასწროს, ძვირფასო, უსაყვარლესო ქართველებო!.. ვლილინებ გულში: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო!..“

მრავალჟამიერ!..

სიყვარულით

ლაშა გვასალია



ნობელიანტი მწერლების სიტყვები ნობელის პრემიით დაჯილდოებისას

ანდრე ჟიდი

თქვენ დააფასეთ დამოუკიდებლობის სულისკვეთება

იმის გამო, რომ ლაურეატი ვერ დაესწრო 1947 წლის 10 დეკემბერს სტოკჰოლმში, ქალაქის რატუშაში ნობელის პრემიის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტს, მისი სიტყვა ნაიკითხა საფრანგეთის ელჩმა შვედეთში, გაბრიელ პიუომ.

უთუოდ ზედმეტი იქნება იმის თქმა, თუ როგორ ვწუხვარ, ამ საზეიმო დღეს თქვენს გვერდით რომ არ ვიმყოფები და არ ძალმიძს პირადად გამოვთქვა ჩემი თქვენდამი ღრმა მადლიერება, რადგან იძულებული ვიყავი ხელი ამელო მგზავრობაზე, რომელიც ჩემთვის სასიამოვნოც იქნებოდა და მრავლისმომცემიც.

როგორც მოგეხსენებათ, მე გულგრილი ვარ პატივთა და ჯილდოთა მიმართ, ყოველ შემთხვევაში, იმ პატივისა და ჯილდოებს ვგულისხმობ, რომელიც შეიძლება ჩემთვის, როგორც ფრანგისთვის, ჩემს მშობლიურ საფრანგეთში მოეგოთ და მოენიჭებინათ. მაგრამ სავესებით მოულოდნელი იყო ჩემთვის ამ მაღალი ჯილდოს მიღება, რომელზეც ყოველი მწერალი ოცნებობს; გულწრფელად გამოგიტყდებით, ბატონებო, გაოგნებისგან თავბრუ მესხმის. დიდი ხნის მანძილზე მე მეგონა, რომ ჩემი შემოქმედება იყო ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა; შემდგომ ვფიქრობდი, რომ ის მხოლოდ მცირეთადამი უნდა ყოფილიყო მიმართული; დღეს კი თქვენ თვალნათლივ დამიმტკიცეთ, რომ მართალი ვიყავი, როცა მწამდა ამ მცირეთა თავგანწირვისა, რომელნიც ადრე თუ გვიან მაინც გაიმარჯვებენ.

ბატონებო, ასე მგონია, რომ ჩემთვის ხმის მიცემით, თქვენ დააფასეთ არა იმდენად ჩემი შემოქმედება, რამდენადაც მისი მასაზრდოებელი დამოუკიდებლობის სულისკვეთება – ის სულისკვეთება, რომელიც ჩვენს დროში ასერიგ ფაქიზია და ყოველი მხრიდან დევნას განიცდის. ის ამბავი, რომ თქვენ იგი ჩემში აღმოაჩინეთ, მოიწონეთ და მისი მხარდაჭერის აუცილებლობა იგრძენით, მადლიერებისა და პირადი კმაყოფილების გრძობით მავსებს. ამასთან ერთად, მე არ მტოვებს იმაზე ფიქრი, რომ, სულ ახლახან,

საფრანგეთში ცხოვრობდა ადამიანი, რომლის შემოქმედებაც ჩემსაზე უფრო იყო გამსჭვალული დამოუკიდებლობის სულისკვეთებით. მხედველობაში მყავს პოლ ვალერი, რომლისადმი თაყვანისცემაც ნახევარი საუკუნის მანძილზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემს მისდამი მეგობრულ განწყობასთან ერთად. მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ მისმა სიკვდილმა შეგიშალათ ხელი იმაში, რომ ჩემს ნაცვლად იგი აგერჩიათ. უკვე არაერთხელ მითქვამს, თუ როგორი მეგობრული მონინებით ვიხრიდი ქედს მისი უღმობელი და ყოვლისშემძლე გენიის წინაშე, რომლის გვერდითაც თავს მუდამ „ადამიანურად, ძალზე ადამიანურად“ ვგრძნობდი. მე ვისურვებდი, რომ მისი ხსოვნა ამ საღამოსაც ცოცხლობდეს დღევანდელ ცერემონიაზე, რომელიც, ჩემი აზრით, მით უფრო მეტ ბრწყინვალეობას იძენს, რაც უფრო მეტ ძალას იკრებს ბინდი ჩვენს გარშემო. თქვენ აქ მოიწვიეთ თავისუფალი ადამიანი და გადაეცით – ისე, რომ ყურადღება არ მიაქციეთ საზღვრებსა და დროებით განხეთქილებას – ეს შესანიშნავი ჯილდო, რითაც მას საკუთარი გავლენის უჩვეულოდ განვრცობის საშუალება მიეცით.

* * *

ამ სიტყვას წინ უსწრებდა ნობელის ფონდის თავმჯდომარის მოადგილის, არნე ტისელიუსის შემდეგი განცხადება: „სამწუხაროდ, ბ–ნი ანდრე ჟიდი იძულებული შეიქნა, ავადმყოფობის გამო, აქ ჩამოსვლის ადრე გამოთქმულ სურვილზე ხელი აეღო. ჩვენ ძლიერ ვწუხვართ ამის გამო და გვსურს, ჩვენი სიმპათია და პატივისცემა გამოვხატოთ ფრანგული ლიტერატურის დიდი მეტრისადმი, რომლის გენიალობამაც ასერიგ ღრმა კვალი დაატყო ჩვენს დროს“.

ტომას სტიარნზ ელიოტი

სიმბოლო პოეზიის სიღრმისა

როდესაც ვფიქრობდი იმაზე, რას გეტყობდა ამ საღამოს, გადავწყვიტე უბრალოდ გამომეხატა მადლიერება იმ უმაღლესი ჯილდოსათვის, რომლის ღირსადაც გამხადა შვედეთის აკადემიამ. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა არც ისე მარტივი აღმოჩნდა: ჩემი საქმიანობა სიტყვებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამჯერად მათ უარი მითხრეს დამმორჩილებოდნენ, ხოლო უბრალოდ იმის აღნიშვნა, რომ შეგნებული მაქვს, რომ მივიღე უმაღლესი საერთაშორისო პრემია, რაზეც ყოველი მწერალი ოცნებობს, ნიშნავდა იმის თქმას, რაც ისედაც ყველამ კარგად იცის. იმის გამოცხადება, რომ ამ პრემიის ღირსი არ ვარ, – ნიშნავს, ეჭვი შევიტანო აკადემიის კომპეტენტურობაში; რომ შევაქო აკადემია – ნიშნავს, რომ მე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, ვეთანხმები ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, ამ პრემიის მინიჭების ფაქტს. ამიტომაც, ნება მომეცით დაგარწმუნოთ იმაში, რომ როგორც კი გავიგე, რომ მომენიჭა ნობელის პრემია, განვიცადე სიხარულისა და სიამაყის შერეული გრძობა, რომელიც ასეთ მომენტში სავსებით ბუნებრივია, და უხერხულობა იმის გამო, რომ უეცრად საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ნობელის პრემია რომ ყოფილიყო ზუსტად ისეთი, როგორც სხვა პრემიები, ოღონდ გაცილებით მაღალი ღირსის, შეიძლება მადლიერების გამოსახატავად კიდევ მეცადა საჭირო სიტყვების მოძიება, მაგრამ რადგანაც ის სხვა ჯილდოებისაგან სწორედ საკუთარი არსით განსხვავდება, ჩემი გრძობების გამოსახატავად საჭირო რესურსები არ მეგულება ენაში.

ამდენად, ვალდებული ვარ ეს გრძობები არაპირდაპირი გზით გამოვხატო და საკუთარი ინტერპრეტაციით შემოგთავაზოთ ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მნიშვნელობა. თუკი ეს იქნებოდა უბრალოდ აღიარება მწერლის დამსახურებისა, იმ ფაქტისა, რომ ავტორის რეპუტაციამ გადალახა მშობლიური ქვეყნისა და მშობლიური ენის საზღვრები, მაშინ შეგვეძლო გვემტკიცებინა, რომ საეჭვოა, ვინმე იყოს ჩვენს შორის ამ პრემიის ღირსი უფრო მეტად, ვიდრე სხვები. მაგრამ მე ნობელის პრემიაში ვხედავ რაღაც უფრო მეტს, განსხვავებულს, ვიდრე ასეთი აღიარებაა. ის მე მაგონებს ერთი კაცის არჩევნებს, რომელიც დროდადრო, თითქოს განგების ძალით, ხან ერთი ერიდან ირჩევა, ხანაც მეორედან, რათა შეასრულოს განსაკუთრებული როლი და იქცეს

განსაკუთრებულ სიმბოლოდ. ტარდება ცერემონიალი, რომლითაც ადამიანს მოულოდნელად ეკისრება მოვალეობები, რომლებსაც ადრე არ ასრულებდა. ამიტომ საქმე სულაც არ არის იმაში, იგი ღირსეული რჩეულია თუ არა, არამედ იმაში, შეუძლია თუ არა თავი გაართვას მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, შეუძლია თუ არა გახდეს წარმომადგენელი – რა თქმა უნდა, ადამიანური ძალების შესაბამისად – რაღაც უფრო მნიშვნელოვანის, ვიდრე მისი საკუთარი შემოქმედებაა.

ტრადიციულად, პოეზია ითვლება ხელოვნების ყველაზე „რეგიონალურ“ სახედ. მხატვრობით, სკულპტურით, არქიტექტურით, მუსიკით შეიძლება დატკბეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც ხედავს და ვისაც ესმის, მაგრამ ენა, განსაკუთრებით კი პოეზიის ენა – სულ სხვა შემთხვევაა. შეიძლება კიდევ მოგვეჩვენოს, რომ პოეზია უფრო მეტად აშორებს ადამიანებს, ვიდრე აერთიანებს. მეორე მხრივ კი უნდა გვახსოვდეს, რომ თუკი ენა წარმოშობს ბარიერებს, სწორედაც რომ პოეზია უწყობს ხელს ამ ბარიერების გადალახვას. დატკბე პოეზიით, რომელიც უცხო ენაზეა დაწერილი, ნიშნავს, დატკბე იმ ხალხის გაგებით, ვისაც ეს ენა ეკუთვნის, გაგებით, რომელსაც სხვაგვარი გზით ვერ მივალწვევთ. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ ევროპული პოეზიის ისტორიაზე და გავისხენოთ ის უზარმაზარი გავლენა, რომელსაც პოეზია, დაწერილი ერთ ენაზე, ახდენდა სხვა ენებზე, დავფიქრდეთ იმაზე, რომ ნებისმიერ დიდ პოეტს აქვს უცხოენოვანი პოეტების გადაუხდელი ვალი. იმის მტკიცებაც კი შეიძლება, რომ ნებისმიერი ქვეყნის პოეზია შეიძლება დაკნინდეს და დაიღუპოს, რომ არ საზრდოობდეს სხვა ქვეყნების პოეზიით. როდესაც პოეტი ესაუბრება საკუთარ ხალხს, მის ხმაში ჟღერს იმ უცხოენოვანი პოეტების ხმები, რომლებმაც მოახდინეს მასზე გავლენა. ამავე დროს, თავად ის ესაუბრება სხვა ქვეყნების ახალგაზრდა პოეტებს, რომლებიც თავის ერს ცხოვრებაზე მისი შეხედულებიდან და მისი ერის სულისკვეთებიდან რაღაც ნაწილს გადასცემენ. ერთი მხრივ, მისი გავლენით სხვა პოეტებზე, მეორე მხრივ – თარგმანით, რომელიც, რა თქმა უნდა, ავტორის თანაშემოქმედებას უნდა წარმოადგენდეს და ნაწილობრივ საკუთარი ქვეყნის მკითხველებით, რომლებიც არ არიან პოეტები, პოეტი ხელს უწყობს ერებს შორის ურთიერთგაგებას.

ნებისმიერი პოეტის შემოქმედებაში, რა თქმა

უნდა, ბევრი ისეთი რამ უნდა იყოს, რაც განსაკუთრებით მათდამია მიმართებული, ვინც ცხოვრობს მის ირგვლივ და საუბრობს მის ენაზე, მიუხედავად ამისა, უსაფუძვლოდ არ წარმოგვიდგება გაგება „ევროპული პოეზია“ და თვით „პოეზიაც“ კი. მე მეჩვენება, რომ პოეზიის წყალობით ხალხი სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც განსხვავებულ ენებზე საუბრობენ – თუნდაც ნებისმიერ ქვეყანაში ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ – იძენენ ურთიერთგაგებას, რომელიც რამდენადაც ცალ-

მხრივი უნდა იყოს, ძალზე მნიშვნელოვანია. პრემიას ლიტერატურის დარგში, რომელსაც ანიჭებენ პოეტს, მივიჩნევ პირველ რიგში დადასტურებად თეზისისა პოეზიის ზენაციონალური ღირებულების შესახებ. ამ თეზისის მხარდასაჭერად სხვადასხვა ადამიანებს შორის დროდადრო აუცილებელია პოეტის გამოყოფა – და აი, მე ვდგავარ თქვენს წინაშე, მაგრამ არა საკუთარი დამსახურებების გამო, არამედ როგორც სიმბოლო – რა თქმა უნდა, დროებითი, – პოეზიის სიდიადისა.

უილიამ ფოლკნერი

ლაუტუქები კლი ხმა ადამიანისა

ასე მგონია, მე კი არა, შემოქმედებას აჯილდოებენ-მეთქი – შემოქმედებას, ანუ მთელი ცხოვრების ჯაფასა და მონამებრივ გარჯას, არა სახელის მოსახვეჭად ან, მით უმეტეს, გამორჩენისათვის, არამედ იმისათვის, რომ ადამიანური სულისაგან რაღაც მანამდე არარსებული შემექმნა. ასე რომ, ამ ჯილდოს მხოლოდ ნდობის გამოცხადებად ვთვლი. ძნელი არ იქნებოდა პრემიის ფულადი ნაწილი დანიშნულებისამებრ გამომეყენებინა და გამეცა მისი მთავარი მიზნისა და მნიშვნელობის შესაბამისად. მაგრამ მსურს ამ ნუთით ვისარგებლო და ეს ადგილი ვაქციო უმაღლეს ტრიბუნად, რათა ხმა მივანვიდინო იმ ქაბუკებსა და ქალიშვილებს, ვისაც ამგვარივე ტანჯვა-ნამებისათვის გადაუდია თავი. მათ შორის უკვე იქნება ის პიროვნება, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს აქ იდგება, მე რომ ვდგავარ.

ჩვენი დღევანდელი ტრაგედია საყოველთაო და ყოვლისმომცველი შიშია, რაც იმდენი ხანია გვაძრწოლებს, რომ ლამის შევეჩვიოთ კიდეც. სულიერ პრობლემებს ვილა ჩივის, ყველას ერთი კითხვა აკვიატებია, როდის გააცამტვერებენ. ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით ახალგაზრდა მწერლებმა მიივიწყეს მთავარი — ადამიანის გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, ურომლისოდაც ღირებული ვერაფერი შეიქმნება, რადგან მხოლოდ ესაა დაწერის ღირსი, ღირსი ტანჯვისა და ოფლის ღვრისა.

ეს ყოველივე მწერალმა თავიდან უნდა ისწავლოს, უნდა შეიგნოს, რომ შიში ყველაზე სამარცხვინო გრძობაა, შეიგნოს და სამუდამოდაც დაივიწყოს იგი, არაფერი დაიტოვოს თავის სახელოსნოში, გარდა გულის ძველისძველი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა – სიყვარულისა, პატიოსნებისა, ლმობიერებისა, სიამაყისა, თანაგრძობისა და თავგანწირვისა, ურომლისოდაც

ყოველი ნაწარმოები წარმავალი და განწირულია. უამისოდ მწერლის ღვანლს მაღლი არ ექნება. სიყვარულზე კი არ დაწერს, არამედ ავხორცობაზე ან მარცხზე, სადაც არაფერი ღირებული არ იკარგება; ან გამარჯვებაზე, რომელსაც სასოების ნატამალიც არ ახლავს და, რაც ყველაზე სავალალოა, არც თანაგრძობა ახლავს და არც სიბრალული. მის ვაი-ვიშს ქვეყნის სატირალი არ გაერევა და ვერც ჭრილობას დააჩნევს გულში. ჯირკვლებზე დაწერს, გულზე კი არა. ვიდრე ყოველივე ამას ხელახლა ჩასწვდებოდეს, ისე დაწერს, თითქოს მოწმე იყოს კაცობრიობის აღსასრულისა, ხოლო მე კაცობრიობის დაღუპვას ვერ შევეგუები. სათქმელად იოლია, ადამიანი უკვდავია თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერს გაუძლებსო; მომაკვდავი სალამოს მენამულ ფერებში, უბადრუკ, პიტალო კლდეზე საბედისწერო ბოლო ზარი რომ ჩამორეკეს და მიჩუმდა, მაშინაც გაისმის ხმა, სუსტი, დაუდუმებელი ხმა ადამიანისაო. მაგრამ ამასაც ვერ ვირწმუნებ, მჯერა, ადამიანი არა მარტო გაუძლებს, გაიმარჯვებს კიდეც. ადამიანი უკვდავია განა იმიტომ, რომ სხვა ქმნილებათაგან განსხვავებით მხოლოდ მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ სული აქვს მომადლებული, სული, რომელსაც თანაგრძობის, თავგანწირვის და ამტანობის უნარი შესწევს. პოეტის, მწერლის ვალი ამაზე წერაა. მისი დანიშნულებაა შეენთოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძობას, ლმობიერებას, თავგანწირვას – დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსულს. პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს.

ლაშა გვასალია

სიყვარულის ამბავი...

(მოთხრობა)

თაპი პირველი

ნამიჭამიას ველზე, იქ, სადაც მდინარე ზღვასთან შესაერთებლად იკალთება და თავს იდინჯებს, ბოლშევიკების მიერ გადამწვარი ხის ეკლესიის წინ, ორი უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ, ადამიანის სიმალლისა და ხელის შემონვდენა სისქის ლოდი დგას. თითქოს მიწიდან ამოსულს ფესვები ღრმად ჰქონდეს გადგმული, ძვრას ვერ უზამ. ქვევიდან ერთ მტკაველზე ხავსმოდებული, ზევით სლიპინაა, გარშემო საძოვარია, თანაც ღურღულა ამინდების დროს ცაცხვის სქელ და საამო ჩრდილქვეშ იყრის თავს პირუტყვი, უმეტესობა ამ ლოდს ეზინთება და ექექება მტვრით, ბირკავებითა თუ მკბენარებით ახორკლილი კისრითა თუ გავით.

ახალმთვარეობის პირველ დღეს თუ ერთი საათი მზერამოუშორებლად მიაჩერდები ლოდს, ქვის ცივი მდუმარებიდან ამოისვეტება ადამიანის სხეული და ცისკენ იზამს პირს. შურიგემ მასწავლა, დამარიგა, ამ და ამ დროს მიდი, ასე და ისე მოიქეცი და იხილავ როგორ განიხვნება კარი ზღუდისა და ქვაკაცი როგორ ამოილანდებო. მართალი გამოდგა ბრძენი შურიგე, რა შეეშლებოდა სულის კაცს და ახალმთვარეობის პირველივე დღეს ვიხილე ამოლანდებული ჩონგურია, ასე ეძახოდნენ თურმე, სიცოცხლეში ქვად ქცეულ ჭაბუკს.

ყველაფერი იცის შურიგემ, რა გამოეპარება მის თვალსა და სმენას. მითაჟამიდან მოსდგამთ გვარსა და ჯიშში ძველ ამბავთა მესაიდუმლოება და გულისკარჩარაზულად სიარული. კულისკაროსნებს მიტომაც უწოდებდნენ მის წინაპრებს. წამლის დამზადების საიდუმლოს რომ გადასცემენ ხოლმე ოჯახისა და კერიის გამგრძელებს, ისე უყვებოდნენ და საიდუმლოდ გადასცემდნენ, გვარსა თუ ოჯახში გამორჩეულთ, უძველეს ამბებსა თუ თქმულებებს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გადანყვიტა შურიგემ ჩემთვის მოეთხრო ქვა-ლოდის ამბავი, მაგრამ გამაფრთხილა მენცარმა მოხუცმა, ათ ახალმთვარეობამდე თუ ვინმეს გაუმხელ საიდუმლოს, ამ ალაგს მთვარის მაღლი განეცლება და ჩონგურისას ლანდიც სამარადჟამოდ ჩაეყინება ლოდსო. მივეცი პირობა მით-კაცს და აგერ მეოცე ახალმთვარეობის მერე გიყვებით თქვენ, ძვირფასებო, და თუ თქვენც ასევე გაუფრთხილდებით ამ ამბავს, ხომ კარგი, თუ არადა, ახალ დროს მაინც არ

სჯერა მითებისა თუ ლეგენდების და ამ ამბებმა იცხოვრონ ეგრე გაცხადებულად!..

ძველად, მეჯოგე ბიჭს თაუს, გასაოცარი მეჩონგურეობისა და ხმალმერთიანობის გამო, ჩონგურია რომ დაარქვეს თანასოფლელებმა, სიყვარული ჩასიტყვებია ალალ, კრიალა გულსა და არსში. სიყვარული შეიძლება მოგეპაროს, გაგეთამაშოს, მოგინათდეს კაცს, მაგრამ ვერ დაგატყვევოს, მაგრამ თუ ჩაგესიტყვა, აი, მაშინ კი მორჩენილია ყველაფერი, ლობიოს ფოთოლივით მოგეკვრება, ჰაერივით სულში ჩაგიძვრება და გულს გამოგიზაფხულებს– ია-იებსა და ყოჩივარდებს, ენძელებსა და მიმოზებს, ტიტებსა და ვარდ-ლამაზებს აგიმზევებს და ჰოპლა, ტყვე ხარ მისი! აი, ეგაა სიყვარულად მოსვლა, სხვა კი არაფერი... ჰოდა, ჩემო ბატონო, იცის სიყვარულმა როგორ შემოგიდინდეს, გაიძირმაგროს ფუძე და ჩაგიდგეს მარადისად. ერთ მზიან დღეს, ჩონგურია თაუს გამორჩეულმა ქარმახია ფურმა შევლივით ხბო მოუყვანა თურმე, ისე გახარებია პატრონს, ღვთის სადიდებლად ჩონგური აუმღერებია და თავადაც შეხმატკბილებია ღვთაებრივ ჰანგებს. მდინარემ დინება შეწყვიტაო თითქოს, მიწდვრისები ყელ-ქალივით განოლილან ლურჯ ხავერდზე, ხეებს შრიალი შეუწყვეტიათ, ფრინველებს ჟივილი, საქონელსა და ნადირს ხმიანობა და სმენად ქცეულან. ანგელოზებს ბანი მიუციათ, მთვარეც კი გამოუფხიზლებია და ნიავის საამო სუნთქვად შემოუნელებულა... ამ დროს ნამიჭამიას ოხვამეში, ანუ სალოცავში მოსალოცად მობრძანებულ მთავარ ვარშან დადიას ოჯახთან ერთად, იმ ქალისპირზე გაუვლია, სადაც ჩვენს თაუ– ჩონგურისას საქონლის სადგომი ჰქონდა, სადაც ასე ღმერთის მოსაწონად უკრავდა და მღეროდა. მოულოდნელად თავზე წასდგომია მთავარი, მთელი თავისი ოჯახისობითა და ამალით, ცას ხმითა და მზერით მიბორკილ მეჯოგეს. გაშეშებულნი მდგარან. რომ დაუსრულებია დაკვრა და მღერა, დაუბრუნდაო თითქოს ქვეყანას ბიჭი, გამოჩვენებულა და ამდენი და ასეთი ხალხის მნახველი ჯირკიდან ტყვიანაკრავივით წამომხტარა.

– ვინ ხარ შენ? – ცივად და მბრძანებლური ტონით დაუსვამს კითხვა წარბებიდან მომზირალ ვარშან დადიას.

– მეჯოგე ვარ, ბატონო, – წამღერებასავით

გამოსვლია ჭაბუკს.

– ვისი შვილი ხარ, – ეს ისე, სიტუაციიდან გამომდინარე უკითხავს მთავარს, თორემ, ამ სოფელში ხუცესისა და დიაკვნის გარდა, რომელთაც გადასახადი ჩაჰქონდათ სასახლეში მონაცვლეობით, არავის იცნობდა.

– მეჯოგე იყო მამაჩემი, ბატონო, თარან თორია, შარშანნინ გარდაიცვალა უჟმურშეპყრობილი, შეხურებამ და ციებამ გადაიყოლეს ცხონებული.

– ჰო, ნუ, კარგი, სიმღერა კარგი გცოდნია, – ჩონგურზე დაკვრაცო, – ჩასჩურჩულა თეთრ ცხენზე ფეხებმორთხმულად მჯდომმა მეუღლემ.

– ჰო, დაკვრაც, – დაეთანხმა ჯმუხი მთავარი.

– დიდი მადლობა, ბატონო, მამამ მასწავლა, უკეთესად, ბევრად უკეთესად უკრავდა მამაჩემი. – მხოლოდ ახლა ასწია თავი თავმ და იხილა მოშტერებული გოგონას ზღვისფერი მზერა. მომწუსხველი და ენით ძნელად აღსაწერი. თითქოს გულში ჩაუდინდა სისხლად, წითელ ფაშატზე ყელმოღერებით მჯდომი თავადის ერთადერთი ასული ცია.

– იქნებ წამოვიდეს ჩვენთან სასახლეში, – გადაულაპარაკა ისევე დედოფალმა მთავარს. ამ უკანასკნელმაც უთხრა ხმადაბლა რალაც. ამ დროს მთავრის ასულმა მიმართა მამას, წამოვიდეს ჩვენთან სასახლეშიო.

– ხომ წამოხვალ?

– ვერა, ბატონო, ოჯახს და საქონელს ვერ მივატოვებ, ჩემი ძმა პატარაა ჯერ და ვერ გასწვდება მარტო საქმეებს. – უპასუხა დავდახრით თავმ. იწყინა მთავარმა უარი და ხმამკაცრად შესძახა ბიჭს: თუ იცი ვინ ვარო?

– ვიცი, ბატონო, მთავარი ბრძანდებით ჩვენი, მაგრამ ვერ წამოვალ სასახლეში. – ციასთვის მზერამოუცილებლად თქვა ბიჭმა. ქალიშვილიც არ ამორებდა ღიმილიანად თვალებს. ხუცესი ჩაერია საუბარში, წინ დაუდგა თავს და მოკრძალებით მიმართა მთავარს, შეუხდეთ, ბატონო, თქვენი ჭირიმი, უტუ და უცოდინარია ჯერ, ხვალვე თქვენთან იქნება სასახლეში თავის ჩონგურთანად, მე თვითონ გაახლებთ, გაუთლელია და შეუხდეთ, ბატონო, იხვეწებოდა მოხუცი და მარჯვენათი უჭერდა ბეჭზე ბიჭს, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ იხდიდა ამდენ ბოდიშს ხუცესი, მას ხომ არაფერი დაეშავებინა. თუმცა, ამაზეც ვერ ფიქრობდა რიგიანად, მისი აზრი და მზერა თავადის ქალიშვილის იქით არც არაფერს იაზრებდა და ვერც ვერავის ხედავდა.

დიდი ხვეწნა-მუდარა არც დასჭირვებია ბიჭისთვის ხუცესს, ჟამნაკრავივით ენაგაკმენდილს ქალიშვილის ღიმილიანი მაცდური სახე და ზღვასავით უძირო თვალები ედგა წინ. ძილიც

არ მიკარებია. დედამისს აუხსნა ყველაფერი, მთავრის ნება ეგეთია, უარს არ მიიღებს და თუ გაუძლიანდით ყველას დაგლუპავთო, თანაც სასახლეში მიდის, ჯოჯოხეთში ხომ არაო, ვინძლო ბედს ეწიოს და მაღალი კაცი გახდესო. დედას უმძიმდა შვილის გამეტება, მაგრამ იცოდა, რაც მოუვიდოდა, თუ უპატივცემლობას გამოიჩინდა ვარშან დადიას მიმართ. განა ერთი და ორი დაუღუპავს იმ ამოსაგდებს, ჩვენ რომ დაგვინდოს და არ გაგვიმეტოსო, იფიქრა ქალმა და ბედს დამორჩილდა. ჯოგი თავს უმცროსმა ძმამ კოჩიამ გადაიბარა.

საზაფხულო სასახლე გორდში ჰქონდათ დადიებს და იქითკენ გასწიეს ჯაგლაგი ცხენით ბიჭმა და მისმა მეგზურმა. თაუ უმეტესად ფეხით მიდიოდა, ბებერ და ძვალ-ტყავა იაბოს ასევე გაძვალტყავებული ხუცესის ტარებაც ეძნელებოდა. მეორე დღემდე ვერ მიაღწიეს. სუჯუნის ტაძარში გაათიეს ღამე, დიდი პატივით მიიღეს ხუცესი წინამძღვარმა და დიაკონმა, დააპურეს, დაასვენეს, ცხენსაც გამოუნახეს მიმხედავი. ბიჭის შესაძლებლობები ისე აღუწერა მასპინძლებს ხუცესმა, დიდი სურვილი გააჩნდათ მოსმენისა, მაგრამ ბიჭი არათუ სიმღერას იმღერებდა, ხმაც არ იღებდა. უჭირს ოჯახთან განშორება და მიტომაა ასეო. არაუშავს, დრო გაივლის და შეეჩვევაო, დაასვენეს ღვთისმსახურებმა. თავს კი ცია ედგა თვალწინ, მისი მომღიმარი თეთრონი პირისახე და მაცდური გამოხედვა. შუადღე გადასული იყო სასახლეში რომ მივიდნენ. მთავარი თავის საყვარელ მიმინოს, სახელად წვირალს ეფერებოდა.

– აგერ, ბატონო, მეჩონგურე გაახლეთ თქვენი სურვილისამებრ, – მთავარს არც კი გაუხედავს თავჩაქინდრული ბიჭისკენ, ხუცესს უხმო და მიმინოზე დაუწყო საუბარი.

– სუჯუნელმა ჯაომ მიმინოსკუამ გამინვრთნა წვირალი, ამ შემოდგომაზე საოცრებებს ჩაიდენს. შარშან ახალი იყო ჯერაც, ძარღვსუსტი. აი, წელს კი ვნახოთ. – გაბადრული სახით ეფერებოდა მთავარი, უსვამდა მარჯვენა ხელისგულს თავიდან ფრთების გასწვრივ ჩასრიალებით ყლალ ფრინველს, რომელიც რალაცნაირად, ამოხორხილი ხმით ხრუსუნებდა და მარცხენა ხელზე მორგებულ ტყავის ნაჭერს ბასრ ბრჭყალებს უფრო და უფრო უჭერდა.

– საოცარი ფრინველია, ჩემო ბატონო, ნამდვილად საოცარი, – მთავრის გასახარად იმეორებდა შიგადაშიგ ხუცესი.

– ჰო, ბიჭი ეზოსმოდვარ თოლიკაკას ჩააბარე. მიხედავს ის, – ახლა შეამჩნიაო თითქოს კაკლის ხეს მიყუჭული ჩონგურია, მერე სასახლისკენ გაიხედა, ხვიჩაო, დაიძახა და ბატონოთი,

მაშინვე გამოეპასუხა ქვედა სართულის აივანზე გამოსული შუახანს კარგად გადაცდენილი, ბრგე და ჯემუხი მოჯამაგირე.

– ხვიჩა...

– გისმენთ, ჩემო ბატონო, ყურადღებით.

– დაასაჩუქრე ხუცესი, მე რომ გეუბნებოდი, ის ბიჭი მოიყვანა, თოლიკაკას ჩააბარეთ ბიჭი და ზეგისთვის სტუმრების დასახვედრად მოამზადეთ, ვნახოთ, როგორ ფხას გამოიჩინეს და როგორ გაგვართობს.

– გასაგებია, ჩემო ბატონო, – მიუგო მოჯამაგირემ და მიიპატიჟა ხუცესი, თოლიკაკამ ბიჭი, ისე რომ არც გამომშვიდობებია თავის მეგზურს, გარეთა სადგომისკენ, ძველ სახლს რომ ეძახდნენ აქაურები, წაიყვანა.

პირველად იგრძნო უდედობის ტკივილი ბიჭმა. შიშმა შეიპყრო, უცებ გაუქრა მზერიდან ციას სახე და ცახცახმა დაუარა სხეულში. ცრემლები მოერიდა, ეს რა ვქენი, ეს რა გავაკეთეო. მიუხვდა ეზოსმოდღვარი და დაუყვავა, მოესიყვარულა. ნუ გეშინია, შვილო, მე შენზე პატარა ვიყავი ბევრად, აქ რომ მომიყვანეს, ხორგა გაგონილი გექნება, – თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ბიჭმა, – ჰოდა, ხორგიდან მომიყვანეს აქ და ვარ იმის მერე, ბედსა და იღბალს მინებებულო. ნაგებით აბა როგორ არ წავაგე, ცოლ-შვილს ვერ მოვეკიდე, ოლოლივით მარტო ვარ, მაგრამ მადლობა უფალს მრავალი რამის შეგრძნება და სიყვარული მასწავლაო. ნიჭი მოუცია, ბაბა, ღმერთს და გამოიყენე. შენისთანა ახალგაზრდას, თუ თავს გამოიჩინე, აქ არ დატოვებენ და ოდიშშიც, მთავარ სასახლეშიც ნაგიყვანენ და მთავრის პატივცემული ამალის წევრიც გახდებიო. ზეგ სტუმრებს ელოდება იმერეთიდან მთავარი და შენ იცი აბა, თავი გამოიჩინე და დაგიფასდება. თუ არა და იქნები აქ ჩემთან სახარების მოპრუტუნე სტიქაროსნადო.

ვისაც უცხო გარემოში გაუთევია პირველი ღამე მარტოს, ოჯახიდან მოწყვეტილს, ადვილად მოეხსენება, თუ რა ტკივილი და ბორიაცი ტრიალებდა ყმანვილის გულში, მაგრამ დროდადრო ამოტივტივდებოდა ცნობიერებიდან ციას სახე და რალაცნაირად შვებას გვრიდა ჭაბუკს. მამა დაესიზმრა გათენებისას თვალეზმით დასწავლს, არიგებდა შვილს, ასე და ისე მოიქეცი, ასე და ისე ისაუბრეო და მისთანანი. დილის ლოცვისთვის მამლის მესამე ყვილისას წამოახტუნა კარის მოძღვარმა ფეხზე. უშველა მეზობლის გოგოს ცვიცვის ნასწავლმა წერა-კითხვამ, რამაც სასიამოვნოდ გააკვირვა თოლიკაკა. ცვიცვი, ცაიშელი აზნაურების ზარიების ნათლული იყო და იქ ესწავლა წერა-კითხვაც და სხვა ბევრი რამ, რასაც უანგაროდ და გულწრფელად გადასცემდა და უნაწილებდა თავის მეზობლებსა თუ ახლობლებს.

დანიშნული იყო ცვიცვი ფოთელ ხახუბიაზე, მაგრამ ცირა ბატონებმა შეინირეს ანგელოზივით გოგო. ჯერ ლოგინს მიაჯაჭვა ავადობამ, მერე ჭკუიდან შეიშალა და გაზაფხულზე ნიაღვრად და ლანქერად მოვარდნილ მდინარეში გადაეშვა დიდი ხევიდან. ზღვამ გამოიჩია ორი თვის თავზე ნამხდარ-გაუბედურებული ნემტი. „ვეფხისტყაოსნიდან“ ადგილები დააზეპირებინა ცვიცვიმ თავს. ციას ნახვის მერე ამ სტრიქონებს იმეორებდა ჩონგურია: „მან მისთა მჭვრეტთა წაულის, გული, გონება და სული.“ გაბო ურია მოვიდა მარტვილიდან სასახლეში და მოიტანა ჯორზე გადაკიდებული სხვადასხვა ზომისა თუ ფერის სენაკელი თერძების მიერ შეკერილი ჩოხები. ფოთელ ვაჭარ კაუტიას კი წულები, სხვადასხვა ზომის უძიროები და აზიურები მოეტანა. გამოანწყვეს და გამოწკიპეს მეჩონგურე თაუ. თმები მუნჯმა ბასიამ შეჭრა და ასე გალამაზებულ-გამშვენებული მეჯოგე სადილის დამთავრების შემდგომ წარადგინეს სტუმრების წინაშე, როგორც სასახლის მგალობელი მაფშალია. ქალბატონები უშველელი დარბაზის კუთხეში დაბალ მაგიდასთან ყავას და ჩაის მიირთმევდნენ, თითქოსდა ხმადაბლა, მორიდებით საუბრობდნენ, მაგრამ შიგადაშიგ ისე გადაიკარკაცებდნენ ხოლმე, ყველა იქითკენ იზამდა პირსა და ყურს. მამაკაცები თუთუნს აბოლებდნენ და საქმიანი იერით დინჯად საუბრობდნენ. ცია როიალის გვერდით იდგა და თვალდაუხამხამებლად შეჰყურებდა ჩონგურისას. დაინყეო, ანიშნეს ბიჭს და ჩამოჰკრა თითები სიმებს თაუმ, ცოტა ხანში ბუზის გაფრენასაც გაიგებდით, ისეთი სიჩუმე დავანდა დარბაზში. სატრფიალო მელოდიას უკრავდა თაუ, ქორწილებსა და ლხინის დროს რომ უკრავენ ისეთს. თითქოს ანგელოზი ჩაუსახლდაო ბიჭს, ისეთი რამის დაკვრა დაინყო, არათუ იქ მყოფ მსმენელთ, თავადაც აზრად რომ არ მოსვლია არასოდეს. უკრავდა და სისხლისგან იცლებათ თითქოს, გაფითრებული და მზერამიზნედილი შეჰყურებდა ციას. გრძნობდა ქალიშვილი მის გამჭოლ მზერას და მასაც უნებლიეთ უმდინარდებოდა და ესიტყვებოდა არსში ღვთიური გრძნობა სიყვარულისა. მერე სიმღერაც მოაყოლა თაუმ, მთელი ცისიეთი ქვევით ჩამოიყვანა და შეიმღერა ყოვლისშემძლე ზე-კაცივით და გაოცებულ-პირდაბჩენილ საზოგადოებას მისი სახელი და გვარი ამოუშლელად წაუნერა გულისფიცარზე. იმ დღიდან ყველას ჩონგურისას სახელი ეკერა პირზე. სასახლის კარის გოგოები ადრე აბუჩად რომ იგდებდნენ და დასცინოდნენ ჩუმ-ჩუმად და გლეხის გომბიოდ მოიხსენიებდნენ, ახლა ერთმანეთს ეცილებოდნენ მასთან ურთიერთობასა თუ მეგობრობაში. თოლიკაკას დარიგებას არ გადადიოდა ჭაბუკი და

ისე ღირსეულად ეჭირა თავი, კეთილშობილთა ზიზილ-პიპილო ვაჟებსაც რომ შეშურდებოდათ.

ასე ქეიფებსა და დროსტარებებში გადიოდა დრო. ოდიშის სამთავროსაც გასცდენოდა ჩონგურის სახელი და მის ნიჭსა და უნიკალურ შესაძლებლობებზე მეზობელ სამთავროებში აღტაცებით, სიხარულითა და, რა თქმა უნდა, შურითაც ყვებოდნენ. თავადის ქალ ციასაც უსაზღვროდ შეჰყვარებოდა მეჯოგე თაუ. ისე ძლიერ და უსაზღვროდ, რომ მასაც არ შეეძლო გულისსწორის გარეშე სიცოცხლე და არსებობა.

შემოდგომა იწურებოდა, როცა მთავარმა საზამთროდ ოდიშში წასვლა ბრძანა. აიყარნენ დედოფალ-სეფექალეებიანად ყველანი, მოსამსახურეები თუ დიდგვაროვნები, ამაღა განახლდა, როგორც ყოველთვის, და გაემზადა გასამგზავრებლად. ჩონგურია თაუ, რა თქმა უნდა, ამაღლაში შედიოდა და მისთვისაც მოიყვანეს ულაცი და გაამზადეს უნაგირ-საგებელი. დილით ადრე უნდა გასდგომოდნენ გზას, მამაკაცები და ქალბატონების ნაწილიც ცხენებზე ამხედრებულნი ივლიდნენ, დედაკაცების უმეტესობა კი – ფაეტონებით გაემგზავრებოდა.

– არ ისმინე ჩემი დარიგება, თაუ, – ეჩურჩულებოდა თოლიკაკა ჭაბუკს, – შენს გულს მიჰყევი, გონება არ დაატანე და ხარ ახლა ამ უბედურ დღეში.

– რათა უბედურში? – შეპასუხება სცადა ბიჭმა, მაგრამ შეანყვეტინა მოხუცმა.

– შენი ბედისწერა იქნება, შვილო, ეგ სიყვარული. უგუნურად მიუდექი ამ საქმეს და თავი გამოუვალ სიტუაციაში ჩაიყენე. უბედურებაა, აბა რაა გაუმართლებელი და გაუხარებელი სიყვარული? ყველა გზა დამარცხებისკენ მიგიდის. გთხოვ დაივინყო ეგ გოგო და განემორო აქაურობას. იმერეთში გადადი, ან სვანეთში ადი, ანდა აჭარაში, გაეცალე ოდიშს, განემორო ამ დაწყევლილებს, თორემ დაგლუპავენ.

– ვუყვარვარ ციას, – სცადა ისევ შემსუბუქება საუბრისა, არ გამოუვიდა.

– არაფერს ნიშნავს ეგ, შენ ამ ხალხისთვის გამართობელი ხარ და მეტი არავინ, მეჯოგე და საწყალი გლეხი, ყმა დადიასი. ჩვენისთანებს ეგენი ადამიანებად არც აღიქვამენ, იცოდე, ყურიც რომ მოჰკრას ან მთავარმა ან მისმა ასევე მხეცმა ვაჟმა ვამეხმა, თქვენს ამბავს, ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ, მღვდლის ზიარება ვერ მოგისწრებს, ისე გაგაქრობენ. იმერეთის ტახტის დედოფლად ამზადებენ ციას, გაზაფხულზე ნიშნობაა დაგეგმილი დიდ სასახლეში და რას იზამ მერე?

– რა ვიცი, რას ვიზამ, მოძღვარო, მიყვარს და სიყვარული თუ დანაშაულია, მაშინ მთელი ჩვენი

სარწმუნოება არარაობა ყოფილა, ღმერთი თუ ყოვლისშემძლეა, ჩემისთანა უმწეო ადამიანს ამოუდგეს უნდა მხარში, უშველოს და გადაარჩინოს.

– ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, ყმანვილო, და ღმერთი აქ არაფერ შუაშია. შენ უნდა გცოდნოდა, ვისი შეყვარება გეგებოდა და ვისი არა!..

– გულმა რომ არ იცის ეგეთები და ყურის გდება?

– გულს გონება უნდა მართავდეს, თორემ თავანყვეტილ გულისწადილს უზნეობა მოსდევს მეტწილად.

– ეგ მე არ მეხება, მოძღვარო.

– ეჰ, ჩემო კარგო, შენ უფრო მძიმე და გამოუვალ სიტუაციაში იგდებ თავს, ვიდრე წარმოგიდგენია. ყმანვილი ხარ და არ გესმის ჯერ. სიკვდილია თანმდევი შენი სიყვარულისა. იფიქრე ამაზე და თავს გაუფრთხილდი, ოდიშის სასახლეში არ გაბედო ციასთან შეხვედრა, იქ სხვა სიტუაციაა, მსტოვრებითა და დამსმენებითაა სავეს მთელი სასახლე, კედლებსაც ყურები აქვთ. ნურავის მიენდობი, შენი მეგობარი მთავრის კარზე, შენი თავი იქნება მხოლოდ, სხვა არავინ. დამილოცნიხარ, უფალი იყოს შენი შემწე და მეგზური ყოველ ნაბიჯზე, შვილო, – ეამბორა შუბლზე და დაისვენეო, უთხრა, დიდი გზა გაქვთ გასავლელი და მხნედ უნდა იყოო. ისიც დაარიგა, დიდებულთა ამაღას ან არ გაუტოლდე, ან ბედი არ დაგენვას და არ გაუსწროო...

თავი მეორე

ოდიშში ახალი ცხოვრება დაიწყო სრულიად. სასახლეში და მთავრის კარზე ისეთი ინტრიგები ტრიალებდა, წარმოდგენაც რომ გაუჭირდება ადამიანს. მთავრის ქებასა და სიახლოვეს ის იმსახურებდა, ვისაც უფრო მეტი ინტრიგების ხლართვა და დასმენა შეეძლო. სუნთქვაც ჭირდა ზოგჯერ. ზოგჯერ კი არა, უადგილო ამოხვნეშაც შეიძლებოდა ცუდ ტონად ჩაეთვალათ და ვაი მას, ვისაც ვარშანის სუსხი გადაუქროლებდა. მართალი იყო გორდელი კარის მოძღვარი, საკუთარი თავის გარდა არავის ნდობა შეეძლო თაუს. პირში გიციინიან და უკან სამარეს გითხრიანო, მოძღვარმა ესეც უთხრა წამოსვლის წინ და ასეც იყო. ციას ნახვა უფრო და უფრო გაუძნელდა ჭაბუკს, ლანდივით დასდევდნენ უსაქმური კარის ფარეშები და ფიშფიშია ქალები, რომლებიც სასახლეში თავს მსგავსი რამეებით იმკვიდრებდნენ. მით უფრო, გასულ კვირას დატრიალებული ამბის შემდგომ, ვარშანმა ჯოლი ჩიჩუას უფროსი და ცირუ კინისკვრით გააგდო სასახლიდან, არაფრისმქმნელი ზონზროხა ხარო, ჭამისა და ძილის მეტს არაფერს აკეთებო. ძიძიშვილ ჯოლის არ

მოერიდა სიტყვაუკმეხი ვარშანი, თორემ სხვას დაინდობდა ვინმეს? არაფერი გაუვიდა დედოფალსაც, შეავედრა ჯოლის და, მოკვდება, ასეთ დამცირებას ვერ გადაიტანსო, მაგრამ ჯიუტმა მთავარმა სიტყვა უკან არ დაიბრუნა და მორჩა. ამის შემდგომ კედელს აკრულივით დასარსალებდა ყველა, ცდილობდნენ უჟმურ თავადს არ შეფეთებოდნენ სადმე სასახლეში ან ბაღში.

აღდგომის დიდმარხვის სამყოფლოში ჩაეფლო მთელი სასახლე, ამ მარხვას ყოველთვის განსაკუთრებულად ინახავდა მთავარი და ეს პერიოდი იყო სიჩუმისა და სევდის მომჭამებელი მთელი ოდიშისთვის, განსაკუთრებით კი სასახლისთვის. თაუც მარხულობდა, შიგადაშიგ დაიბარებდა თავადი მეჩონგურეს და სევდიან, უფრო ნალვლიან სიმღერებს ამღერებდა. ჯვარზე გაკრული უფლის ტკივილი და ნუხილი უნდა გავიზიაროთ, აი, აღდგომის მერმის კი ვიზიემოთ და ვიმზიარულოთო. ვინ გადავიდოდა მთავრის ნება-სურვილს.

ერთ დღით, კარის ეკლესიაში დედის გარეშე სალოცავად ჩამოსულ ციას, მოხერხებულად მიეახლა ჩონგურია და შეხვედრა დაუნიშნა, მთავრის ამოსვლამდე, ბებერ მუხასთან გელოდებო. ცხვირკოდალა მარუშას, რომელმაც მზერა მოჰკრა ქალ-ვაჟის ნამიერ შელაპარაკებას, ეჭვი გაუჩნდა და გადანყვიტა, რაც უნდა დასჯდომოდა, გაეგო საქმის არსი, გაუკვირდა დიდგვაროვან ქალს, მეჩონგურე გომბოს რა საქმე ჰქონდა მომავალ დედოფალთან?

ემმაკი სიყვარულთანაა, თორემ სიძულვილთან რა ესაქმება? სიყვარულის დანგრევა სწაღია სწორედ და უბედურებით შეცვლა. სასახლიდან გადაცმულ და ჩუმად გასულ ციას ცხვირკოდალა მარუშამ კარისკაცი მიადევნა მსტოვრად. ნაწყაროვალ მინდორს გასცდა ცია, საჯინიბოს გვერდით, ნაბურდოვალ ადგილს გვერდი აუქცია და მიადგა ჭყონის ხეს, სად არისო თაუ, გაივლო გულში და ნამში ბიჭიც აესვეტა წინ. ხელეები შემოხვია ვაჟმა და შეკრთა უცებ გოგო, ხმაურიანო რაღაც. მიიხედ-მოიხედა თაუმ და ღიმილით მიუგო გულისსწორს: ნუ გეშინია, თოლიგე, ჭაკი უქვირქვირებსო თავის პატარა კვიცს. ეფერნენ, კოცნეს ერთმანეთი და გეგმაც დასახეს – კვირას, როცა ჭკადუაში ავიდოდნენ წესისამებრ მოსალოცად მთავარი და მისი ამაღლა, ცია უგუნებობას მოიმიზეზებდა, სასახლეში დარჩებოდა და როგორც კი მთავრის ამაღლა ჭკადუაშისკენ დაიძვრებოდა, ესენიც გაიპარებოდნენ (მით უფრო, მისი ძმა აფხაზეთში თავის საცოლესთან იყო წასული, უკეთეს დროს გასაქცევად ვერც ინატრებდნენ), და მარულასთვის, რომელიც სწორედ ციასა და იმერეთის უფლისწულის დანიშვნის აღსანიშნავად იმართებოდა, საგანგებოდ ჩერქეზეთიდან ჩამოყ-

ვანილი თოხარიკებით გზას, გურიის გავლით, აჭარისკენ შეუყვებოდნენ. ყველაფერი მოფიქრებული და მომზადებული მატქსო ჩონგურია, ჭალადიდთან ჩემი მამიდაშვილები შემოგვიერთდებიან, მონადირეები არიან ეგენი, ზეპირად იციან გზები და ბილიკები მთაში, მეგობრებიც ჰყავთ გურიასა თუ აჭარაში და ისინი მიგვაცილებენო ქედაში ბექარ ზოიძესთან უპრობლემოდო. ბექარი თაუს ბებუის ძმა იყო. როგორც კი მთავარემ პირველი სხივი ჩააქცია მდინარეში, ცია მაშინათვე გაეცალა იქაურობას და შეუმჩნევლადვე, უკანა კარებიდან შეიპარა სასახლეში.

დილიდანვე ყველაფერი გეგმისამებრ წარიმართა, მთავარი და მისი ამაღლა ჭკადუაში გაემგზავრა, ცია უგუნებობის მომიზეზებით შინ დატოვეს. პრობისამებრ მამაკაცურად გადაცმული ცია საჯინიბოსთან დათქმისამებრ დროულად მოვიდა და საჯინიბოდან ჩუმად გამოყვანილ, მისთვის შეკაზმულ ცხენზე ამხედრდა, ჩუმად, შეუმჩნევლად გავიდეთ წინა ბალი და მერე ნავქარდეთო, უთხრა გულისსწორმა გოგოს და ასეც მოიქცნენ. როგორც კი წელი სვლით გაიარეს ნეკერჩხლის კუნძული, წინა ბალის შესასვლელთან შეიარაღებულმა ცხენოსნებმა გადაუჭრეს გზა, უკნიდანაც სასახლის დაცვის ნევრები აღიმართნენ სვეტებივით და ალყაში მოაქციეს ახალგაზრდები. მარუშა ცხვირკოდალას მსტოვარს მოესმინა ყველაფერი და მთავრისთვის ჩაეკაკლა.

თავიდან არ ეჯერა ვარშან დადიას თურმე, როგორ შეიძლება ეგეთი რამე მოხდესო, სად ჩემი სადედოფლო ქალიშვილი და სად ტურტლიანი მეჩონგურეო, მაგრამ როცა მსტოვრის სიტყვა გამართლდა, თაუ ჩონგურიას დასაჭურისება ბრძანა, ცია კი საქმროს მოსვლამდე დიდ კოშკში გამოკეტეთ და გარდა ცხვირკოდალა მარუშასი არავინ გააკაროთო. მარხვის მერე გავუკეთოთ ბატონო კასტრაცია, დიდმარხვაა და ღმერთმა არ გვიწყინოსო, ამის გაგონებაზე ისე დააბრიალა თვალეები მთავარმა და ისეთი არაადამიანური ბლავილით აღმოხდა – ხვალვეო, საჩქაროდ გაექანნენ მოშე ურიას მოსაყვანად სენაკში, ეგ იყო მაგის ოსტატი, ერთი ცხენის სანაცვლოდ ადედელებდა კაცებს სათესლე ჯირკვლების ამოცლით. კასტრირებული და მომაკვდავი ბიჭის ხევში გადაგდება ბრძანა დადიამ. ღვთისნიერმა მეჯინიბე კოკიმ ორთვალაზე დასვენებული თაუ თავის განუყრელ ჩონგურთან ერთად მშობლიურ სახლში მიიყვანა. თუ რა ტკივილი და უბედურება დატრიალდებოდა ოჯახში თაუს ასეთ მდგომარეობაში ხილვით, ამაზე საუბრით თავს არ მოგანყენთ.

ამ ამბავმა ციას ყურამდეც მიაღწია და ჭკუას გადაცდენილი ქალი კოშკიდან გადმომხტარა და

სული მიწამდე არ დაჰყოლია.

სიცხიანი და უძალ-ლონო თავს ძმისთვის და დედისთვის უთხოვია ნამიჭამიას ველზე, ცაცხვის ძირას გამიყვანეთო, ეს როგორო, გაგიჟებულა დედა, მაგრამ საშველი რომ არ მიუცია ავად-მყოფს, ძლივს ძლივობით მიუყვანიათ სასურველ ადგილას, მთვარის ამოსვლას დაველოდოთო, მერე ჩონგურის მოტანაც უთხოვია კოჩიასთვის და ამოგორგოლებული მთვარის შუქქვეშ ის სიმ-ღერა უმღერია, პირველად, ამ ადგილას ციას შეხვედრისას რომ მღეროდა. წამომდგარა, თით-

ქოს არაფერი მომხდარიყოს, მხრებში გაშლილა, აუჟღერებია ჯადოსნურ ჰანგებად ჩონგური და თვითონაც საოცარი, ანგელოზური ხმა ამოხ-დენია... ვხედავდითო, ძმამ და დედამ, როგორ ქვავდებოდაო თანდათან თავი, თითქოსდა მთვა-რის სხივები ედუღაბებოდნენ და აქვავებდნენო ჭაბუქს...

ის ამობურცული ალაგი ლოდზე, ჩონგურის მუცელიაო, მრავლისმცოდნე შურიგემ და დააყო-ლა ნალვლიანად, ასე მთავრდებაო, მახა, ხშირად ნალდი და მზერამიუნვდომი სიყვარული!..

დემეტრეს მამის მადლიერების ბარათი ბათუმს!..

პარასკევს, 6 დეკემბერს გაიმართა ფრი-დონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის ლიტერატურულ კონკურს “ზღვაური-2019”-ის საზეიმო დაჯილდოება, რომელსაც უმასპინძლა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტმა. ზეი-მის ესთეტიურ და მაღალგემოვნებიან მხარეს განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, თუმცა გასაკვირი რა უნდა იყოს, როცა მას ხელ-მძღვანელობდა ცნობილი პოეტი და ესთეტი ქალბატონი ბელა ქებურია, რომელიც წლებია უანგაროდ და მუხლჩაუხრელად იბრძვის ნიჭი-ერი ახალგაზრდების გამოსავლენად, წარმოსა-ჩენად და მათვის მიმართულების მისაცემად.

აკი, მისი რედაქტორობით გამოცემული ლიტერატურული ჟურნალი “ზღვაური” ხელი-ხელ საგომანებელია არა მხოლოდ საქართვე-ლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ის გახ-ლავთ “გზამკვლევი” ნიჭიერი ახალგაზრდებისა, იმ თაობისა, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ჩვენი ხვალისდელი დღე- კულტურითა და პოლიტი-კით, ეკონომიკითა და ეროვნული მეურნეობით, რათა ეროვნულ საქმეს მენინაობდეს სიტყვა ქართული- მრავალლონე და მერმისი ეროვნუ-ლი სულისა. უფალმა სიკეთე და ბედნიერება მოგინაგროთ ქალბატონო ბელა, ცამალალო შემოქმედო და უთვალსაჩინოესო მოღვაწევ.

თქვენთან ერთად უდიდეს მადლობას ვწირავ საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს- ბრწყინვალე შემოქმედს ქალ-ბატონ მაყვალა გონაშვილს, აჭარის მწერალთა კავშირის თავჯდომარეს ასევე ბრწყინვალე პოეტსა და მოღვაწეს ბატონ დავით თედო-რაძეს; მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს- თიკა რუხაძეს, თამარ მესხიძეს; ბა-თუმის მერიას, მერის მოადგილეს- უნიჭიერეს

და უსაყვარლეს სოფო ხალვაშს. კონკურსის ყველა გულშემმატკივარს, აჭარის განათლების, კულტურის, სპორტის სამინისტროს, ასევე საქველმოქმედო ორგანიზაცია “ოცნების” პრე-ზიდენტს ნათია სვანიძეს, ელიტური სკოლა „გორდას“ დირექტორს ნინო მურვანიძეს.

ჩემს უფროს კოლეგას, დიდ პოეტსა და მართალ ქართველს – ვახტანგ ლლონტს, უნი-ჭიერეს კალმოსნებს: ქარდა ქარუხს, ცისანა ანთაძეს, ირაკლი შამათავას.

მადლობა თემურ კახიძის საოცარ ოჯახს, დავით კახიძეს, ნათია გაბინაშვილს, ქალთამზე ანა სურმანიძეს, ლელა რაზმაძეს, ნიკოლოზ ფუტყარაძეს, მარიამ გრიგორიადის, ნარგიზ ფუტყარაძეს, უდიდეს პიროვნებას- ავთანდილ ბერიძეს...

დიდი პოეტის აჭარის ზღვასა თუ ღელე – ლურდანში მოფარფატე სულის – ზურაბ გორ-გილაძის ძვირფას მეუღლეს – ლეილა დავითაძე – გორგილაძისას...

ყველას და ყველას... მხატვრებს, მომღერ-ლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს და საერთოდ „ბათუმს ქათქათას“!..

მადლობა თქვენ, დიდო ადამიანებო, ამ-დენი ახალგაზრდის გახარებისა და სტიმულის მიცემისთვის...

მადლობა ჩემი უმრწემესი ვაჟის – დემეტ-რეს ამოუნურავი ბედნიერებისთვის, სიხარუ-ლისთვის და სიყვარულისთვის!..

თქვენ შემოგვევლეთ აჭარლებო, ჩემო უსაყვარლესო ბათუმელებო!..

სიყვარულით, თქვენი

ლაშა გვასალია

ზუგდიდი.

ეკატერინე სოჭოლავა

ღიქსი



მინდას ეპოლუცია

მე ვარ სურვილი, სახელად მინდა,
არ ვარ ბოროტი და აღარც წმინდა.

ჩემს ირგვლივ ვხედავ მინდას სამეფოს,
აქ დრო სივრცეში ქმედებით მეფობს.

ვხედავ და მინდა ზეცის სილურჯე,
მთების სიმწვანე, მნათთა სიმუნჯე.

ბულბულის მინდა ჩემში გალობა,
ირმის სისხარტე, ტყეში გართობა.

ვხედავ და მინდა ფულის სიუხვე,
დიდებისათვის მთხოვნელს მიუხვდე.

მინდა ავიდე ცოდნის მწვერვალზე,
რომ მემსახურონ ყველანი ვალზე.

მინდა რომ „მინდას“ წავართვა ძალა,
არ დაველოდო, ის როდის წავა.

მხოლოდ მის მერე მოვა, „რა გინდა“?
რით გემსახურო? წავიდა „მინდა“.

მე უკვე მქვია შენთვის მლოცველი,
„მინდას“ მსაჯული, „რა გინდას“ მცველი.

მა ჩამს აფხაზეთს გულით ვატარებ

მასსოვს მდელოზე მარგალიტები
და დედის მკაცრი შემოძახილი.
ნახეთ! ალუჩის ნორჩი ყლორტები,
როგორ არიან ნამით დახრილი.

ძილისგუდებო! ადექით ჩქარა
და ჩაისუნთქეთ სუფთა ჰაერი.
ყოფა იღვიძებს, იყავით წყნარად,
მზე მხოლოდ დილით არის ამ ფერის.

...მერე ჩიტების აურზაური
და მეზობლების თბილი სალამი.
თოხგადებული ბაბუას ზურგი
და ფრთებშეჭრილი ბებოს ქათამი.

ლომის ფუჩხაზე რძის აქაფება,
კეცზე შემწვარი ყველის სურნელი,
„მა სი ქიგგაღე“ – თავს შემოვლება,
ლოცვით ნათქვამი: – იყავ დღეგრძელი.

ახლა ამ სურათს ვხედავ სიზმარში
და ყველა განცდას ამ ერთს ვადარებ.
სანამ არ ჩავალ დედამინაში,
მე ჩემს აფხაზეთს გულით ვატარებ.

ფერების გარეშე

გრძნობების გარეშე სიტყვები ფუჭია.
 სიტყვების გარეშე გონება – ურჩი.
 უსიყვარულოდ ფერები მუნჯია,
 ფერების გარეშე მუნჯია ფუნჯიც.

ასე მოდის სიშორე ახლოს

შენ ფანტელ-ფანტელ გაათეთრე რუხი სამყარო,
 თითქოს ღრუბელი დააფინე დედამინაზე.
 ასე სათუთად, ნაზად ცდილობ გვითხრა: აქ ვარო!
 და სანამ ნახვალ დაგვიტოვო კვალი მინაზე.

ყველა ფანტელში ჩამალული ზეცის დიდება
 ეჩურჩულება არემარეს, სითეთრით ათბობს.
 მის სიმკაცრეში მხოლოდ დიდი გრძნობა ვლინდება
 და თრთოლით გვიმხელს: „ასე მოდის სიშორე ახლოს“.

* * *

შენშია მონა, მახინჯი, მუნჯი.
 შენშია გმირი, მამაცი, ბურჯი.

შენშია ზეცა, ბუნება, მინა.
 შენ ქმენ საზღვრები და შენვე იცავ.

შენშია სახლი, სასახლე, ქოხი.
 შენ ამბობ ჩუმად, ლოცვით და მოთქმით.

შენ წერ იგავებს, ზღაპრებს, კანონებს.
 შენ იხდი ფარჩას, ხან იცვამ ძონძებს.

შენ ხარ ამ ყოფის მეფე ბატონი.
 შენზეა ახლა, როგორ ანონი.

დედა

დედა ხიდია, ორი გულის სანდო კავშირი,
 უფლის მენილე, უანგარო გრძნობის ფესვები.
 დაბლა დედაა, მაღლა – ღმერთი ხელებგაშლილი,
 რომ სიყვარული შევიმეცნოთ მათი შეხებით.

* * *

იქნებ ზღვა ზეცაა, ტალღები – ღრუბლები.
 სანამ ფრთებს ვიპოვი, რომ თრთოლით შემეხოს.
 ქვიშა, – ვარსკვლავები დაყრილი უკლებლივ,
 რომ მათთან შეხებით აღმასვლა შემეძლოს.

ღამაჯილდოვა

მტკივა სიშორე და სიახლოვე,
რადგან ვერ ვხედავ, როდის მეხები.
როდესაც ვფიქრობ, რომ მიმატოვე,
მაშინ გპოულობ ისევ შემთხვევით.

ჩემი თვალები სურვილებს ხედავს,
შენი თვალები ხედავს განზრახვას.
შიში მერევა და მაინც ვბედავ,
გთხოვო სიმშვიდე, რწმენა, გარდაქმნა.

ვიცი, შევცოდე, როცა ჩავკბიჩე
აკრძალული ხის მწიფე ნაყოფი
და ისიც ვიცი, როგორ გამიფხვნი
კარგი ცუდისგან ფარდით, გამყოფით.

მე დღეს დავბრუნდი, იმ ხის ქვეშ ვდგავარ,
ცოდნის კი არა, რწმენის ნყურვილით.
მნახე! მითხარი, ახლა თუ გგავარ,
ღამაჯილდოვე შერწყმის სურვილით.

* * *

გული არავის არ მონობს,
უფალს ეკუთვნის მთლიანად.
სიყვარულისთვის ის ცხოვრობს,
ვინც თავს გრძნობს ადამიანად.

* * *

ბრძოლაა ორი ძალის ჭიდილი,
ერთი მეორის ცდილობს დაძლევას,
შენ მათ ჭიდილში ღონემიხდილი
ღმერთს ევედრები, – მომეც გაძლება.

ვინ თქვა. რომ ცხოვრობ შენ ბრძოლის ველზე,
რომ რომელიმეს შენ ხარ მძევალი.
ამ ორი ძალის გახედნას შეძლებ,
თუ ცოდნა გზაა, რწმენა – მწვერვალი.

* * *

გულს არ უბრძანო, გულმა გიბრძანოს,
გულს არ შეეხო, გული შეგეხოს.
გულია გრძნობის ზუსტი საზომი,
ის სიცოცხლეა, არა წამმზომი.

თანაავტორი

წამ-წამ ცხოვრება უსასრულო ყოფის კვალია,
სულ იყო წამში, სიცოცხლის წინ შენი ვალია.
წარსული გძარცვავს,

მომავალი მხოლოდ გპირდება,
წამის შეგრძნებით უფლის ნება
შენში ვლინდება.

ძალა ამ წამის, მისი რწმენით უსასრულოა.
შიში, რომ წამი დამთავრდება, უსაფუძვლოა,
რადგან უფალი არის თავად წამის ავტორი,
ამიტომ მას სურს გახდე მისი თანაავტორი.

* * *

ერის უფალი თუკი ერია,
თუკი თავია თავის უფალი.
ნუ იტყვი მტერზე, – ჩემი მტერია
და არ გახდები ჭირისუფალი.

* * *

ნუ ჩაეზრდები კიბის საფეხურს,
კიბე ერთია, ამსვლელი – ბევრი.
მიჰყევი რწმენით იმათ ნაფეხურს,
ვინც მიაბჯინა ცას კიბის წვერი.

ნუ ჩაეზრდები კიბის საფეხურს
და ნუ ჩახერგავ გზას ლოცვით სავალს.
ნუ დაიხატავ ზურგზე ნაფეხურს
და ნუ გაიხდი მტრად აღმა მავალს.



ჯემალ შონია

მართალი წიგნი ქართული სახელმწიფოსა და დემოკრატიის თანამედროვე პრობლემებზე

მიმდინარე წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ მკითხველებს შესთავაზა ისტორიკოსისა და პუბლიცისტის მურმან ზაქარაიას წიგნი „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“. ეს ნაშრომი ფრიად საყურადღებოა იმით, რომ ეხება 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტჩის შედეგად დღემდე განვითარებულ მოვლენებს, ამ მოვლენათა ანალიზსა და დასკვნებს. რაც მთავარია, ავტორი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მოღვაწე, მსჯელობას წარმართავს ეროვნული პოზიციიდან, ანუ მისთვის უმთავრესია მხილება იმ მანკიერი ტენდენციებისა, რომლებმაც განვითარება სწორედ იმ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად პოვა.

ამ მიმოხილვაში შევეცდებით გადმოცემას იმ ვითარებისა, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი პუტჩის შემდგომი საზოგადოება და რასაც ავტორის დაკვირვებული თვალი ხედავს. იგი წიგნის მიზანსა და დანიშნულებაზე პირველივე აბზაცში აღნიშნავს, როდესაც წერს:

„თანამედროვე საქართველოს სინამდვილეში, სადაც ერის უდიდესი ძალისხმევითა და ერთი კაცის პოლიტიკური გამჭრიახობით მოპოვებულ იქნა ეროვნული თავისუფლება და აღდგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ყველაფერი იმსხვერპლა პუტჩისტური „ეპოქის გონებრივმა სიჩლუნგემ და ობსკურანტიზმმა“... ჩვენს საზოგადოებაში დაღუპული საბჭოური სისტემის სოციალური ფენების აზროვნების ნამსხვრევების უსისტემო გროვა უფრო ჩანს, ვიდრე თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების თუნდაც ჩანასახი... სადაც ვერაფრით გაურკვევიათ ქეშმარიტი და მოჩვენებითი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის არსი, ვერ დაუდგენიათ სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობისა და სამოქალაქო საზოგადოების ბუნება, ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიათ რევოლუციური და კონტრრევოლუციური პროცესები...“

ასეთ ვითარებაში ავტორს გაჩუმება არა მარტო პრინციპების, არამედ ქვეყნის ინტერესების ლალატად მიაჩნია, რადგანაც შესაცვლელია

არა მარტო არსებული პოლიტიკური ვითარება, არამედ მთელი პოსტპუტჩისტური ფსიქოსოციალური განწყობა, რომელიც ნასაზრდოებია, ერთი მხრივ, რუსულ-სოციალისტური ნახევრადკრიმინალური აგრესიული იდეოლოგიით, მეორე მხრივ, ფსევდოდემოკრატიზმით, აპატრიოტული, სრულ უპასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ულტრა-ლიბერალიზმით...

ავტორი თვლის, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობის ჯაჭვის განყვეტილი რგოლების აღდგენა დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების გარეშეა შესაძლებელი, აუცილებელი იქნება ეროვნული თანხმობის მძლავრი პლატფორმის შექმნა.

წიგნის შესავალ ნაწილში მ. ზაქარაია ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიური ნოვაციების აუცილებლობაზე. ამ ნოვაციებს იგი განიხილავს ქართული სინამდვილიდან გამომდინარე და სათანადო განმარტებებსაც იძლევა. მაგალითად, ტერმინი „დისპარატული“, ანუ ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული ცნებები, ასახავს ჩვენში საბჭოურ-ნომენკლატურული, კრიმინალური პუტჩის შემდგომ ჩამოყალიბებულ მიდგომებს თავისუფალი, დემოკრატიული, ეროვნული სახელმწიფოს აშენების საკითხში. ამ დროს გაბატონებული ანტინაციონალური ძალა საკუთარი გამორჩენის მიზნით ამკვიდრებს ფსევდოსახელმწიფოებრივ, ფსევდოდემოკრატიულ მიდგომებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლური დოკუმენტებიდან გამომდინარე იდეებთან.

ავტორს შემოაქვს ტერმინი „პუტჩისტური ალიანსი“, რომელსაც, მისი თქმით, „ფესვები გადგმული აქვს საბჭოთა იმპერიის უღლისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის გარიჟრაჟიდან მომდინარე ანტიგანმათავისუფლებელ რეაქციაში“. აქვე დასახელებულია პუტჩისტური ალიანსის წევრები: 1. „გარდაქმნის“ ლოზუნგს ამოფარებული კომპარტიული პოლიტიკური და რესპუბლიკური ცკ და ნომენკლატურა; 2. ხელმოცარულ პარტიებთან და პოლიტიკოსებთან შეკრული მაფიოზურ-კრიმინალური ბანდები; 3. „წითელი ინტელიგენცია“ და მასთან დაკავშირებული ნაირგვარი მასა; 4. რუსულ სამხედრო

ძალასთან დაკავშირებული, სახელმწიფოს წინა-აღმდეგ ამბოხებული გვარდიული და შინაგანი ძალების ჯგუფები.

მ. ზაქარაიას შემოაქვს ფსევდოსოციუმის, ფსევდოიდეოლოგიური ბაზისის, მაროდიორული კაპიტალისა და ბურჟუაზიის ცნებები და ასკვნის, რომ „მაროდიორულმა ოლიგარქიამ პოლიტიკურად ლიცენზირებული და პატენტირებული სახე მიიღო და სრულად დაეუფლა სახელმწიფოს“.

ნიგნის პირველი თავი – „დამოუკიდებლობის ორი აქტი – ორი მიდგომა“ – განიხილავს 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის მოვლენების ურთიერთიმართებასა და მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩენას დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. მ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ „ძირითადად მწვავე დავა-კამათი მიმდინარეობს იმის ირგვლივ, თუ დამოუკიდებლობის ამ ორი აქტიდან რომელია უფრო მნიშვნელოვანი და რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი კონსტიტუციური დოკუმენტისა“.

თავიდანვე აღნიშნავთ, რომ 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე – პოსტპუტჩისტური ხელისუფლების მიერ აღინიშნება „საქართველოს ეროვნული ერთიანობის დღედ“ და აქცენტი გადატანილია ისევ და ისევ 1989 წლის 9 აპრილზე, იმ 9 აპრილის ტრაგედიაზე, გლოვაზე და არა 1991 წლის 9 აპრილზე, როდესაც საქართველომ აღადგინა რუსეთის მიერ 1921 წელს განხორციელებული დაპყრობისა და ანექსიის შედეგად დაკარგული დამოუკიდებლობა, რითაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას ახალი ისტორიული დატვირთვა შესძინა. ეს ნათლად ჩანს ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისას წარმოთქმულ სიტყვაში: „სიმბოლოურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

დავუბრუნდეთ ისევ მ. ზაქარაიას, რომელიც აღნიშნავს: „ისინი, ვინც დღეს ცდილობენ ამ ნანატრი და ჭეშმარიტი, ისტორიული დოკუმენტის, შესაბამისად, მოვლენის მიჩქმალვას და იგნორირებას, 1918 წლის 26 მაისის აქტის ზედმეტად წინ წამოწევის მზაკვრული ხერხით და ფარისევლური მიდგომით, **დანაშაულს სჩადიან,**

ამასთან **არც ისინი არიან მართლნი,** ვინც თითქოს საპასუხოდ აკნინებენ 1918 წლის 26 მაისის მოვლენებს და სოციალ-დემოკრატების ჯინაზე ცდილობენ მას „გადაუარონ“.

შემდეგ ავტორი მსჯელობს 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის აქტების ისტორიულ და პოლიტიკურ საზრისზე. მოვლენათა ანალიზითა და სათანადო არგუმენტებით ავტორი განმარტავს ამ ორი მოვლენის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის უმთავრეს საზრისს წარმოადგენს იმპერიის უღლისგან განთავისუფლება და „წარმოადგენს საქართველოს რუსული იმპერიის უღლისგან **განთავისუფლების დოკუმენტს**“. აქედან გამომდინარე, ავტორს მივყავართ იმ ძირითად პრობლემამდე, რომელიც ამ ორი აქტის ურთიერთიმართებასთან არის დაკავშირებული:

„მიუხედავად იმ უდიდესი ისტორიული ღირებულებისა, 26 მაისის ფუძემდებლურ აქტს რომ ჰქონდა, და იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი დატვირთვისა, რომელიც მან 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე შეიძინა, მისადმი დამოკიდებულება ისევე, როგორც საუკუნის წინ, არაერთგვაროვანია და ამოვარდნილია სახელმწიფოებრივი აზროვნების კალაპოტიდან. ერთი მხრივ, ხდება მისი ადგილისა და როლის გაზვიადება და გაუკუღმართება მმართველი პოსტპუტჩისტური სოციუმის მხრიდან; გაუკუღმართება იმდენად, რამდენადაც ხდება მისი უმთავრესი, **განმათავისუფლებელი მისიის** სრული იგნორირება. მეორე მხრივ, ხდება მისთვის არადაამახასიათებელი ფუნქციის მიკუთვნება, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში მისი მონაწილეობის როლის ხელოვნურად გაზრდა, რათა დააკნინონ 9 აპრილის აქტის მნიშვნელობა“.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ყოველივე ეს შედეგია ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალებისა და პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული სოციუმის საქმიანობისა“ და სვამს საკითხს ამ ორი დოკუმენტის მიმართ არსებული ურთულესი პრობლემური საკითხების წინ წამოწევის აუცილებლობის შესახებ.

წამოწმობს ვკითხულობთ, რომ „1918 წლის 26 მაისის აქტის სახელმწიფოებრივი და ისტორიული მნიშვნელობის დადგენისათვის აუცილებელია სამი ფუნდამენტური ღირებულების მომცველი მომენტის გამოყოფა, რომელნიც სრულად ასახავენ ამ დოკუმენტის ადგილსა და როლს თა-

ნამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში“. ავტორის თქმით, ეს ღირებულებებია ქვეყნის განთავისუფლება, დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი და მათგან გამომდინარე – სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკის დადგენა.

აქედან გამომდინარე, მ.ზაქარაია წერს: „სამწუხაროდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ სახელდებაშიც და ტექსტშიც... სწორედ ეს უმთავრესი მახასიათებელი – ქვეყნის იმპერიული უღლისგან **განთავისუფლება** – არის ჩრდილში მოქცეული და როგორც პრეამბულაში, ასევე ძირითად მუხლებშიც ირიბად ფიქსირდება ან კონტექსტში იკითხება.“

შემდეგ ავტორი მსჯელობს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ურთიერთმიმართებაზე და ასკვნის, რომ 1918 წლის 26 მაისის აქტის ზემოთ მოყვანილ სამ უმთავრეს კრიტერიუმს ახალი სიცოცხლე შესძინა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტმა, რომლითაც მოხდა ამ წმინდა დემოკრატიულ ღირებულებებზე აგებული სახელმწიფოებრივი პრინციპების აღდგენა. ამდენად, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი წარმოადგენს უმთავრეს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელზედაც აიგო თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა და მისი კონსტიტუციური წყობა; 9 აპრილმა დაუბრუნა პოლიტიკურ-სამართლებრივი სიცოცხლე 1918 წლის 26 მაისის აქტს, რომელიც 9 აპრილის გარეშე მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია.

მიუხედავად ამისა, როგორც ავტორი აღნიშნავს, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისადმი „დამოკიდებულება 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული უკანონო ხელისუფლების, მისი საყრდენის – „წითელი ინტელიგენციის“ და ნეოსოციალისტური კრიმინალური ალიანსის მხრიდან ცალსახად მტრული იყო“.

ეს გრძელდება დღესაც, რადგან, როგორც მ.ზაქარაია წერს, შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების დროიდან ამ ანტიდემოკრატიულ, ფსევდოლიბერალურ ბაზაზე დგას და ნვალობს ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრიობა. ეს სისტემა „ვარდების რევოლუციამაც ვერ დაანგრია ბოლომდე, ვინაიდან მან ვერ შეძლო და არც უცდია ამ ბაზისის ძირისძირამდე ამოძირკვა; „რევოლუციამ“ მხოლოდ მოანგრია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დამანგრეველი პუტჩისტური ალიანსის რევანშისტული აისბერ-

გის ხილული ნაწილის წვერი და შეეცადა მასზე ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის კონსტრუქციის დაშენებას. ეს კი წმინდა წყლის ილუზია იყო, ვინაიდან, ისედაც უსაფუძვლოდ მოდრეიფე უკანონობისა და ძალმომრეობის, სიცრუის აისბერგის წატიხილ თავზე ვერავითარ სამართლებრივ სისტემას ვერ დააშენებ. სინამდვილეში მივიღეთ რალაცა რუსულ-კრიმინალური და დასავლურ-ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ნაჯვარი, რომელმაც გზა გაუხსნა ყოველგვარი ჯურის დენაციონალიზებულ და დეკლასირებულ ანტიძალებს, რომელთათვისაც კატეგორიულად მიუღებელი იყო არა მარტო რეალური პროდასავლური რევოლუციური გარდაქმნები, არამედ თვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის **ბაზისური საფუძველი** – 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოური მრავალპარტიული, ნამდვილად თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით“.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ არჩევნების, როგორც პრეცედენტის, მიჩქმალვა პუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული სოციუმისათვის შევარდნაძის ცრუარჩევნიდან მოყოლებული დღემდე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ წარმოადგენს შეტევის ობიექტს ასევე უმაღლეს დემოკრატიულ დონეზე ჩატარებული 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და მის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება იმავე წლის 9 აპრილს.

მ.ზაქარაია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს სოციუმი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, მიწასთან გაასწოროს 1991 წლის 9 აპრილის მონაპოვარი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს სოციუმი წარმოადგენს საბჭოური პარტოკრატიის, წითელი ინტელიგენციისა და კრიმინალ-მაფიოზთა ჰიბრიდს. ეს სოციუმი დღემდე მართავს ქვეყანას და მისი ხელით „**იძარცვება საქართველო, იღვენება ეროვნული მოძრაობა, გრძელდება ქართველთა გენოციდი**“.

ეს ფენა არ არის დაინტერესებული 9 აპრილის აქტის მნიშვნელობისა და ღირებულების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე წარმოჩენით; პირიქით, მათი მიჩქმალვითა და დაკნინებით ცდილობენ თავიანთი დანაშაულობების დაფარვას, ამისთვის დასჭირდათ მათ შესაფერისი იდეური ბაზისის ფორმირება, რომელიც სიცრუესა და სიყალბეზეა დამყარებული. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს 2012 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია – უძველესი დროიდან 2009 წლამდე“, რომლის ავტორები

არიან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პუტჩისტური სოციუმის იდეოლოგიის მსახური ისტორიკოსები დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონიძე, ალექსანდრე დაუშვილი.

მ. ზაქარაია დასაწყისშივე გვარკვევს იმაში, რომ „პუტჩისტური ალიანსის ისტორიკოსთა შეტევის ობიექტი, რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიაა და მისი ლიდერობით გატარებული ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება, რომელზედაც დგას და მუდამ იდგება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობა.“

შემდეგ ჩამოთვლილია და გაანალიზებულია ზემოთ თქმულის დამადასტურებელი მაგალითები, რომლებზედაც მოკლედ მოგიყვებით:

„ისტორიის“ ავტორები ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორ ფრთას გამოყოფენ, რაც თურმე დაფიქსირდა 1988 წლის დეკემბერში იზოდრომზე გამართული მიტინგის დროს: ერთს სურდა ნაკლები დანაკარგებით (?) მიეღწია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ატარებდა ვითომ განონასწორებულ პოლიტიკას საკავშირო ცენტრის მიმართ, და ეს, ავტორთა თქმით, ყოფილა ქართველი ინტელიგენციის წარმმართველი ჯგუფი, მეორენი, რადიკალები, კი იბრძოდნენ სრული დამოუკიდებლობისათვის. ეს ავტორები დანაღვლიანებით აღნიშნავენ, რომ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებისას ამ რადიკალებმა შეძლეს ზომიერი პოლიტიკური ძალების ჩანაცვლება და მიტინგს მისცეს აგრესიული ხასიათი. ამრიგად, ავტორები 9 აპრილის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას „ექსტრემისტ“ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და მათ მიერ „აყოლიებულ“ ახალგაზრდებს აკისრებენ.

მათი თქმით, თურმე „ლოგიკურად არ გამოიყურებოდა“ ის, რომ 9 აპრილის შემდეგ განსაკუთრებით გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურა, რამაც თითქოს „დააფრთხო“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მ. ზაქარაია კი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ამ წარმოჩენას“ კი არ დაუფრთხია ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც 9 აპრილის შემდეგ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო, არამედ მოახდინა ერის კონსოლიდაცია, წარმოაჩინა მისი მზაობა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად...“ ამასთან ამ მოვლენამ ნიღაბი ახადა ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილ ფსევდოეროვნულ პარტიებსა თუ პიროვნებებს, რომლებსაც „ისტორიის“ ეს ავტორები „ზომიერებს“ უწოდებენ და სინამდვილეში კრემლთან თანამშრომლობდნენ. მ. ზაქარაიას ამ

ავტორთა მეცნიერულ არაკეთილსინდისიერებად სამართლიანად მიაჩნია ისიც, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნების ამხდენელ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას „ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ დაჯგუფებას“ უწოდებენ. მეტიც, როგორც მ. ზაქარაია აღნიშნავს, „კიდევ უფრო დიდი უბედურებაა ის, რომ მათი „ისტორიული აზროვნების“ დეგრადაცია ვერც ამ ზღურბლზე ჩერდება და სრულ ისტორიულ-პოლიტიკურ (მეცნიერულ) ნაძირლობამდე დადის“.

საკითხი ეხება ამ ავტორთა მიერ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების გაყალბებულ და დამამცირებელ შეფასებას; მაშინ როცა ეს არჩევნები საქართველოშიც და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც აღიარებულია, როგორც არასაბჭოური, მრავალპარტიული, თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი, ეს ისტორიკოსები მას „კომუნისტებთან გარიგებას“ უწოდებენ. სამაგიეროდ, ფსევდოეროვნული მოძრაობის მიერ გათამაშებული ე.წ. კონგრესის არჩევნები გამოცხადებულია, როგორც პარალელური არჩევნები, რომელსაც თურმე „მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა. სინამდვილეში, ეს „კონგრესი“ მისი „არჩევნების“ მეორე დღიდანვე თვითონ მის დამკვეთებსა და შემოქმედებსაც კი არ გახსენებიათ.

ამის შემდეგ პუტჩისტური სოციუმის ამ ისტორიკოს-იდეოლოგებს შეტევა მიაქვთ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და მის საფუძველზე 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებაზე. მათი თქმით, დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე და მისი შეფასებისას გვერდს უვლიან მის უმთავრეს დასაყრდენს – საერთაშორისო სამართლის ნორმებით ჩატარებულ რეფერენდუმს, რომლითაც არა მარტო ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობა იძენს თავისი არსებობის უფლებას, არამედ თვით 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს სძენს ახალ სიცოცხლესა და იურიდიულ-სამართლებრივ საზრისს. ამ გამიზნული სიყალბით კინდება ყველაფერი, რაც დაკავშირებულია კანონიერი ხელისუფლების მოღვაწეობასთან. მ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ პუტჩისტური სოციუმი „26 მაისის აქტის ხაზგასმით წინ წამოწევით და რეფერენდუმის არხსენება-მიჩუმათებით ერთმანეთს უპირისპირებს ამ ორ ერთნაირ ღონისძიებას, სადაც უმთავრესი და კონსტიტუციური ძალის მატარებელი სწორედ რომ 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტია, მაგრამ

ამ ცრუსოციუმსა და მის ცრუსტორიკოსებს სწორედ მისი – ამ აქტის „მინასთან გასწორება“ დაუსახავთ მიზნად“. ეს აქტი მათ „დეკლარირებულ გამოცხადებად“ მონათლეს და ამ ფუძემდებლური დოკუმენტის მნიშვნელობასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სრულფასოვნებაც მიზანმიმართულად ეჭვქვეშ დააყენეს.

მსგავს მიდგომას იჩენენ ისინი 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ. ასეთ მიდგომებს, რასაც ეს ვაი-ისტორიკოსები იჩენენ, მ. ზაქარაია სამართლიანად მიიჩნევს აშკარა მტრობად არა მარტო ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების, არამედ ქვეყნის და ხალხის წინააღმდეგ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „**პუტჩისტური ალიანსისაგან შობილი სოციუმის ეს იდეოლოგია ასულდგმულებს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ მოსულ ყველა მმართველობას. ფაქტობრივად, ისინი განაგებენ ქვეყანას უშუალო მმართველობის გზით თუ მის გარეშე. ამ წრისთვის ამოსავალი დოქტრინაა კანონიერ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ფაქტებისა და ფუძემდებლური დოკუმენტების ფალსიფიცირება, მათი რეალური საზრისების გაუკუღმართება, ჭეშმარიტი დემოკრატიული არსისგან დაცლა და მათივე პირადი ინტერესებისა და მისწრაფებებისადმი მისადაგება“.**

შემდეგ მ. ზაქარაია მსჯელობს იმ გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობეს დისპარატული მიდგომის ჩასახვა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფორმირების მიმართ. მისი თქმით, სინამდვილეში საქმე გვაქვს ჭეშმარიტებისა და სიცრუის დაპირისპირებასთან; როცა ყალბის-მთქმელთა კასტა ცდილობს თავისი დანაშაულებრივი ქმედებების გამართლებას, მათ შეტევა მიაქვთ ეროვნულ ხელისუფლებაზე, ზვიად გამსახურდიასზე, როგორც რუსულ-საბჭოური იმპერიის უღლისაგან სამშობლოს დახსნისათვის თავგანწირულ მებრძოლსა და ლიდერზე. მ. ზაქარაია საკადრის პასუხს აძლევს ამ ცრუსტორიკოსებს, რომლებიც ცინიკურად აღნიშნავენ, რომ თითქოს ზ. გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის წარმოჩენა „ლოგიკურად არ გამოიყურებოდა“. ავტორი სამართლიანად შენიშნავს: „ასეთი ცრუსტორიების შექმნა იმდენადაა საშიში, რამდენადაც, პირველ რიგში, ისინი ამ გზით რყვნიან მომავალ თაობას“. იგი „თაობის გაქცევას“ უწოდებს იმ ფაქტს, რომ სამშობლოს მოღალატეებმა ახალგაზრდობას წაართვეს ხვალისდელი დღის იმედი

და გაუყენეს ინდიფერენტიზმის, ნიჰილიზმისა და კრიმინალური იდეოლოგიის გზას, „მათ არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოაშორეს ახალგაზრდობა, არამედ ჩამოაშორეს თავიანთ სამშობლო ქვეყანას, ოჯახს, სისხლსა და ხორცს, ტოლ-სწორთ. უიდეობით ან ცრუ იდეით განბნეულნი მიმოფანტეს მთელ დუნიაზე, სადაც ავსებენ კრიმინალურ სამყაროს და ნარკოტიკებით გაბრუებულნი ისწრაფებენ სიცოცხლეს. იმ მცირედთ, ვინც შემორჩა ამქვეყნად, ეს კრემლის ემისრები და მათი პროტოტიპები გონებასა და სულს უწამლავენ ამ და სხვა მსგავსი „ისტორიებით“ თუ ცრუ იდეოლოგიით...“

ეხება რა ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის პერსპექტივას, ავტორი აღნიშნავს, რომ დიდი ხანია, რაც ხალხის მოთხოვნააა ქცეული ეროვნული და სამოქალაქო თანხმობის ცხოვრებაში გატარება, „მაგრამ, სამწუხაროდ, ალიანსური სოციუმის მიერ მოყვანილი და დასმული ყველა ხელისუფლება სიტყვით განადიდებს ამ იდეას სამოქალაქო თანხმობისას, მაგრამ სინამდვილეში ებრძვის მის ყოველგვარ გამოვლინებას...“

მ. ზაქარაია აყენებს საკითხს, რომ უნდა ვესწრაფოთ არა ფორმალური საკითხების მოგვარების მოთხოვნას, არამედ სისხლით მოპოვებული ხელშესახები მიღწევების განახლებას, „უნდა განვაახლოთ ის დიდი ომი, რომლის გადატანა მოუხდა ჩვენს ხალხს ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით და შეძლო მის მიერ 1990 წლის 14 ნოემბერს გაჟღერებული გეგმის განხორციელება და მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთიდან აღდგენა“.

აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ბრძოლით მიღწეულის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, „ერთგულებას ღალატმა სძლია“ და დღემდე ძალაშია ზვიად გამსახურდიას მიერ 1992 წლის 26 მაისისადმი მიძღვნილ მიმართვაში ჩამოთვლილი ავბედითი მოვლენები: გრძელდება ქართველთა გენოციდი, იძარცვება საქართველო და იდევნება ეროვნული მოძრაობა.

ეს დამანგრეველი პროცესი თითქოსდა უნდა შეეჩერებინა 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“, მაგრამ მისი მეშვეობით ქვეყნის სათავეში მოქცეულმა პოლიტიკურმა ალიანსმა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რალაც სტრუქტურული წესრიგი დაამყარა, მაინც ვერ შეძლო პუტჩისტური გადატრიალების შედეგად შეწყვეტილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობითი პროცესის განახლება. დღეს პუტჩისტური ალიანსით შობილი ფსევდოდემოკ-

რატიული ძალები დამკვიდრდნენ სახელმწიფოს ყველა სტრუქტურაში, მათ ხელშია ეროვნული სიმდიდრე, კრიმინალური გზით შექმნილი საბანკო-საფინანსო კაპიტალი; ისინი მძლავრობენ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, ამკვიდრებენ ცრუიდეოლოგიებს, წერენ სიყალბითა და ბოროტებით გაჯერებულ ცრუ ისტორიებს, ამკვიდრებენ ცრუეროვნულობას რუსული შოვინიზმის თარგზე და ა.შ.

ავტორს წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის მეხუთედი ოკუპირებულია, არ არსებობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიოკუპაციური სახალხო მოძრაობა; ეროვნული თანხმობის მოძრაობა კი, რომელმაც თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულა მიხრწნილ-მოღალატური რეჟიმის დასამარებაში, თვით რევოლუციური ხელისუფლების ხელით იქნა განადგურებული და დღემდე ყველაფერი კეთდება მისი აღორძინების წინააღმდეგ.

მ. ზაქარაიას ეს ნაშრომი იწერებოდა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების წინ და ავტორი ყურადღებას ამახვილებს „სალომე ზურაბიშვილის პროექტზე, რომელიც, უდავოდ, დამუშავებულია კრემლისა და სუკის პალატებში, როგორც ყველა სხვა, რომელთა შედეგადაც განხორციელდა კანონიერი ხელისუფლების დახმობა, სამოქალაქო დაპირისპირება და სისხლიანი ტერორი“... საკითხი ეხება ამ ქალბატონის განცხადებას, რომ ოკუპირებული ტერიტორიები განგრენაა საქართველოს სახელმწიფოს სხეულზე და ამიტომ ისინი უნდა მოიკვეთოს. ამ მოღალატურ და მეტად საშიშ განცხადებას სათანადო რეაქცია და პროტესტი არ მოჰყოლია, რასაც ავტორი იმით ხსნის, რომ გამოვიმუშავეთ რაღაც მუდმივად მოქმედი იმუნიტეტი იმისა, რომ ნახევრად მკვეთრ ტონში მოვიხსენიოთ რუსეთის იმპერიის ვერაგობისა და მისი ადგილობრივი ემისრების მოღალატური ქმედებანი. ამიტომ გვახსენებს ავტორი ზვიად გამსახურდიას მიერ დასახულ ერთადერთ სწორ გზას, რომ „ყოველ ჟამს და ყოველ სიტუაციაში, როდესაც გვიხდება ბრძოლა შავბნელი ძალების წინააღმდეგ, „საჭიროა ერთიანი შეტევა საყოველთაო მხილების გზით“, ესაა გზა კანონიერებისა და სამართლიანობის გამარჯვებისა“...

პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლებამ, ე.წ. დემოკრატიული რუსეთის მიერ დასმულმა ე.წ. დემოკრატიამ ხალხს წაართვეს მისი „ღიადი ნების აღსრულების შესაბამისი ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ნამდვილად სახალხო დღესასწაული,

რადგან ამ დღეს ერი არა მარტო ამქვეყნიურად აღივსებოდა თავისი მოდგმის მრავალსაუკუნოვანი ოცნების ახდენის სიხარულით, არამედ ის სულიერადაც დაუკავშირდებოდა 9 აპრილს წამებულთა სულებს“...

ავტორის თქმით, ვერც შევარდნაძის მოღალატურ-ანარქიული რეჟიმის დამამხობელმა რევოლუციამ შეძლო ხელისუფლების განთავისუფლება პუტჩისტური ალიანსის იდეოლოგიისაგან, მეტიც, „პოსტრევოლუციურმა მმართველობამ საკუთარ უბეში გამოზადა კონტრრევოლუცია, რომელიც **ახალ ხარისხში და ახალი ფორმით** სრულად აღადგენს პოსტპუტჩისტურ იდეოლოგიას ფსევდოსახელმწიფოებრიობისას...“

26 მაისისა და 9 აპრილის დღესასწაულების ურთიერთმიმართება ეროვნული თანხმობის პრინციპებითაა გადასაწყვეტი, რამაც უნდა აღმოფხვრას ამ აქტებისადმი ორგვარი – დისპარატული მიდგომის მოტივები.

სათანადო მსჯელობით მ.ზაქარაია მიდის იმ დასკვნამდე, რომ 1918 წლის 26 მაისის აქტის უმთავრესი ღირებულებაა ხალხისთვის ღვთით მონიჭებული განმათავისუფლებელი მისიის აღსრულება, ამიტომ **26 მაისი არის საქართველოს რუსული შოვინისტური იმპერიის 117-წლიანი მონობის უღლისგან განთავისუფლების გამოცხადების დღე**. შესაბამისად, კონსტიტუციურად იგი უნდა დამკვიდრდეს, როგორც საერთო-სახალხო დღესასწაული – განთავისუფლების დღე.

თავის მხრივ, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და მის საფუძველზე შექმნილი სტატუსი წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის საფუძვლისა და არსის განმსაზღვრელს; შესაბამისად, **„9 აპრილი წარმოადგენს სრულიად საქართველოს საყოველთაო-ნაციონალურ დღესასწაულს“**. მას უნდა დაუმკვიდრდეს სახელმწიფოს უპირველესი დღესასწაულის სტატუსი.

აქედან გამომდინარე, ავტორი ამ ორი ზემის აღნიშვნის შემდეგ ფორმულირებას გვთავაზობს:

„... 26 მაისის – „განთავისუფლების დღის“ ზეიმი უნდა იყოს საერო და სასულიერო ზეიმის ერთიანი პროექტი, ნამდვილი სახალხო დღესასწაული, ნაკლები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დატვირთულობით და მეტი კულტურულ-პოლიტიკური მიზანსწრაფულობით.

9 აპრილი, როგორც მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადე-

ბის დღესასწაული, თავისი არსით **წარმოადგენს პოლიტიკური მნიშვნელობის და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელ წმინდად ნაციონალურ სახელმწიფო დღესასწაულს**“.

მ. ზაქარაია ასკვნის:

„ცხრა აპრილის დღის აღნიშვნის აუცილებლობის სულიერი არსი მისი გამოცხადების დღესვე განისაზღვრა საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება ცხრა აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, ცხრა აპრილის ნამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

ამდენად, ცხრა აპრილის დღესასწაული თავისი ამ ორი ასპექტით: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურით და სულიერ-სიმბოლურით წარმოადგენს საქართველოს უმთავრეს ნაციონალურ დღესასწაულს. ვინც ამის მიჩქმალვას ცდილობს, ის უდიდეს დანაშაულს და ღალატს სჩადის საქართველოს ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე“.

მ. ზაქარაია ცალკე თავში ეხება პრეზიდენტის ინსტიტუტისა და ხელისუფლების სახალხო ლეგიტიმაციის პრობლემას, რომელიც მწვავედ დადგა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, როდესაც ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების მიზნით, რასაც ავტორი უგუნურ ცვლილებებს უწოდებს.

მ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკის სანინაღმდეგო ე.წ. საპარლამენტო მოწყობის პრინციპის განხორციელების საყრდენ ბაზას წარმოადგენს პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული მმართველი ფსევდოსოციალიზმის ყოველგვარ იდეალს მოწყვეტილი პირადი და ჯგუფური ინტერესები; ესაა სურვილი საბჭოური ნომენკლატურის მემკვიდრეებისა და „მაროდორული საფინანსო ოლიგარქიისა“, თავი დააღწიონ ხალხის ნებას და ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე განაგონ ეროვნული სიმდიდრე. ე. წ. საპარლამენტო მოწყობის კანონმდებლობა ყოველგვარი სახალხო განხილვის გარეშე იქნა მიღებული, გამომდინარე ოლიგარქიის ინტერესებიდან.

ისტორიული ექსკურსის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს პრეზიდენტის ინსტიტუტის გარშემო გამართული პოლემიკის მიმოხილვის შემდეგ ავტორი ჩერდება ეროვნული

ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულ პრეზიდენტის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, კერძოდ, იმაზე, რომ ზვიად გამსახურდია საპრეზიდენტო ინსტიტუტს მიიჩნევდა საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად და ეროვნული თანხმობის გარანტიად. პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება თავისი არსით რეფერენდუმის მნიშვნელობას ატარებს, რითაც პერმანენტულად ფიქსირდება საყოველთაო თანხმობა დამოუკიდებელი დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს არსებობაზე. ავტორი შეგვახსენებს, რომ ეს გარდაუვალი ღირებულებები აკლია პუტჩისტულად საქართველოს. ამ ღირებულებების სრულფასოვნად ამოქმედების გარეშე კი ფუჭია დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ყოველგვარი მცდელობა.

ავტორს არ ავიწყდება იმის ხაზგასმა, რომ ის, რასაც ქართველმა ხალხმა მიაღწია 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებითა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენით, მაშინდელი თავისუფალი სამყაროს მხრიდან პატარა საოცრებად იყო აღქმული და საილუსტრაციოდ მოჰყავს ზვიად გამსახურდიას პასუხი ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვაზე: „თქვენ პირველები იყავით საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები და პირველებმავე ჩაატარეთ ძალზე კარგად საპრეზიდენტო არჩევნები. კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი ამ იმპერიაში?“

ამ კითხვას ზვიად გამსახურდია ამგვარად პასუხობს: **„დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში და ლოცვაში და უნდა ვიყოთ ამ ტოტალურ იმპერიაში დემოკრატიის კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ“**.

ეს ჰუმანური პროგრამა იყო შეიარაღებული პუტჩის ძირითადი სამიზნე.

– ახოვს კი ეს პროგრამა ვინმეს დღეს? – სვამს კითხვას ავტორი და თვითონვე პასუხობს:

„ეს ჩვენი ფსევდოსოციალიზმი კი არა, თვით კანონიერების აღდგენისათვის თავგადაკლული მებრძოლებიც ნაკლებად იხედებიან ამ სიღრმეებში. დღევანდელი „მედასავლეთნი“ და ლიბერალ-დემოკრატები იმ სახელმწიფო პროგრამის გაუთვალისწინებლად, რალაც გაგონილით და მოსმენილით, სადღაც ამოკითხულით თუ ვიღაცის დაკვეთით „აშენებენ“ დემოკრატიულ სახელმწიფოს, იმას კი არ დაგიდევენ, შეესაბამება თუ

არა ის ფუძემდებლურ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთაც ისახავდა იმპერიის კლანჭებიდან თავდახსნილი ხალხი“.

საქართველოს პრეზიდენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საერთო-სახალხო არჩევნების მნიშვნელობას თავისუფლებისა და დემოკრატიის რეალური განხორციელების გზაზე. ამგვარი არჩევნებით ფორმირებული პრეზიდენტის ინსტიტუტის უპირველესი საზრუნავია მოპოვებული თავისუფლების გაღრმავება და ეროვნულ აღორძინებაზე ზრუნვა; ამასთან პრეზიდენტის სახალხო არჩევნებით არჩევა იძენს რეფერენდუმის მნიშვნელობას და ამონიშნავს ხალხის შინაგან მზაობას თავისუფლებისათვის.

ესემა რა დღევანდლობის თავსატკივარს, მ. ზაქარაია ამხელს და აკრიტიკებს იმ მიზნებს, რომელთა განხორციელებასაც იწყებს ოლიგარქის მმართველობა „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ. ავტორის თქმით, „ეს სრულიად არაკონსტიტუციური, სახელმწიფოს გარეთ მდგარი მმართველობა, რომელიც ხორციელდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეოხებით (ცივილიზებული სამყაროს თვალწინ), ამჯერად შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის ვექტორს იცვლის და მას მიმართავს საკანონმდებლო ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფოს სრულად დაუფლებისაკენ“. დღევანდელი მმართველობის ხელში პრეზიდენტის ინსტიტუტი იქცა რუდიმენტულ ორგანოდ, რომელიც ჩამოშორებულია ყოველგვარ პოლიტიკურ პროცესებს; ოლიგარქის „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარედ მობრუნების შემდეგ მყარდება ერთპარტიული დიქტატურა მისგან გამომდინარე შედეგებით, რომელიც დასრულდება „რუსული დემოკრატიული წესრიგით“. ასეთ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად იქნება დამორჩილებული სახელისუფლებო პარტიის მიერ. პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინება სინამდვილეში ნიშნავს ხალხის გამოთიშვას პოლიტიკური მმართველობის პროცესებიდან და დემოკრატიის კვდომას.

მ. ზაქარაია ნაშრომის ცალკე თავში მიმოიხილავს საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის შემუშავების წინაპირობებს და აღნიშნავს, რომ სამხედრო-კრიმინალური პუტჩის შემდეგ განვითარებული მძიმე შედეგებიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე გამანადგურებელი იყო ის, რომ შეჩერდა ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ახლებურ სოციუმად ფორმირების პროცესი. ამ გადატრიალებით ქვე-

ყანა ასცდა დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს, რომელთა მეშვეობით უნდა აგვეთვისებინა კომუნისტური საზოგადოებისათვის სრულიად უცხო, ახალი პოლიტიკური კულტურა. ჩვენ ამ ახალი კულტურული ლანდშაფტის ნაცვლად ისევ ამოვყავთ თავი რუსული პოსტსაბჭოური ანტისაზოგადოების უღრან ტყეში; მივიღეთ პუტჩისტური ალიანსის საზოგადოება და მოჭრილ იქნა დემოკრატიული საზოგადოებრივი სისტემისკენ მიმავალი ყველა გზა.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევის უმთავრესი მიზეზი იყო და არის ის, რომ უარი ვთქვით „ახალი პოლიტიკური კულტურის ფორმირების უმთავრეს პროგრამულ (დოქტრინალურ) პრინციპზე: პირველნი ვყოფილიყავით დემოკრატიაში, ადამიანის უფლების პატივისცემასა და ლოცვაში. ამის ნაცვლად მივყევით „ბარბას ყაჩაღურ ნაკვალევს“, გზას რევანშისა, ძალადობისა და მოძმეთა სისხლის ღვრისა, სახელმწიფო ინტერესის ღალატისა, კორუფციისა და მაროდობისა“. პოსტპუტჩისტურმა ფსევდოსოციუმმა მოინელა თვით დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერილი რევოლუციური გზინება და გადაავარა იგი. ასეთ ფსევდოსაზოგადოებაში მხოლოდ ფსევდოარჩევნებს მივიღებთ, რაიმე პოზიტიური ცვლილებების იმედი ხალხის მოტყუებაა, ხალხს კი წართმეული აქვს თავისუფლებისათვის ბრძოლის უნარი; დღის წესრიგიდან გამქრალია თვით სახელმწიფო. მ. ზაქარაია ასკვნის, რომ „ახლებური ერთობის შექმნის ძლიერ პოლიტიკურ ფუნდამენტს წარმოადგენს ოდენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფუძემდებლურ დოკუმენტებში დაფიქსირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების დემოკრატიული პროგრამა“. დღევანდელი შეუმდგარი საზოგადოება კი წარმოადგენს საბჭოურ-კომუნისტური მეხსიერებისა და პუტჩისტური ალიანსის შედეგად შეკონინებული კრიმინალურ-მაფიოზური და ფსევდოდემოკრატიული ინტელიგენციის ნაჯვარს, რომელიც შორს დგას ეროვნული ერთიანობისა და თანხმობისთვის აუცილებელი იდეურობისაგან.

ის ვითარება, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ავტორის მიერ ასეა შეფასებული: „დღევანდელ სახელმწიფოებრივ დემოკრატიას არაფერი ესაქმება თვით სახელმწიფოსთან და მის მმართველობით სისტემასთან. ის გატრუნულია ფსევდოსოციუმის ელიტის და მისი ბოსის ჯიბეში. ოპოზიცია კი ამ დატყვევებული, გატრუნული დემოკრატიის განთავისუფლების გარეშე ითხოვს

მისი დამტყვევებლებისგან უმაღლესი დონის დემოკრატიულ სისტემურ ცვლილებებს საარჩევნო, სასამართლო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმებით და ა. შ.“

საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის განხორციელებას კი აუცილებლად სჭირდება დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების პროცესებისადმი თავიდანვე ჩანერგილი დისპარატული მიდგომის რეციდივების აღმოფხვრა ეროვნული თანხმობის იდეის ამოქმედების გზით, ხალხის ნება-სურვილის ახალ გარემოებათა მიხედვით. ავტორის თქმით, „თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციათა გათვალისწინებით ხალხის ამ ნების ამოქმედებისათვის აუცილებელია დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის იმ ფორმისეული ატრიბუტული საკითხის გადანყვეტა, რომლის მოუგვარებლობა მეოთხედსაუკუნოვან პოსტპუტრისტურ ეპოქაში დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობაა, თუ უფრო მეტიც არა“. სწორედ აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, დაუყოვნებლივ გადასანყვეტ საკითხად დგება ჩვენი ქვეყნის სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულების კონსტიტუციურად გაფორმება; მ. ზაქარაია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიისგან განთავისუფლების დღე – 1918 წლის 26 მაისი უნდა დადგინდეს, როგორც საერთო-სახალხო დღესასწაული – განთავისუფლების დღე, ხოლო საქართველოს საბჭოთა იმპერიისგან თავდახსნის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე – 1991 წლის 9 აპრილი უნდა დადგინდეს, როგორც სახელმწიფო დღესასწაული.

სწორედ ამ ორი თარიღის ურთიერთმიმართებათა განსაზღვრას ეძღვნება მ. ზაქარაიას აღნიშნული წიგნი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს პრობლემა მიმოხილულია იმ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მრავალმხრივი ანალიზით, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ქვეყნის, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის როგორც გასული საუკუნის 10-იან წლებში, ისე ჩვენს თანამედროვე პერიოდში, რომელიც აშკარად გამოირჩევა პუტრისტური ალიანსის სოციალურ-პოლიტიკური დამახასიათებელი ნარსულის გაყალბებით, ფაქტების გაუკუღმართებით, სიმართლის მიჩქმალვით და ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის, ეროვნული ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას ღვაწლის, 1991 წლის 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობის დაკნინებით. ავტორის ეს წიგნიც, როგორც წინა

პუბლიცისტური გამოცემები, ღირსეული პასუხია ასეთი გამყალბებლების მისამართით.

ჩვენს წერილს აქ დავამთავრებდით, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და გავუჩუმდეთ სიცრუისა და სიყალბის, ყოვლად უგვანო ცილისწამებისა და მკრეხელობის კიდევ ერთ გამოვლინებას. ალბათ დაუკვირდებოდით, რომ მ. ზაქარაიას ამ წიგნში საკმაოდ ადგილი დაეთმო სიცრუეზე აგებული ანტიისტორიის მხილებას; ეს ანტიისტორია შემოგვთავაზებს პუტრისტური ალიანსის მსახურმა ისტორიკოსებმა დავით მუსხელიშვილმა, მიხეილ სამსონიძემ და ალექსანდრე დაუშვილმა. ამ ცრუთა სამეულის ხსენებისას მ. ზაქარაიამ აღნიშნა, რომ ამ გაყალბებული ისტორიის წიგნში „გატარებული შეხედულებანი დიდი ხნის მანძილზე უწყვეტად ფორმირებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დონეზეა შემუშავებული. სანამ ეს ფსევდოიდეოლოგია მოქმედებდებოდა, ისინი არ დაუშვებენ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის რეალური მნიშვნელობის აღიარებას“.

და აი, ხელთა გვაქვს თითქმის იმავე ავტორთა კოლექტივის (დავით მუსხელიშვილი, გიორგი ჭიქოვილი, ალექსანდრე დაუშვილი) უფრო სოლიდური, 700-გვერდიანი, 2016 წელს გამოცემული წიგნი პრეტენზიული სახელწოდებით „ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე“. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი შევარდნაძის ოჯახის კუთვნილი და შევარდნაძისეული „პრიზვატიზაციის“ დროიდან გამდიდრებული „მაგთის“ მიერ, მაგრამ ამ გარეგნული სილამაზის შიგნით იმდენი სიბინძურე და სიმყრალე იფრქვევა, რომ წელან ხსენებული „ისტორიის“ სიყალბეშიც კი ერთბაშად უფერულდება.

ამ ავტორთაგან განსაკუთრებული „შემკობის“ ღირსია ეს ვილაც პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი, რომელიც წიგნის უდიდესი ნაწილის ავტორიცაა და მთელი წიგნის რედაქტორიც. როგორც ჩანს, ისიც და მისი კოლეგა ავტორებიც გვარიანად იკვებებიან პოსტპუტრისტური ფსევდოსოციუმის ნასუფრალით და რაკი ლუკმა ჯამში ჩაუვარდათ, მარტო საქვეყნო სიმართლეს კი არა, საკუთარ ადამიანურ სინდის-ნამუსსაც გადაუსვებს ხაზი. ეს „ყოვლისმცოდნე“ დაუშვილი ისეთ რამეს წერს საქართველოს უახლოეს ისტორიაზე, ეროვნულ ხელისუფლებაზე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე, 9 აპრილზე, რომ ამგვარი შხამისა და სიძულვილის ნთხევა ნებისმიერ გარეშე სისხლისმსმელ მტერსაც, მაგალითად,

„საქართველოს ისტორიის მცოდნე“ პუტინსაც კი არ დაესიზმრება. ესაა ნამდვილი ნადირალას, საქართველოს ნამდვილი მტრის მოქმედება, ქცევა სულგაყიდული ქართველისა, რომელსაც დაკარგული აქვს ყოველგვარი ადამიანურობა და მხოლოდ შევარდნადის მძორს მისეულ მატლს, ქურდულ-მტაცებლური ოლიგარქიის ჭუჭყიან სხეულზე მიკრულ წურბელას წარმოადგენს.

ამგვარი შეფასების გამო ნუ დამძრახავთ. მოკლედ გადმოგცემთ, თუ რას კადრულობენ ამ ნიგნის შემქმნელები: შემკვეთებიც და შემსრულებლებიც.

თავდაპირველად ვიტყვი იმას, რომ შემსრულებელმა სამაგალითოდ შეასრულა დამკვეთის, „მაგთის“ დავალება – ნებისმიერი ხერხით გაამართლოს ედ. შევარდნადის, ამ „დიდი დემოკრატიის“ ღვანლი საქართველოს წინაშე, ეს კი შეუძლებელია ქართველი ერის ჭეშმარიტი შვილის, საქართველოს ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას ძაგებისა და ყოველი შესაძლო ცილისწამების გარეშე. ძაგებაცაა და ძაგებაც! ცილისწამებაცაა და ცილისწამებაც! – ეს ვაჟბატონი თავდაყირა აყენებს 90-იანი წლების ნებისმიერ მოვლენას ურცხვად, უტიფრად, ფარისევლურად, არამზადულად და მის ყოველ სტრიქონში იუდას ოცდაათი ვერცხლი ჩხრიალებს.

ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, მის ნაჯღაბნშიც მატყუარას ყოველ სიტყვაში გამოიჭერთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ტყუილს გრძელი ხელები აქვს და ამ ხელებით სვრის იგი ადამიანის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის გონებას, ზნეობას, ცნობიერებას, ამიტომაც არც ერთი ტყუილი არ უნდა შევარჩინოთ ასეთ არაკაცებს, არ მივცეთ მათ თავისუფლად ბოგინისა და მშვიდად მუცლის ამოყორვის საშუალება. ეს სატანის მსახური აბუჩად იგდებს და თავზე ასხამს ლაფს მთელ ქართველ ხალხს, როცა მის მონაპოვარს ქილიკითა და ლაზღანდარობით შეურაცხყოფს.

ნიგნის თავფურცელზე წარწერილი – „ჩვენი ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ ასევე დაცინვაა ჩვენი ერისა, მისი თავისუფლებისათვის შეწირული გმირებისა, ჩვენი ბრძოლებითა და თავგანწირვებით დანერგილი ისტორიისა, რომლის გადანერასაც ეს სულგაყიდული მჯღაბნელები ცდილობენ. ეს ბნელეთის მოციქულები სინამდვილეში ანტიქართულ საქმეს აკეთებენ – მტრის საქმეს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების არამოსურნეთა ზრახვებს ემსახურებიან, ქართველი ერის ნების წინააღმდეგ მიდიან, ანუ თვითონაც

ჩვენი სამშობლოს მტერთა ბანაკში არიან.

მოდით, ვნახოთ, თუ რას ჩმახავს ეს ვითომ ისტორიკოსი, სინამდვილეში ჰალსტუხიანი ავაზაკი ალ.დაუშვილი და ყველაფერში თვითონ დარწმუნდებით. ამასთან, ჩვენ არ ვეხებით მთელ ნიგნს, სადაც კიდეც ბევრი რამ იქნება მოჩმახული, აქ ძირითადად იმ საკითხებს შევეხებით, რომლებიც მ.ზაქარაიას ნიგნის ძირითად თემას წარმოადგენს.

ეს წითელი ისტორიკოსი ყველგან, ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფით კონტექსტში ახსენებს ზვიად გამსახურდიას. თურმე ზვიად გამსახურდიამ მოინანია თავისი „დანაშაული საბჭოთა ქვეყნის წინაშე“ 1978 წელს; თურმე ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად „წინ წამოწევას“ თვითონ კომუნისტები უწყობდნენ ხელს, „მისთვის უფრო ღია იყო ეთერი, მასთან უფრო იღებდნენ ინტერვიუს საბჭოთა კორესპონდენტები, ზოგჯერ პარტიული ლიდერებიც კი რჩევას ეკითხებოდნენ. აშკარა იყო, რომ მისთვის „ვილაციები მუშაობდნენ“. მაგრამ ეს ყველაფერი ფილიგრანული ოსტატობით კეთდებოდა...“ ძნელი მისახვედრი არაა, თუ საით უკაკუნებს ამის დამწერი: ზვიადი კომუნისტური ხელისუფლების აგენტად უნდა გამოაცხადოს!

რა თქმა უნდა, უარყოფითად არის შეფასებული ზვიად გამსახურდიას მთელი მოღვაწეობა ეროვნული ხელისუფლების სათავეში ყოფნის მთელ პერიოდში; ყოველ საკითხში და ყოველგან ვკითხულობთ ერთსა და იმავეს: თურმე ზვიად გამსახურდია არაადეკვატურად აღიქვამდა მოვლენებს! ეს სიტყვა – „არაადეკვატური“ უამრავ ადგილასაა ნახსენები და ესაა ერთადერთი „არგუმენტი“ ამ საცოდავი „ისტორიკოსისა“ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის გასაკრიტიკებლად. თუმცა, კრიტიკა არ ჰქვია იმას, რასაც ეს სულგაყიდული არსება აკეთებს, – ესაა სიძულვილის შხამის ნთხევა, შემზარავი ცილისწამება, რომელსაც მომავალი აუცილებლად გასცემს ლოგიკურ პასუხს.

„არაადეკვატური“ ზვიად გამსახურდიას ლანძვა-გინების ფონზე ხბოს აღტაცებითაა საუბარი ედ.შევარდნადის „ღვანლზე“ თავდაპირველად ცეკას პირველი მდივნობისას, შემდეგ კი პუტჩის შემდგომ, მაშინ როცა იგი მართავდა ქვეყანას ქართველთა სისხლით მოთხვრილი ხელებით, ხელები სისხლით კომუნისტ შევარდნაძესაც საკმაოდ ჰქონდა გასვრილი, რადგან მთელი მისი კომუნისტური მოღვაწეობა განუყრელად

უკავშირდება დახვრეტებს, დაჭერებს, შანტაჟს, თვითმკვლელობებს, ინტრიგებს... ამაზე ეს ვაინსტორიკოსი კრინტს არ ძრავს, სამაგიეროდ, მრავალჯერ იყენებს სიტყვებს – „ქართული საქმე“, რომელსაც ვითომ აკეთებდა ეს სატანა.

სასაცილოა ა.დაუშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ ე.შევარდნაძემ თითქოს „მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის ისტორიის ასპარეზიდან გაქრობაში“ და ამ დროს თურმე, ეხება რა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს, „ზვიად გამსახურდია და მისი პოლიტიკური დაჯგუფება კომუნისტურ რეჟიმთან გარიგებაზე წავიდა, აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით“. მართლაც, ენა უძვლოა, როდესაც კაცს სინდისის ნატამალი არ გააჩნია.

ეს „ისტორიკოსი“ ამბობს, ფორუმიდან განცალკევებულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს „მრგვალი მაგიდა“ და გადაწყვიტეს მონაწილეობის მიღება 28 ოქტომბრის არჩევნებში, რითაც ძლიერ გააკვირვეს ყოფილი მეგობრებიო, იმაზე კი არაფერს ამბობს, თუ რას სჩადიოდნენ ეს „ყოფილი მეგობრები“, თუ რატომ გამოვიდნენ ეროვნული ფორუმიდან ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები, თუ რა პროვოკაციებს აწყობდნენ, თანაც იარაღითაც, „მხედრონი“ და მას მიმხრობილი ვითომ ეროვნული პოლიტიკოსები.

ეს „ისტორიკოსი“ არც იმაზე ძრავს სიტყვას, რომ 28 ოქტომბრის არჩევნები არ ყოფილა კომუნისტური, მთელი საერთაშორისო საზოგადოება ამ არჩევნებს აფასებს, როგორც მრავალპარტიულ, თავისუფალ არჩევნებს მთელი თავისი ატრიბუტით, პარიტეტულ სანყისებზე შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიით და ა.შ. ა. დაუშვილმა კი ყველაფერ ამას ხელალებით გადაუსვა ხაზი და იმასლა ებლაუჭება, რომ „საარჩევნო ველი – მთლიანად საბჭოთა“ იყო, თითქოს სხვა პლანეტაზე უნდა გადავსახლებულიყავით; მეტიც, ამ მართლაც მკრეხელმა ასეთი რამეც დაწერა: „ოკუპანტი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობა აშკარად მკრეხელობა, ქრისტიანისათვის – ცოდვაც კი არის, რადგან ბიბლიაში ხაზგასმულია „არც ახალ ღვინოს ჩაასხამენ ძველ ტიკებში“... ეს „ბრძენი ბიბლიისმცოდნე“ ახალ ტიკად, სულ რომ მისტირის, იმ ეროვნულ კონგრესს მიიჩნევს: „მიგვაჩნია, რომ „ეროვნული კონგრესი“ სწორედ ის ახალი „ტიკი“ იქნებოდა, რომელიც შეძლებდა საქართველოს შედარებით უმტკივნეულოდ სამშვიდობოზე გაყვანას“... აქ საცოდავს სულ აქვს დავთრები არეული: თუ „მრგვალი მაგიდის“ შემთხვევაში „ძველ ტიკში“

საბჭოთა წყობილებას გულისხმობს, „ახალი ტიკი“ კონგრესი როგორ იქნებოდა იმავე საბჭოთა წყობილების პირობებში? სწორედ ასეთი აბდაუბდის პატრონია არაადეკვატური მოვლენათა შეფასებისას.

აშკარად ტენდენციურია 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შეფასება: „...ამ ეტაპზე სრულად ამოქმედდა „უტოპიური ნაციონალიზმის“ იდეოლოგია, რაც უკვე პოლიტიკურ პრაქტიკაში გადავიდა. ამ პერიოდში მიტინგზე წამოსროლილი ეს ლოზუნგები ილუზორულნი და განუხორციელებელი, ანუ „უტოპიური“ იყვნენ, აქედან გამომდინარე, მავნეც კი, რადგან მათ შეიტანეს დეზინტეგრაცია საერთო ვითარებაში და მდგომარეობა უმართავი გახადეს. სწორედ ეს იყო პირველი შედეგი ქართველ ინტელიგენციის ნაწილში გავრცელებული იმ იდეოლოგიური დოგმისა, რომელსაც „ქართველი ერის სულიერი მისია“ ერქვა და ის უკვე თავის მავნე შედეგებს ავლენდა“ (სტილს ყველგან ვიცავთ); აი, ესაა ვირეშმაკული მცდელობა ორი კურდღლის ერთად დაჭერისა – ჩირქი მოსცხოს ქართველი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას და იქვე ზვიად გამსახურდიას მთელი მისი ღვანლი დანაშაულად ჩაუთვალოს.

ის, რასაც 9 აპრილის შესახებ ა.დაუშვილი წერს, კრემლის კაბინეტებში დაწერილად უფრო მოგვეჩვენება: თურმე „9 აპრილმა უღარესად მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს – მოხდა ქართულ-რუსული დიდი დაპირისპირება, დაიღვარა სისხლი ამ ორ მართლმადიდებელ ერს შორის, რუსები საბოლოოდ აშკარად გადაბარდნენ ქართველების მოწინააღმდეგეთა ბანაკში და უკვე აშკარად უჭერდნენ მხარს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ ყველა ანტიქართულ ძალას“. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორი ისტორიკოსი და პროფესორია ამ აბრაკადაბრის ავტორი, რომელიც აშკარად შეურაცხყოფს 9 აპრილს დალუპულთა ხსოვნას, ანდა რომელი რუსის სისხლი დაიღვარა იმ დღეებში? ანდა რომელ „მოწინააღმდეგეთა ბანაკში“ გადაბარგდა რუსეთის იმპერია, თვითონ შემქმნელი ამ ბანაკისა?

ხომ ნათელია, რომ ეს ვაი-ქართველი მტრის ენაზე, მტრის ლოგიკით, მტრის კარნახით ლაპარაკობს?!

ახლა 1991 წლის 9 აპრილზე გადავიდეთ. ჯერ ერთი, საერთოდ არ ახსენებს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, უპრეცედენტო ისტორიულ მოვლენას, შემდეგ კი აქ სრულ აბსურდთან გვაქვს საქმე, რადგან ამ „ისტორიკოსისათვის“

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, ფაქტობრივად... არც არსებობს! გესმით, რამდენს ბედავს ეს ჰალსტუხიანი ნაძირალა? აი, რა „სიბრძნეს აფრქვევს იგი“: „... შევეხოთ 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საზეიმო ხელმოწერას, რომელიც უზენაესი საბჭოს დარბაზში ჩატარდა და 1918 წლის 26 მაისის აქტს დეპუტატებმა კიდევ ერთხელ საზეიმოდ მოაწერეს ხელი. ამას მოჰყვა დიდი პროპაგანდისტული პიარ-აქცია.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველ ბოლშევიკებს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი არ გაუუქმებიათ, მისი დენონსირება არ მოუხდენიათ, ამიტომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ძალადაკარგული დოკუმენტი არ იყო და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც, იურიდიული ფორმლობის დაცვით, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იყო, რომელმაც საკავშირო სახელმწიფოს კომპეტენციაში თავისი სუვერენიტეტის ზოგიერთი ნაწილი თავისი სურვილით გადასცა“...

ღირს ამ სისულელეზე კომენტარის გაკეთება?

არც ამ ნაბოღვარზე ღირს წერის გაგრძელება; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ წიგნში, კონკრეტულად, 80-90-იანი წლების მოვლენების მიმართ უკლებლივ ყველაფერი შეფასებულია ამკარად უარყოფითად, საბჭოურ-შეგარდნადისტული პოზიციებიდან, სიძულვილის ენით, ფაქტების არნახული გაყალბება-გაუკუღმართებით; მოკლედ, ა. დაუშვლილი და მისი მსგავსი „მეცნიერები“ სწორედ რომ მტრის ნისქვილზე ასხამენ წყალს და პუტინის ნება-სურვილს ახმოვანებენ. დიახ, ეს არის ანტიქართული, ანტიეროვნული წიგნი!

ამ ვაი-ისტორიკოსის ნაჯღაბნის შემდეგ უფრო ფასეული გახდა ჩემთვის მურმან ზაქარაიას ზემოთ განხილული წიგნის მნიშვნელობა. სწორედ მსგავსი გამოცემები ღალადებენ სიმართლეს და ამხელენ იმ უმსგავსობებს, რასაც სჩადიან შეგარდნადისა და პუტჩისტების მეხოტბენი, კო-

რუფციულ-კრიმინალური მაფიის დაქირავებული ყურმოჭრილი ცრუმეისტორიენი. ასეთებს მიესადაგება ეს სიტყვები მ. ზაქარაიას წიგნიდან:

„კრიმინალურ-ნომენკლატურული და „წითელი“ ინტელიგენციის ამ ალიანსმა შეაკონინა ფსევდოიდეოლოგიური ბაზისი, აგებული რუსულ-საბჭოურ კორუფციულ სანყისებზე და შეაჯერა „მამარდაშვილისტური“ – ვულგარული დემოკრატიზმითა და ლიბერალიზმით. ეს პოსტ-პუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული ალიანსი უკვე ოდენ თავისი არსებობით ამუხრუჭებდა და ამუხრუჭებს იმ პროცესებს, რომლებითაც უნდა წარმართულიყო და უნდა წარმართოს 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე ფორმირებული დემოკრატიული წყობა...“

მრავალთაგან კიდევ ერთ ადგილს მოვიყვან მ. ზაქარაიას წიგნიდან დასკვნის სახით:

„...სახელმწიფოს ბაზისურ საყრდენს ისევ ის პუტჩისტურ-კრიმინალური და მისი იდეოლოგია წარმოადგენს, რომელთაც დასანახავადაც კი არ უნდოდათ ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის გამოცდილებით ნასაზრდოები ეროვნული თავისუფლების იდეოლოგია, ზოგადად ქართული იდეა“.

ვიმეორებ, ზვიად გამსახურდია ყოველთვის გვირჩევდა, რომ ასეთი შავბნელი ძალების წინააღმდეგ „საჭიროა ერთიანი შეტევა საყოველთაო მხილების გზით“. სწორედ მხილება, უკომპრომისობა იხსნის ჩვენს ერს, ჩვენს საზოგადოებას, რომლის სხეულს მეტასტაზებად მოსდებია ქვეყნის დამანგრეველ-დამაქცევართა ანტიქართული ქმედებანი.

მ. ზაქარაიას ეს წიგნი, მსგავსი სხვა გამოცემები უნდა განიხილებოდეს სტუდენტურ წრეებში, პროფესორ-მასწავლებლებში, უნივერსიტეტებში; უნდა მოეწყოს პრეზენტაციები, შეხვედრები მკითხველებთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა ბოროტს კეთილმა სძლიოს და საბოლოოდ ვიხსნათ ქვეყანა ანტიეროვნული ძალების დამლუპველი ზემოქმედებებისაგან.



რატომ ფრიდრიხ ნიცშე და კონსტანტინე გამსახურდია?

(ჟურნალისტ გულიკო ბალაძის ინტერვიუ პროფ. კახა ქეცბაიასთან)

90-იან წლებში საქართველოში მოდაში იყო ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ წაკითხვა. მაშინ ნიცშეს ამ თხზულების თარგმანი ახალი გამოსული იყო და მასობრივად ისეთებიც კითხულობდნენ, რომლებსაც ფილოსოფიის არაფერი გაეგებოდათ. ნიცშე პიროვნების თავისუფლების ფილოსოფოსადაა ცნობილი. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც ნიცშეს გამოეხმაურა, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია იყო. მან 1922 წელს თბილისში ნიცშეს საღამოც კი გამართა. ნიცშესა და კონსტანტინეს ფილოსოფიის დოქტორმა კახა ქეცბაიამ ცალკე ნაშრომი მიუძღვნა:

– ფაქტია, რომ დღეს დემოკრატია ხალხის თვალში გაცრუებულად და არც თავისუფლებას ადგას მაინცდამაინც კარგი დღე. ასეთ ვითარებაში ნიცშეს ფილოსოფია ძალზე აქტუალური უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ის უნდა გავიგოთ, როგორც თავისუფლების ფილოსოფია. მაგრამ ჩვენთან საოცარი რამ ხდება, ნაიკითხავენ ნიცშეს ადამიანები და შემდეგ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ წაართვან სხვებს ეს ნანატრი თავისუფლება, ანდა სხვისი ყურმოჭრილი მონები ხდებიან, – ამბობს კახა ქეცბაია საქართველოში თავისუფლების ფილოსოფიაზე საუბრის დროს.

ისე, თავისუფლების ფილოსოფია და ნიცშე ადვილი გასათავისებელი არ არის. ჩვენ კი არა, ერთ დროს გერმანელ ნაცისტებსაც უნდოდათ, უკუღმა წაეკითხათ ნიცშე და სათავისოდ გამოეყენებინათ.

– ბატონო კახა, რატომ ნიცშე?

– ფრიდრიხ ნიცშე, როგორც გენიოსთა უმრავლესობა, ფაუსტური ნატურაა. მისთვის უცხოა დოგმატიზმი, მაგრამ არც კონსტრუქტივიზმით არის მოხიბლული. ის არც კომუნისტია, არც – მატერიალისტი ან იდეალისტი, არც ეგზისტენციალისტი და არც პოსტმოდერნისტი. შეიძლება ითქვას, ის უბრალოდ ნიცშეა, არაჩვეულებრივად ცოცხალი და ამ გაგებით დიონისური. ის არის ფილოსოფოსი, რომლის პროექტია თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებით საკუთარი თავისუფალი ცხოვრების ფორმირება, „მონყოლა“, როგორც თანამედროვე სოციოლოგები იტყვიან, „კონსტრუირება“. ამ გაგებით, იგი კაცობრიობის ახალი მასწავლებელია. ნიცშე იმ ტიპის მოაზროვნეა, რომელიც ყოველთვის შეგახსენებს თავს, თუკი თავისუფლების გზაზე ხარ დამდგარი.



– რამდენად ეხმიანება ნიცშე თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესებს?

– ნიცშეს ფილოსოფიის ერთ-ერთი თანამედროვე ინტერპრეტაციით, მის ფილოსოფიაში მომავალი ადამიანისა და საზოგადოების სიღრმისეული ხედვა, მომავლის პროექტია მოცემული. იგულისხმება თანამედროვე გენური ტექნოლოგიების, ანუ „ანთროპოტექნიკის“ განვითარება, რომელიც ისეთ ვითარებას ქმნის, როდესაც სავსებით რეალურია ადამიანის შეცვლა არა მხოლოდ ინტელექტუალური ინტერვენციის გზით (განათლების რეფორმირება ნიცშეს ენაზე ინტელექტუალური ინტერვენცია იქნება. უკვე არა აზრები ზემოქმედებენ აზრებზე, არამედ მთლიანად ბიომასას ცვლიან). ასეთ ვითარებაში განუზომელია ინტერესი ნიცშეს „ზეკაცის“ მიმართ. ნიცშე თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ადამიანი, მასზე გენეტიკური მანიპულაციების შემთხვევაში, განვითარების უზარმაზარი პო-

ტენციის მფლობელია. ნიცშესთან ეს „ზეკაცის“ სახით ყოფიერების კონტროლირებაა, რომელზეც თავის დროზე მეორე გენიოსი მარტინ ჰაიდეგერი ამახვილებდა ყურადღებას. ოღონდ, მასთან ეს პროცესი ფილოსოფიური აქტის იქით არ წასულა, მაშინ როდესაც ნიცშესთან ეს რეალური და პრაქტიკულად განხორციელებადი მოვლენაა (ამის მაგალითები უხვადაა გენური ინჟინერიისა და ანალოგიური ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების სახით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ანტიმორალური ხასიათის მატარებელია). ამ შემთხვევაში ნიცშეს ნააზრევი პრიმიტიულად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ მასში ცხოვრების მასწავლებელი სიბრძნე უნდა დავინახოთ. ნიცშეს ნააზრევს ამ კუთხით ერთ-ერთმა დიდმა ქართველმა, ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ შეხედა, როდესაც დაწერა: „ნიცშეს ენადა: ახალი მაღალი ხარისხის ადამიანთა ჯიში წარმოშობილიყო, რომელიც თავისი ძლიერი ნებისყოფის, დიდი ცოდნისა და გავლენის წყალობით, ევროპის დიდს დემოკრატიას მოიხმარდა, ვითარცა იარაღს, მთელი დედამიწის ბედის ხელში დასაჭერად, მთელი მსოფლიოს გადასაკეთებლად“, მაგრამ დემოკრატიისა და თავისუფლების გზები სინამდვილეში ერთმანეთს ასცდა. როგორც ბერდიაევი იტყოდა, „დემოკრატია გაცრუპენტელდა“ ანუ თავისუფლების სულისაგან დაიცალა და ცალკეული პოლიტიკოსების ან პოლიტიკოსთა ჯგუფების მერკანტილური და საშინლად პრაგმატული მოთხოვნილებების მონა გახდა.

– როგორ გავიგოთ ეს ჩვენს საზოგადოებასთან კავშირში?

– მოდით, ვთქვათ სიმათლე, ჰქონდა თუ არა ჩვენში დემოკრატიას მყარი, ისტორიულად ჩამოყალიბებული, სოციალური და, თუ გნებავთ, თეორიული ბაზა? ასეთი რამ ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე.წ. „შინაგან“ დემოკრატიას, ფერდინანდ თიონისის ტერმინით, „გემაინშაფტურ სანყისს“, მაგრამ ასეთი რამ კრიზისის განიცდის საზოგადოების გათანამედროვეობის პროცესთან ერთად (ვებერი ამას „განჯადოებას“ ეძახის. დღეს ჩვენთან ეს პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს). დემოკრატია ჩვენთან დაუპატიჟებელი სტუმარით მოვიდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჩვენთან მოვიდა არა იმიტომ, რომ ის ჩვენ გვინდოდა და მას მოველოდით, არამედ იმიტომ, რომ ტოტალიტარიზმმა ამოწურა თავისი თავი და აუტანელი

გახდა. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა ხომ დღემდე დეფიციტია ჩვენში. ამას მოჰყვარეველუციები. საერთოდ, რეველუციები ტოტალიტარიზმის თანამდევნი მოვლენაა. დასავლეთმა ადრე აუღო ალღო „განჯადოების“ პროცესს და დემოკრატიის სასარგებლოდ უარი თქვა რეველუციებზე. თუმცა ეს დიდი ისტორიული ძალისხმევის ფასად მოხდა. მას წინ უსწრებდა ლოკისა და კანტის მოძღვრებანი სამოქალაქო საზოგადოებისა და საყოველთაო მშვიდობის შესახებ. სამაგიეროდ, ჩვენში დარჩა თავისუფლების დიადი სურვილი. ოღონდ ეს არ ნიშნავს „ყველაფერი ნებადართულია“. დემოკრატია ჩვენი თანამედროვე ცალკეული პოლიტიკოსების წყალობით ხალხის თვალში გაცრუპენტელდა და არც თავისუფლების სურვილს ადგას მაინცდამაინც კარგი დღე. ასეთ ვითარებაში ნიცშეს ფილოსოფია ძალზე აქტუალური უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ის უნდა გავიგოთ, როგორც თავისუფლების ფილოსოფია, მაგრამ ჩვენთან საოცარი რამ ხდება, ნაიკითხვენ ნიცშეს ადამიანები და შემდეგ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ წაართვან სხვებს ეს ნატური თავისუფლება ან მთლად უარესი – სხვისი ყურმოჭრილი მონები ხდებიან. ასეთ ადამიანებს დღეს ნებისმიერ სფეროში შეხვდებით, ნიცშეს სიტყვებით, „კაცუნებს“, ადამიანებს კი არა, აქლემებს ანუ კონფორმისტებს, „ყველა ხვრელში შემძრომებს“. ამ გაგებით, ნიცშე მართლაც ყველამ არ უნდა ნაიკითხოს, ანუ, როგორც თავად ამბობდა, მისი ნააზრევი არც ყველასათვისაა და არც არავისთვის.

– ზოგადად დემოკრატიაზე როგორი აზრის ხართ?

– დემოკრატიასთან დაკავშირებით მინდა ცნობილი ღვთისმეტყველის ალექსანდრე მენის ნააზრევით გიპასუხოთ. „მონარქიულ სტრუქტურას და, ალბათ, ტოტალიტარულ რეჟიმებს ზოოლოგიური წარმომავლობა აქვთ. მაგალითად, მგლის ხროვას, სპილოების ჯოგს, ირმებს და მრავალ რიგ სხვა ცოცხალ არსებას წინამძღოლები მართავენ. მონარქია ქცევის ამ მექანიზმების მემკვიდრეა. დემოკრატია კი სპეციფიკურ-ადამიანური და უფრო გვიანდელი მოვლენაა. შესაძლებელია, ჩვენ სწორედ ამგვარი პროცესების ზღურბლზე ვიმყოფებით. დემოკრატიის არსი შერიგებაში მდგომარეობს, როდესაც ადამიანს სხვა ადამიანის შეხედულებათა მოსმენა ძალუძს, როდესაც სხვა ადამიანის პოზიციის გაგება შეუძლია, როცა ის ღიაა სხვა ადამიანთა გემოვნებისა

და თვალსაზრისებისადმი. დემოკრატია აქედან იწყება. როგორც წესი, დემოკრატიული მოძრაობის წევრებად ნოდებული ადამიანები სინამდვილეში ფსიქოლოგიით დიქტატორები არიან. მათთან ურთიერთობისას დარწმუნდებით, რამდენად უცხოა მათთვის დემოკრატიის ცნება. დემოკრატია – ეს ფსიქოლოგიაა. დემოკრატია სულიერი სტრუქტურის უმაღლესი გამოვლინებაა, რომლის განვითარების შემთხვევაში მისგან საზოგადოებისთვის სასარგებლო რამ გამოვა. საზოგადოების სტრუქტურის გარდაქმნიდან, მისი გადემოკრატიულებიდან კი, როდესაც ხალხი ტოტალიტარული ფსიქოლოგიის მატარებელია, არაფერი გამოვა. თუკი ადამიანი სულიერად იზრდება, „ტოტალიტარიზმისკენ“ მიდრეკილება კლებულობს. თუ ის პრიმიტიულია, მაშინ ის ტოტალიტარიზმისკენ იქნება მიდრეკილი“. არ დაგავიწყდეთ, რომ ამას მართლმადიდებელი მღვდელი ამბობს, რასაც ის შეენირა კიდევ. ნამდვილი დემოკრატია არ ენი-ნააღმდეგება თავისუფლებას, მაგრამ რას იზამ, ჩვენთან ასე არ ხდება. დოსტოევსკის სიტყვებით, „აქ ყველაფერი სატანურ გრიგალებშია გადახლართული“.



რებენ მის სულიერ სამყაროს, ზნეობრივ ღირებულებებს, საუკუნოვან ტრადიციებს. ჩვენში ეს პროცესი კარგა ხანია დაწყებულია. ამიტომ მნიშვნელოვანია ნიცშეს პოზიტიური ნაკითხვა, რაც საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა კონსტანტინე გამსახურდიამ მოგვცა.

– **თქვენ ამას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნით, „ფრიდრიხ ნიცშე და კონსტანტინე გამსახურდია“. როგორ აღიქვამდა ნიცშეს კონსტანტინე გამსახურდია?**

– XIX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული ფრიდრიხ ნიცშეს ფი-

ლოსოფია გრიგალივით შეიჭრა ქართული მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ამ დროიდან მოყოლებული ისტორიული განვითარების არცერთ ეტაპზე არ მოჰკლებია შესაბამისი ყურადღება ბაზელელი პროფესორის ნააზრევს. ეს პროცესი შემდგომში, საბჭოთა ხელისუფლების დიქტატურის წლებშიც კი არ შეჩერებულა, მაშინ როდესაც ადგილი ჰქონდა ნიცშეს ნააზრევის მხოლოდ კონტექსტიდან ამოგლეჯილ ციტირებას, რაც ნამდვილად შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ნიცშეს იდეების გათავისებებას, გაშინაგანებას და ეროვნული ცნობიერებისთვის მისადაგებას ქართულ სინამდვილეში სათავეში უდგას სწორედ კონსტანტინე გამსახურდია. მან ხელი შეუწყო შემდგომში საქართველოში ნიცშესა და, საერთოდ, ევროპული ფილოსოფიის მიმართ ინტერესის თანდათანობით ზრდას. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე საქართველოში ნიცშეს მიმართ ინტერესს იმ ფაქტით ხსნიდა, რომ „გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდა ნათესაურია ჭეშმარიტი ქართველი ადამიანის მსოფლგანცდისა. ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრებისა, მასაში გათქვეფილი, საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანის მდორე, უმფოთველი არსებობისა, „პანია“ ბედნიერებისა და „პანია“ კეთილდღეობისა. ქართული სულის მისწრაფებებთან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძოლით, ხიფათითა და რისკით აღსავსე დიონისურ ცხოვრებას“. „სულთა ამ ნათესაობას“ უნდა ვუმაღლოდეთ კონსტანტინე გამსახურდიას დაინტერესებას ნიცშეს ფილოსოფიით.

– **საინტერესოა, ქართველი კაცის რა მოთ-**

– პოსტანამედროვე ეპოქის მდგომარეობის შესახებ რას იტყვით?

– დღეს უკვე არავინ დავობს იმაზე, რომ კაცობრიობა პოსტკლასიკურ, პოსტანამედროვე ეპოქაში იმყოფება, რომელიც მთელი რიგი „უცნაური სიურპრიზებით“ გამოირჩევა. ამ პროცესის ერთ-ერთი პირველი მაცნე ფრიდრიხ ნიცშე იყო, რომელმაც თამამად განაცხადა „ღმერთის სიკვდილის“ შესახებ. „ღმერთის სიკვდილი“ „ადამიანის სიკვდილსაც“ ნიშნავდა, მაგრამ „დამცრობილ და დამდაბლებულ“, ფუფუნებას, კომფორტსა და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებს გამოდევნებულ კაცობრიობას ნიცშეს ამ ნათქვამისთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კი ყოველივე იმით დამთავრდა, რომ „ღმერთის მკვლელობა“ კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა“. თუკი XX საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის გამორჩეული, XXI საუკუნისთვის ამგვარი გამორჩეულობის ნიშანი „ადამიანის სიკვდილია“. ადამიანი კვდება მაშინ, როდესაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ანადგუ-

ხოვნებს პასუხობდა ნიცმე?

– კონსტანტინე გამსახურდიას მიხედვით, ფილოსოფია მუდამ თანამედროვეობის, დროის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. თანამედროვეობის მოთხოვნათაგან კი უპირველესი ერის სამსახური, მისი თავისუფლებისთვის ბრძოლაა. აქ კი კანტის ფილოსოფიურ ნიაღვრეებზე უფრო ღირებულია ნიცმეს ირაციონალისტური – ყოფიერების უშუალოების განცდით აღსავსე სიცოცხლის ფილოსოფია. ამიტომაც მას მიაჩნდა, რომ ეს იყო „ფანჯარა, საიდანაც მომავლის ქარი ქროდა“ – თავისუფლების გრიგალი – „ხიფათითა და რისკით სავსე“. 1922 წლის ნოემბერში კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით, ჟურნალ „ილიონის“ რედაქციამ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ფრიდრიხ ნიცმეს საღამო ჩაატარა. კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით ჩატარებული ფრიდრიხ ნიცმეს საღამო იყო მძაფრი პროტესტი არსებული წყობილების წინააღმდეგ. ის ვერაფრით შეეგუა საქართველოს თავისუფლების დაკარგვას. ეროვნული თავისუფლების დაკარგვის მისთვის პიროვნული თავისუფლების დაკარგვის ტოლფასია, რაც პიროვნების გაქრობას მოასწავებს. ამიტომაც კონსტანტინე გამსახურდია წინა პლანზე წამოსწევს ნიცმეს მკვეთრ ინდივიდუალისტურ ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც ჰეგელის აბსოლუტიზმის ალტერნატივად აღიქმებოდა, რომელმაც „ჩაყლაპა“ ინდივიდი. ნიცმეს ფილოსოფია მისთვის „თავისუფლების დეკლარაციაა.“ ნიცმე მას (და მის თანამოაზრეებს) სჭირდებათ იმისათვის, რომ ქართველ ერში არ ჩამკვდარიყო თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილი. ამიტომაც ნიცმეს ფილოსოფიის მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელზეც აკადემიური ფილოსოფიის წარმომადგენლები საუბრობენ, იგი მეორეხარისხოვნად მიიჩნევს; მისთვის მთავარია, ეროვნული ნიჰილიზმი არ გაბატონდეს და ქართველმა კაცმა ხელი არ ჩაიქნოს თავისუფლებისთვის ბრძოლაზე. ამიტომაც ქართველი ერის ისტორიაში კონსტანტინე გამსახურდიასა და თანამოაზრეების მიერ 1922 წელს ჩატარებული ფრიდრიხ ნიცმეს საღამო ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

საღამოზე სეფე სიტყვა წარმოთქვა კონსტანტინე გამსახურდიამ. მისი მოხსენების თემა იყო: „ტრადიციის წარმოშობა მისტიკის სულიდან“, სადაც კონსტანტინე გამსახურდია ამტკიცებდა, რომ ნიცმე ბოლომდე ვერ დარჩა

ინდივიდუალისტად იმ აზრით, რომ მისი ინდივიდუალიზმი მისტიკაში გადავიდა. კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვა იყო დასაბუთებული, შთამბეჭდავი და დიდი პათოსით წარმოთქმული. შემთხვევითი არ ყოფილა ტერენტი გრანელის მონაწილეობა ნიცმესადმი მიძღვნილ საღამოში. ნიცმეანურ მოტივებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის გენიალურ მხატვრულ შემოქმედებაში. ტყუილუბრალოდ როდი მიჩნევა ცისკენ მომზირალი პოეტი ნიცმეს საკუთარ მამად. საღამოს მოწყობით კონსტანტინე გამსახურდია გვევლინება არა მხოლოდ როგორც ნიცმეს და, საერთოდ, ევროპული ფილოსოფიის უბადლო მცოდნე ფილოსოფოსად, არამედ ერის თავისუფლების მეზაირადედ. „ბოროტი ცხოველი დღეს ისევ ცოცხალია ადამიანის არსებაში, როგორც ნერონისა და ქრისტეს დროს“, – წერდა იგი და ბოროტ ცხოველში საქართველოს მტერს, წითელ ტირანიას გულისხმობდა. ამიტომაც ნიცმეს საღამო თბილისში მოასწავებდა იმას, რომ ქართული ეროვნული გენია ვერაფრით შეეგუებოდა „ერის კასტრაციის მცდელობას“. ეს არის დასაწყისი იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც შემდეგში საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში იჩენს თავს. კონსტანტინე გამსახურდია აღრიდანვე შეუდგა „გოლგოთის მისტიკრიას“. საქართველოში იგი მიიჩნევს „უცხო ქარის მთესველად“. ნიცმესავით დუელი და განხეთქილება დროსთან და არსებულ გარემოსთან ტირანიის პირობებში პიროვნული და ეროვნული თავისუფლების აღდგენის მცდელობა და ბრძოლაა. აი, ის ძირითადი მოტივაცია, რის გამოც ნიცმეს ფილოსოფიამ გაიტაცა გენიალური მწერალი. კონსტანტინე გამსახურდია იბრძვის ეროვნული ნიჰილიზმისა და მითოსმოკლებული დროის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კი მას ხიბლავს მეამბოხე პოეტური სული, ვიდრე მეცნიერული მსჯელობები. ილიას მსგავსად აღმერთებს გიჟმაჟ თერგს.

ძალზე მნიშვნელოვანია კონსტანტინე გამსახურდიას როლი ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში. მან რაციონალიზმთან დაპირისპირებული ბერგსონის და ნიცმეს იდეების – სიცოცხლის ფილოსოფიის – ინტუიციის გამოცხადებითი ძალის შესახებ თეორიით, დიდი გავლენა მოახდინა ქართულ მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებაზე. სწორედ ამის ფონზე მიმდინარეობდა ხელოვნებაში ღირებულებათა გადაფასება. მას იტაცებდა ცივილიზაციისა და კულტურის დაპირისპირების შპენგლერისეული

თეორია: იზიარებს მის კონცეფციას იმის შესახებ, რომ რაციონალიზმმა და სულიერებისაგან დაცლილმა პრაგმატიზმმა გამოფიტა ადამიანის შემოქმედებითი სამყარო და დაშრიტა მისი ფანტაზია. თუმცა შპენგლერში მას მოსწონს მისი „ნაციონალური პოზიციები.“ ამავე დროს დიდ ქართველ ფილოსოფოსებთან შალვა ნუცუბიძესთან და მოსე გოგიბერიძესთან ერთად აკრიტიკებდა შპენგლერს, რადგანაც მიაჩნდა, რომ ხსნა აღმოსავლური კულტურიდან კი არ მოვა, არამედ იგი ევროპული კულტურის აღორძინებაშია საპოვნო. ნიცშე, შოპენჰაუერი, კირკეგო (ასე მოიხსენიებდა კ. გამსახურდია ცნობილ დანიელ მოაზროვნე სორენ კირკეგორს), შპენგლერი, გოეთე, კანტი და მრავალი სხვა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნაკითხულია და გატარებულია ეროვნული თვითმყოფადობის პრიზმაში, ერისა და პიროვნების ინდივიდუალობის თვალსაწიერიდან. ამდენად, იგი კულტურული ღიაობის აპოლოგეტია. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კულტურათა შორის დიალოგის მომხრე, თუმცა დღეს ეს „დიალოგიც“ მოძველდა. მისთვის მიუღებელია ზოგადი თეორიული პრობლემები, ფილოსოფოსობა კი ერის სამსახურში ყოფნაა. ერის სამსახური „ჩუმი ღვთისმსახურებაა.“ ამით იგი ქართულ სინამდვილეში ფილოსოფოსობის ორიგინალურ მოდელს წარმოგვიდგენს, რომელიც ყურადსაღებია დღესაც. იგი ვერ ეგუება მკაცრ აკადემიურ სტილს. ნიცშეს დარად მისი თითოეული სიტყვა მძლავრი ემოციური მუხტით, განწყობით ძიების შედეგია, რითაც მისი მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური კრედო ენათესავება არა მარტო სიცოცხლის ფილოსოფიას, არამედ გერმანულ ეგზისტენციალიზმს და ამით ეგზისტენციალიზმის ქართულ მოდელს ქმნის,

რომლის ძირითადი ნიშნებია: ეპოქის კრიტიკა, ხელოვნებიდან უშუალოდ გაქრობის კონსტატაცია, ადამიანური ყოფიერების ზღვარდებულობა, ტრაგიზმის ღრმა განცდა და მეტროპოლი ქრისტიანობა.

– **თქვენ არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ კონსტანტინე ბოლომდე ნიცშეანელად დარჩა?**

– არა. ამ მოსაზრებას ზვიად გამსახურდია არ იზიარებდა. დიდი მწერლის ნიცშეით გატაცება არასოდეს ყოფილა თვითმიზანი, რასაც თბილისში ჩატარებული „ნიცშეს საღამოც“ ადასტურებს. ნიცშეს ფილოსოფიას იგი განავითარებს კიდევ უფრო მაღალ მიძღვრებად. კანტის მსგავსად კონსტანტინე გამსახურდიასაც შეეძლო ეთქვა: „მე შემოვსაზღვრე ფილოსოფია, რათა ადგილი დამეთმო სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის“. მან ამას მიაღწია კიდევ: მისი შემოქმედება სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი მიძღვნილი ერთი დიდი მისტერიაა. ეს არის ფილოსოფიურ-მისტიკური მიახლება აბსოლუტთან, ღმერთთან და პირველ რიგში ქრისტიანობასთან, არა რელიგიური ექსტაზით, დოგმებითა და კანონთა ბრმად შესრულების გზით, არამედ „მორალური ფანტაზიით და თავისუფლებისა და შემოქმედების იმპულსით“. ადამიანის მეს განამდვილება თავისუფლებით მიიღწევა, მაგრამ ხშირად ადამიანი ყალბი, ცრუ თავისუფლების ტყვეობაში აღმოჩნდება და თავისუფლება მონობად ექცევა. ამაზე დიდი საშინელება არაფერია. ნიცშეს ფილოსოფია ამბოხია ყველაფერ ამის წინააღმდეგ. ნიცშეს საღამოს მონაწილეებს, სხვა ქართველ ნიცშეანელებთან ერთად, როგორც წესი, დრო და თანამედროვენი უსამართლოდ მოექცნენ. თითოეული მათგანი ნიცშესავით ტანჯული, „საკუთარ თავთან და ღმერთთან მორკინალი იაკობია“.



მურმან ზაქარაია

კოლხ-იბერული ერთიანობის მაიდენტირებელი უმომქმედებითი სამერთიანობა

ერთ „დინოზავრისდროინდელ“ წიგნში, სადაც ავტორი პოლემიკას მართავს წინა საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართული მწერლობის „დიზაინზე“ (და არა მარტო მასზე), წერს: „ჭაბუა ამირეჯიბის და ოთარ ჭილაძის რომანებში მოთხრობილი გასაოცარი, ზოგჯერ დაუჯერებელი ამბებიც კი ათასგზის უფრო სარწმუნოა, ვიდრე „თვალთ ნანახი“ და „გაგონილი“ სისულელები, წარმოუდგენლად უნიჭო წიგნებში რომ გვხვდება ზოგჯერ“. საბოლოო ჯამში, ავტორი აკეთებს ძალზე საყურადღებო დასკვნას, რომელიც სცილდება „მწერლური დიზაინის“ გარკვევის დონეს და იჭრება შემოქმედებითი ჭვრეტის მეტაფიზიკაში. ის მიგვითითებს იმაზე, რაც რიგითი მკითხველის შემეცნებისა და შეგრძნების (აღქმის) იქითაა მოსაზრებელი ამ წიგნებში (რომანებში).

მისი თქმით:

„ოთარ ჭილაძის წიგნი მითია, რომელისაც სიმართლედ ქცევა განუზრახავს პოეტს“

ჭაბუა ამირეჯიბის წიგნი სინამდვილეა, რომელიც ხვალ მითად უნდა იქცეს! (ხაზი, მ.ზ.)

ამ ორი მწერლის გმირები თითქოს ერთმანეთის რეტროსპექტიული ხატებია, ისინი თითქოს სამყაროს თავსა და ბოლოში დგანან, გაღმა-გამოღმა და ეს სიშორე, ეს მანძილი მათ შორის ქმნის განსხვავებულობის ეფექტს“.

ავტორი იქვე განმარტავს: „მე მხოლოდ უკანასკნელ ხანებში (მხედველობაში აქვს XX საუკუნის ბოლო მეოთხედი) შექმნილ უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებებზე ვლაპარაკობო“... (ტარიელ ჭანტურია, დინოზავრიდან დიზაინამდე, გვ. 146, თბ., 1989 წელი).

პოეტის ამ გონივრული შეფასებიდან თუ ამოვალთ, ჩვენ უსათუოდ შევნიშნავთ, რომ „სამყაროს თავსა და ბოლოში“ „გაღმა-გამოღმა“ მდგართა შორის 3500-წლოვანი მანძილი თვალჩაუნვდომელ უფსკრულს კი არ განუყვია, არამედ მათ შორის განოლილია ქართველური (კოლხ-იბერული) მოდემის რეალური (ცხოვრებისეული) ისტორია, მისი ეთნოკულტურა, განუყოფელი ნაწილი საკაცობრიო ცივილიზაციისა. ამიტომაც გახდა შესაძლებელი ამ შემოქმედებითი „რეტროსპექტიული“ ხატების შექმნა.

ეს „ისტორია“ თავის „მსხვერპლს“ – შემოქმედებით ასახვას მოითხოვს, რომელიც შეავსებს

მითსა და სინამდვილეს შორის „განოლილ“ – არცთუ ილუზორულ, ისტორიულ შემეცნებით სივრცეს. აი, ესაა შემოქმედებითი ნიშა (არე) ისტორიაში და, პირიქით, ისტორიის საზრისის მოცემულობა (ასახვა) შემოქმედებაში, მისი ყოველგვარ გამოსხატულებაში.

ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ოთარ ჭილაძის მითოლოგიურ და ჭაბუა ამირეჯიბის სინამდვილის ამსახველ რომანებს შორის მხოლოდ რეტროსპექტიულად არსებულ კავშირს აუცილებლად დასჭირდებოდა გამყარება ცხოვრებისეული კანონზომიერებით (და არა ოდენ ფაქტებით) შემაგრებული ისტორიული რომანით.

ამ ფორმულირების მიღების შემთხვევაში დიდი უეჭველობით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რომანი შეძლებდა ისეთი ცნობიერი საზრისის წარმოსახვას, რომელიც გზად და ხიდად გაიდებოდა მითსა და სინამდვილეს შორის, ამ ერთობით სრულად წარმოაჩენდა იმ რეალურ თუ ირეალურ სამყაროს, რომელიც აყალიბებდა და აყალიბებს ჩვენს ეროვნულ იდენტობას და ასე ცხოვლად აისახა ზემოთ დასახელებულ რომანებში, ზოგადად, ეროვნულ შემოქმედებით კულტურაში.

მაშასადამე, ჩვენი ეროვნული სულიერების ამსახველ ამ ტანდემს: შემოქმედებითად გააზრებულ მითსა და სინამდვილეს ნაციონალური რაობის სრულყოფილად წარმოჩენისთვის აუცილებლად სჭირდებოდა ასევე შემოქმედებითად გადამუშავებული ცხოვრებისეული ისტორიით გაჯერებული რომანი.

ისტორიაში ვერაფერს შეცვლი, მაგრამ ის, მარტო თავისი არსებითაც კი წარმოადგენს ჩვენი აწყმოსა და მომავლის საზრისშემოქმედების საფუძველს.

ისტორიულია ბრძოლა ბოროტებასა და სიკეთეს შორის, ამდენად, მითსა და სინამდვილეს შორის ასპარეზი სწორედ ამ ისტორიულ ბრძოლას უკავია. ამიტომაცაა „... ისტორიის ყველა ეპოქა თანაბარმნიშვნელოვანი და თანაბარსაზრისიანი“ – ეს ბერდიაევი. ბერდიაევისავე განსაზღვრებით: მსოფლიო ისტორიას, როგორც ტრაგედიას, აქვს შინაგანი საზრისი,

რომლის გადანყვეტა თვით ისტორიაში შეუძლებელია. ისტორიის საზრისი ის კი არაა, რომ განახორციელოს ამა თუ იმ პერიოდში დასმული ამოცანები, არამედ გაშალოს ისტორიის ყველა სულიერი ძალა, გამოავლინოს ჭეშმარიტება (ვლ. კოდუა, ისტორიის საზრისის საკითხისათვის, გვ. 410, თბ. 1976 წ.). ამაშია ისტორიაში შემოქმედების „შემოსვლის“ დანიშნულება, ისტორიული რომანის განსაკუთრებული საზრისშემცველობა ისტორიის რა მონაკვეთსაც, დიდსა თუ პატარას არ შეეხებოდეს ის. ალბათ ამიტომაცაა ისტორიული რომანების მიმართ განსაკუთრებული მაღალი სტანდარტების მიყენების ტენდენცია კი არ კლებულობს, არამედ იზრდება.

ისტორიული რომანის ავტორმა უნდა შეძლოს მასათა (მოდგმის) ენის (საზრისმომცველობის) სრულად ათვისება, მისი ისტორიული ღირებულების შეფასება; შეძლოს თავის შემოქმედებაში სარკესავით არეკვლა ყოველივე იმისა, რაც უძველეს წინაპართა ტრადიციებიდან გამომდინარე სიბრძნითგან მოყოლებული დამჩნევია ერის სულსა და გულს; მხოლოდ მაშინ შეძლებს მწერალი ჩვენთვის კარგად ცნობილი დაუნდობელი ყოველდღიურობის იქით, პოეტური სრულყოფილებით გამართული სიტყვით, განჭვრიტოს ეროვნული სულიერების ის იდუმალი სივრცეები, რომლებიც ასაზრდოებენ ჩვენი ცხოვრების გზასანიერს.

ჩვენი თვალუწვდენელი კულტურულ-ცივილიზატორული ჰორიზონტის უკიდურეს მიჯნებს შორის მოქცეული ეს ისტორიული სივრცე წარმოადგენს უშრეტ წყაროს შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, მაგრამ მისგან ჭეშმარიტების მარცვალი რომ ამოიღო, განსაკუთრებული ღვთიური ნიჭით უნდა იყო მირონცხებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კრახი გარდაუვალია. სწორედ ამიტომ ძნელად თუ შეუბედავენ ისტორიული ანალების შემოქმედებითად გაცოცხლებას და მის „სარკესავით არეკვლას“ მწერლები და პოეტები არა მარტო ჩვენს სინამდვილეში, არამედ ზოგადადაც. ეს კი შეძლო გიორგი სიჭინავამ თავის ახალ რომანში.

* * *

ამ რომან-ტრილოგიის შეთავაზება ზემოთ მითითებული დუალისტური ცნობიერების (მითოსურისა და სინამდვილის), ისტორიულად მარეალიზებელ მესამე ნევრად, ეროვნული სულიერების მარეგულირებელ ამ ორსახოვანი სააზროვნო ერთიანობის „შემოქმედებით ტრიადად“ (მითი, სინამდვილე და ისტორია) გადაქცევის შესაძლებლობას ვუშვებთ, არა მარტო ამ რომან-

ნის შემოქმედებითი სიღრმისა და სააზროვნო-შემეცნებითი პოტენციალის შეუზღუდველობის თვალსაზრისით, არამედ წიგნის „დინოზავრიდან დიზაინამდეს“ ავტორის მიერ ზემოთ შემოთავაზებული, სრულიად მართებული ფორმულირებისათვის არსობრივად (მეთოდოლოგიურად) დასრულებული სახის მიცემის კონტექსტითაც.

თუ ოთარ ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მითია, რომლითაც სინამდვილის პერსპექტივა უნდა განვჭვრიტოთ;

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ კიდეც – სინამდვილე, რომელსაც თავისი სრულყოფილების შედეგად, ბედად უწერია მითად ქცევა, რაც ჩვენს თვალწინ ხდება;

მაშინ გიორგი სიჭინავას რომან-ტრილოგია (ის თავდაპირველად ცალ-ცალკე წიგნებად დაიბეჭდა), „უტუ მიქა“ წარმოგვიდგება ამ მითოსური სამყაროსა და ცხოვრებისეულ სინამდვილეს შორის მოქცეულ, კოლბ-იბერული მოდგმის ისტორიის (მისი კონკრეტული მონაკვეთის სახით) შემოქმედებითად (განზოგადებულად) ასახვის ცდად.

ამ რომანში ავტორი აღწევს ჩვენი მითაჟამდელი ისტორიის მთელ სივრცეში მიმოზნეული ხალხური სიბრძნის და ცხოვრების საზრისიანობის ცნობიერად გადამუშავებას, რომლის გარეშე ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება ფიქცია იქნებოდა – მაშასადამე, გიორგი სიჭინავას ეს წიგნი ისტორიაა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს მითსა და სინამდვილეს შორის.

ამასთანავე, ისტორიული კანონზომიერების თვალთახედვიდან გამომდინარე, მასში გვეძლევა ჩვენი კრიზისული ანმყოსა და ბურუსით მოცული მომავლისთვის საზრისმიცემი ეროვნული ღირსების შეგრძნებისა და აღდგენისთვის ბრძოლის გზასანიერი ფორმულით: **„კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს; ყველა ღმერთის გაჩენილები ვართ“** და **„... ნუ გამოეკიდები ბედნიერებას და არ იქნები უბუდური“**.

ამდენად, XX საუკუნის ბოლო მეოთხედის (იმავე დინოზავრების ეპოქის), ქართული კლასიკური რომანის ამ, თითქოსდა ადამიანური ცივილიზაციის „თავსა“ და „ბოლოში“ მდგარ ორეულს, რომლებიც მხოლოდ „რეტროსპექტიულ კავშირში არიან ერთმანეთთან“, ჩვენ ინტერნეტის (ე.წ. სოციალური ქსელების: ტვიტერის, ფეისბუქის, ინსტაგრამის და ა.შ.) ჭორ-მართალით, უფრო ჭორთა-ჭორით მოცულ ეპოქაში შეემატა კლასიკური სტილის ახალი რომანი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას ამ „ორეულის“ – მითოსურისა და სინამდვილის, ისტორიული საზრისმომცველობით შემაკავშირებელ

შემოქმედებით აქტად მივიჩნევთ.

ასეთი სამართლიანობის დაშვებულობის შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ეროვნული სულიერებისა და ყოფიერების დასრულებულ, შემოქმედებითად სრულყოფილ, სახეს „ადამიანური ცივილიზაციის“ სათავესა და დღევანდელობას შორის მოქცეული კოლხ-იბერული კულტურისა, რაც თავისთავად მიმანიშნებელია მის ადგილსა და როლზე საკაცობრიო ცივილიზაციაში.

სხვათა შორის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში (ხელმძღვანელი მადონა მაქაცარია) გამართული, ამ ნიგნის წარდგინების მსვლელობისას, მართალია, მოკრძალებით, მაგრამ მაინც, არაერთხელ გაისმა ამ რომანის სულიერ-შემეცნებითი საზრისის შედარება „დათა თუთაშხიას“ ცნობიერ სამყაროსთან. იმედია, მკითხველთა ამ ინტუიციურ ხმას გაგრძელება მოჰყვება და გავიგებთ მწერალთა და კრიტიკოსთა, პროფესიონალ ლიტერატორთა მოსაზრებებსაც ამ ახალ რომანზე, თუკი დაძლევენ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში გამეფებული ნიჰილიზმიდან მომდინარე „ჩვევას“, იკითხონ და ილაპარაკონ საკუთარ და „ახლო საძმოს“ ნაბეჭდ ტექსტებზე, „დინოზავრების ხანაში“ პოეტი „თვალთ ნანახ“ და „გაგონილ“ სისულელეებს რომ უწოდებდა (ის კი არადა, ციკლურად აძლიონ ერთმანეთს სხვადასხვა სახელობის პრემიები თუ მიიქცევენ ყოვლისშემძლე სახელმწიფო აპარატის ყურადღებას ან დაითრევენ მავან „ქველმოქმედს“, რომელსაც განუზრახავს ბიზნესიდან „გადანაცვლოს“ პოლიტიკაში).

* * *

ცნობიერი წიაღსვლა.

მკითხველს შეიძლება ისე მოეჩვენოს, რომ „კალამი გამეცქა“, მაგრამ არა, ვილაცებისთვის „მოუკრეფავში“ გადასვლისკენ მიბიძგა, ჩვენი ეროვნული იდეის მაიდენტირებელ რომანთა ამ „სამეულთაგან“ პირველის ავტორის „ჩანაწერებმა“, რომელიც გამოქვეყნდა მწერალთა ეროვნული აკადემიის გაზეთ „სხვა დრო“ № 3-ში.

ბატონი ოთარ ჭილაძე პირდაპირ მოთქვამს: „ახლა ლიკანში უნდა ვიყო უკვე, მე კი არაფერი გამოკეთებია საამისოდ. ვნახოთ, **ამჯერად** (ხაზი, მ.ზ) ვინ „გაიღებს მონყალებას“, ვინ გადაიხდის ჩემი საგზურის ფულს, რომლის ყიდვაც თავად არ შემიძლია – ექვსი პოეტური კრებულის, რასინის, ბაირონის, პუშკინის, ლონგფელოს მთარგმნელს, ოთხი გამოცემული (!!) რომანის ავტორს (1995წ.). ასეთია სულიერ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში იმ ხალხისა, რომლებსაც ღირსებისა და სინდისის მეტი არაფერი გააჩნიათ და ისიც ეეჭვებათ, სჭირდება თუ არა ვინმეს მათი ღირსება და სინდისი!“ ნუ ეგონება ვინმეს, ეს გოდება პოეტისა სინ-

დისისა და ღირსების დევალვაციაზე იმ საუკუნეში ჩარჩა, არა! – ზნეობრივი ნორმები სულ უფრო უფასურდება იმდენად, რომ თვით ე. წ. ოპოზიციონერი ლიდერებიც კი დაბეჯითებით აცხადებენ: ჩვენი მსოფლმხედველობითი კრედო პოლიტიკურ-სამართლებრივია, არ გვაინტერესებს ზნეობრივი მომენტები, ე.ი. პოლიტიკა და სამართალი დაცლილია ყოველგვარი მორალურობისგან.

მათ ამ „პუტჩისტურ ალიანსურ“ საზოგადოებას დავინყებია, რომ „ზნეობის მეტაფიზიკა გარდაუვლად აუცილებელია... რათა გამოვიკვლიოთ წყარო ჩვენს გონებაში a priori ჩამარხული პრაქტიკული პრინციპებისა“; ამ პრინციპებით უნდა იქმნებოდეს კანონები და შესაბამისად პოლიტიკაც. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ კანონმდებლები ისეთ დონეზე ამაღლდნენ, რომ გაიაზრონ: არაზნეობრივი საფუძველი... კანონთსა-წინააღმდეგო ქმედებათა წარმომშობია...“ ამიტომ იგი (მეტაფიზიკა) (ზნეობის, მ.ზ.) წინ უნდა წავიმძღვარიოთ...“ სხვა მხრივ „...იგი ზიანს აყენებს თვით ზნეობის სინმი-დეს და საკუთარი მიზნის საწინააღმდეგოდ მოქმედებს“ (იმანუელ კანტი, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, გვ. 31-33, თბ. 2013წ.). ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობას მივყავართ იმ სიტუაციაში, როგორსაც ავგინერს ამ დიდებული „ტრიოს“ პირველი რომანის ავტორი: „ცუდია, როცა ბრძენს ნამჯას უყრიან, ვირს კი ჭკუას ეკითხებიან. ასეთი „შეცდომა“, ძირითადად, ხელისუფალთ მოსდით, რადგან ბრძენის თვალში საკუთარ სიპატარავეს ხედავენ, ვირის თვალში კი – გულუბრყვილო ალტაცებას“

მართალია „ჩანაწერების“ ავტორი ბოლოს იტყვის, ცოტა მკაცრად გამომივიდაო, მაგრამ თუ სიმართლეს თვალს გაუხსნორებთ, უზნეობაზე აგებული კანონებით მცხოვრებ, პუტჩისტური ალიანსის საზოგადოებისთვის ასეთი „პირში თქმა“ ოდენ „ზღვაში წვეთია“; ვინაიდან მათთვის არა მარტო დღევანდელ უზნეობაზე მითითებაა მიუღებელი, არამედ ისტორიულ წარსულში ჩადენილი უზნეო საქმეებისა და მმართველობების შესხენებაც კი შოკისმომგვრელია. ამიტომაცაა, გიორგი სიჭინავას ამ „ზნეობის მეტაფიზიკის“ კონტექსტით გამართული ფსიქო-სოციალური რომანის მიმართ „ეჭვების ჭია“ რომ გაჩნდა.

ნათქვამია: ჩამომხრჩვალის ოჯახში (სახლში) თოკი არ უნდა ახსენოო, ამისა არ იყო, ზნეობისაგან დაცლილი კანონებითა და ხელისუფალთა სიცრუით გაბრუებული ფსევდოსაზოგადოების და მის ხელისუფალთათვის მორალური პრობლემის დაყენება თუნდაც ისტორიულ რომანში „სასიკვდილო“ საშიშროებას წარმოადგენს.

საზოგადო ზნეობის პრობლემა, როგორაც მეცხრამეტე საუკუნეში იდგა, როცა რუსეთის ცარიზმი თანდათანობით ძირფესვიანად თხრიდა და ანადგურებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, ეკლესიურ ავტოკეფალიას, ამკვიდრებდა უზნეობას, ისევე დგას დღის წესრიგში. ბოროტების იმპერიისგან თავდახსნილი ქვეყანა, იმპერიული უზნეობით ნაზარდმა შავბნელმა ძალებმა, „პუტ-

ჩისტური ალიანსის საზოგადოებამ“, ისევ შეუყენა რუსულ გზას. ამაზე იტყვის „ჩანაწერების“ ავტორი: „... ეგრეთ წოდებული სამშობლოც უკვე დროებითი ცნებაა“. სადაც „კინტო ულოცავს საქართველოს აღდგომის დღესასწაულს“ და იქვე შეგვახსენებს იოსებ გრიშაშვილის გამწარებულ გაფრთხილებას: „კინტო საგინებელი სიტყვააო“. ასე რომ, დაფიქრება მართებთ იმათ, ვისაც ეხამუშა გიორგი სიჭინავას რომანში დახატული XIX საუკუნის ზოგიერთი უზნეო თავად-აზნაურის სახე. მათ ვურჩევდით, შეადარონ ეს სახეები დღევანდელი – XXI საუკუნის საზოგადოების ე.წ. ელიტარული ნაწილის: ხელისუფლების, თუნდაც ე.წ. ოპოზიციის თუ „აღდგომის მომლოცველთა“ მორალურ სახეს; მაშინ უდავოდ დაინახავენ, რომ რომანში დახატული საზოგადოების ზნეობრივი პოტენციალი უფრო პერსპექტიულია დღევანდელი პოსტპუტრისტური – ალიანსური საზოგადოებისაზე, ჩანაწერების ავტორი „კინტოების რესპუბლიკას“ რომ უწოდებს და ის, რომ ეს „... გვგონია გვირგვინი ჩვენი ეროვნულობისა“.

ამიტომ რომანში აღწერილი ისტორიული პერსონაჟების მოქმედებათა მიღმა აუცილებლად უნდა დავინახოთ თანამედროვე ზნეობის გაუთვალისწინებლად შექმნილი კანონმდებლობითა და პოლიტიკით „მცხოვრები“ საზოგადოება – მისი საერო თუ სასულიერო ელიტა.

* * *

ბოროტების მთესველი „ერთმორწმუნე“ იმპერიის მიერ ასწლოვანი დინასტიის, ქართული სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკური და სოციალური აქტივობის ყოველგვარი გამოვლინების მოსპობის შემდეგ, სწორედ ამ ტრადიციულ მითო-ისტორიულ გამოვლინებებზე დაფუძნებულ ეროვნულ ღირსებას უნდა ეკისრა (და არა ოდენ ქართულ მწერლობას, რომელიც თავისი საუკეთესო წარმომადგენლების ღვაწლით გამახმრვანებელია ამ თვითმყოფადი გენისა) ნაციის როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერ-კულტურულად გადარჩენის საკითხი. მან მისცა ხალხს საშუალება (უნარი) ეწარმოებინა მრავალსაუკუნოვანი პერმანენტული ბრძოლა თავისუფლებისათვის, პოლიტიკური ცხოვრების განახლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ რომანში გვიზიდავს არა აღსასრულის კარამდე მისული ფეოდა-

ლური სამთავროს (XIX საუკუნის შუა ხანების) ისტორია, როგორც ფაქტი და მოვლენა, არამედ ჩვენი უძველესი წარსულიდან და ეთნოკულტურიდან მომდინარე ცხოვრების (მითისა თუ ისტორიის) საზრისმანარმოებელი სიბრძნე – წყარო კოლხიბერული მოდგმის ნაციონალური ღირსებისა.

სწორედ ეროვნული ღირსების საკითხია, ამ სამივე რომანს წითელ ხაზად რომ გასდევს და მათი ერთ მთლიან კონტექსტში წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს.

ამდენად, ტარიელ ჭანტურიას მიერ შემოთავაზებული ფორმულების ლოგიკას ასევე ლოგიკურად თუ მივყვებით, ამ ტანდემის „უდრტივინველი“ თანაარსებობა აუცილებლად უნდა დარღვეულიყო. ეს „რეტროსპექტიული ხატების“ სახით არსებული დუალისტური ერთობა გარდაუვლად მოითხოვდა მესამე წევრს ზემოთ მიმოხილული საზრისმატარებელი ისტორიული რომანის სახით. ჩემი შეხედულებით, ასეთი რომანი კიდევაც მიიღო მკითხველმა გიორგი სიჭინავას ისტორიული რომანის (ტრილოგია) „უტუ მითა“-ს სახით.

* * *

ამ წიაღსვლების გათვალისწინებით „ბატონყმური ზნეობის“ პატრიოტ დამცველთ მინდა შევახსენო: იმ ძველი ეპოქიდან მომდინარე „მომაკვდინებელი“ ირონიით აღსავსე სიტყვა-თქმა „დადია მიშუა დო ბათია შარას გილაჩოქუდუა“ [დადია (აქ ბატონი) მოდიოდა, ბათია (პირადი სახელი განზოგადებით ყმაგლეხი, ფრანგულში რომაა, ყაკი – ზოგადად გლეხი, დაბალი ფენა) კი გზაზე იჩოქებდაო], რომელშიც სრულად არის ასახული ის სოციალური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა „დაცემულობის“ სამსაუკუნოვან ეპოქაში საქართველოში და რომელიც ერთი-ორად დამძიმდა რუსული სამოედერჟავული სისტემის გაბატონების ფონზე. ამიტომ, ვინც ამ ეპოქის წოდებრივ (სოციალურ) ურთიერთობებზე მსჯელობს რუსთაველის ხანის პატრონყმური დამოკიდებულების კონტექსტში და „მომავალ დადია“-სა და „დაჩოქილ ბათიას“ შორის მამაშვილურ (პატრიციულ), მზრუნველობით აღსავსე ურთიერთობას ეძებს, მეტი რომ არ ვთქვათ – ძალიან ცდება.¹

მამასადამე, მწერალი სოციუმის შიდაკონ-

¹ ჩემი შეხედულებით ასეთი მიდგომის დამკვიდრებას ჯერ რუსული ცარიზმის („ბათიას“ სინდრომი) იდეის დამკვიდრებამ, შემდეგ კი ბოლშევიკური დიქტატურის გაბატონებამ შეუწყო ხელი. განსაკუთრებით „ზასტოის“ ხანისა. სწორედ აქედან გადმოედო დამოუკიდებელ საქართველოს ეს მონური მორჩილების სინდრომი და ზურგში ლახვარი ჩასცა, „გაცოცხლებულ“ ეროვნულ ღირსებას. ნებისთ თუ უნებლიეთ ისინი, ვინც გამოდიან „ბატონყმური პატრიოტიზმის“ დროში, ზიანს აყენებენ ეროვნული სულიერების, ღირსების აღორძინების საქმეს.

ფლიქტურ სიტუაციას აგებს ორ ანტიპოდურ მსოფლმხედველობრივ ხალხურ სიბრძნეზე:

ერთი – დადიას წინაშე დაჩოქილი ბათიას განზოგადებული სახეა. ამ შემთხვევაში ავტორმა შეძლო ბურუსით მოცული წარსულიდან ამოეყვანა და სრულყოფილი დრამატიზმით აღენერა მხოლოდ „დიახ“-ისა და „ახლავეს“ მცოდნე „მუცელში ხმაჩავარდნილი“ ბაკი ბაჩილასა და მისი ბატონის – კონწარ ჩიქვანის სახე. ამ უკანასკნელისთვის მამის დანაბარები ბიბლია და სახარება იყო. მამიდან შვილზე ანდერძად გადმოსული ეს ძალადობრივი „ფილოსოფია ცხოვრებისა“ კი მარტივი არის: „ნუ იქნები გლეხთან ლმობიერი. თუ აპატიებ ან რბილად მოეპყრობი, ღირსების გრძნობა გაუჩნდება... ნახევრადმშიერს ღირსებისთვის არ სცალია. ის მხოლოდ არსებობაზე ფიქრობს. იარსებოს და იმსახურე“. ამ „ცხოვრებისეულ ფილოსოფიას“ მრავალგვარისაა შეიძლება „კონწარიზმი“² ვუნოდოთ. ჩემი წარმოდგენით, ავტორსაც ასე მსოფლმხედველურად აქვს ის გააზრებული, ამიტომაც გადადის მამიდან შვილზე ანდერძის სახით. ეს ანდერძი კანონის ძალას იძენს, რომელიც ამ სახელის ეტიმოლოგიაში გვეძლევა. აკი ათქმევინებს ავტორი თეოფილე ჩიქვანს: „შემთხვევით კი არ დაგარქვი ეს სახელიო...“² (უტუ მიქა, გვ.10, თბ. 2018წ.) ამიტომ ვურჩევდი „კრიტიკოსთ“, ცოტა ღრმად ჩაუკვირდნენ ამ „ძალადობის ფილოსოფიას“ და ღირსების საკითხს, შეადარონ ის ჩვენს ახლო წარსულთან, თუნდაც დღევანდელობასთან.

მეორე – „კონწარიზმით“ დათრგუნვილი ღირსების გამაღვიძებელი ფორმულა: „კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს; ყველა ღმერთის გაჩენილები ვართ“.

მწერალი ამ გზით, ისტორიული რეალობის ფონზე ზედმინევენით სრულყოფილად წამოწევს ბოროტსა და კეთილს შორის მარადიული ბრძოლის პრობლემას; ის შემოქმედებითად გაცნობიერების გზით, კომპოზიციურად კრავს ამ ორ ანტიპოდურ ხალხურ სიბრძნეს. ასეთ ზნეობრივ და ეთნოფსიქოლოგიურ პოსტულატებზე იგება რომანის საზრისმატარებელი ფუნქციონალური სისტემა. **სწორედ ზნეობრივი ასპექტი ასრულებს რომანის „გონის“ ფუნქციას.** მისი მეშვეობით ვჭვრეტთ ადამიანის სულის დიფუზიას, რომელიც მთელი სიმწვავით ვლინდება ისტორიულ თუ გამოგონილ პერსონაჟთა მოქმედებებში თუ აბსტრაქტულ, წმინდად ცნობიერ გააზრებებში, რომლებიც უდავოდ ავტორის სულიერი განცდების ასახვად უდა მივიღოთ, რაც გვაძლევს

საშუალებას თანამედროვეობასთან მათი დაკავშირებისა.

რომანში პერსონაჟთა სულის ეს „მოუნესრიგებელი“ მოძრაობა და მისგან მომდინარე კონცეპტები აყალიბებენ იმ რაციონალურ თუ ირაციონალურ საზრისმატარებელ გარემოებებს, რომელთა კვალობებზეც იქმნება პიროვნულ თუ საზოგადოებრივ კონფლიქტთა მთელი წყება.

სულიერ კონფლიქტთა ფონზე იშლება ისტორიული და საზოგადოებრივი განპირობება რომანის უმთავრესი იდეური საზრისისა, რომ ყველა ღმერთის გაჩენილები ვართ – მაშასადამე, თავისუფალნი! ე.ი. კაცის კაცი არ უნდა იყოს. ასეთია ავტორისეული გააზრება (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე წარმოვიდგენთ მას) აჯანყებულთა ლოზუნგად ქცეული ამ ხატოვანი სიტყვა-თქმისა და არა ისეთი – მხოლოდ სოციალური თანასწორობის მოთხოვნის კონტექსტში, როგორაც მას წარმოაჩენდნენ ჩვენს ისტორიოგრაფიასა თუ ლიტერატურაში.

ამდენად, **სოციუმის ფსიქოლოგიური განწყობის, ცხოვრების წესის, სულიერი განვითარების დონის აღწერის პროცესში ნაწარმოების სიღრმისეული შრეები სრულად წარმოაჩენენ რომანის ფილოსოფიურ, მსოფლშეგრძნებით საზრისს.**

* * *

გიორგი სიჭინავას ამ რომანის საზრისის ასეთი გააზრება საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენი ამ გარდამავალი ეპოქისთვის დამახასიათებელი **ზნეობრიობის დეველვაციის ხანაში** მკითხველმა მიიღო ისტორიული რომანი, რომელშიც ავტორი „თავისებურად და უტყუარად“ მიგვითითებს კრიზისულ ხანაში ზნეობრიობის სიმნიშვნის შენარჩუნებისა და დათრგუნული ღირსების აღდგენისათვის უკომპრომისო ბრძოლის აუცილებლობაზე.

მაშასადამე, ეს წიგნი უნდა წაიკითხო არა იმ მიზნით, რომ მისგან სამეგრელოს ისტორიაზე, გოეთეს თქმისა არ იყოს, „რაიმე ისწავლო“, არამედ, კოლხ-იბერული უძველესი ეთნოკულტურიდან მომდინარე ცნობიერი სამყარო შეიგრძნო, რომელზედაც, იმავე გოეთეს ნააზრევს თუ გამოვიყენებთ, „დღეს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ“. სწორედ რომ ქართველური (კოლხ-იბერული) სამყაროს ეთნოკულტურული ცნობიერების მთლიანობაში გააზრების აუცილებლობა აკავშირებს ამ სამ რომანს ერთმანეთთან.

წიგნის წაკითხვის საკითხს რადგანაც შევეხეთ, უპრიანი იქნება ისევ მივყურადოთ გერ-

² კონწარი – მწარე (მწარე თქმა, მწარე ენის პატრონი) ავი, დაუნდობელი...

მანელი გენიოსის მიერ ახალი წიგნის: „იაკობისა და მისი მეგობრების მიმოწერა“-ს წაკითხვის შემდეგ ნაუბარს. წინასწარ უნდა ითქვას, რომ მისი მოსაზრება ამ ახალი წიგნის პერსონაჟებზე თითქოსდა გიორგი სიჭინავას ამ რომანის გმირთა მიმართ არის თქმული. სხვათა შორის, ამ შედარებისას საყურადღებოა ისიც, რომ ეპოქა, რომელშიც მოქმედებენ გოეთეს მიერ განხილული რეალური ისტორიული პირები, სულ ორიოდ ათწლეულით უსწრებს „უტუ მიქაში“ აღწერილ რეალურ პერსონაჟთა მოღვაწეობის ეპოქას. ე.ი. ორივეგან ლაპარაკია ფეოდალური, კარჩაკეტილი საზოგადოების ფსიქოსოციალურ განწყობაზე.

გოეთე ეუბნება ეკერმანს: წიგნში „თქვენ შეხვდებით თავისთავად გარკვეული აზრით უდავოდ მნიშვნელოვან ადამიანებს, მაგრამ არავითარი საერთო მიმართულება და ინტერესები არ გააჩნიათ, ყველა კარჩაკეტილია, საკუთარი გზით მიდის, ისე რომ მეორის მიმართულებისადმი არავითარი საერთო მიმართება და ინტერესი არ ჩანს. მე ისინი მომაგონებენ ბილიარდის ბურთულებს, რომლებიც მწვანე მაუდზე თავისთვის დაგორავენ, ერთმანეთს აწყდებიან და როგორც კი ერთმანეთს შეეხებიან, ისევ უწესრიგოდ განიფანტებიან სხვადასხვა მხარეს“ (გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გვ. 145, თბ., 1988 წ.).

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ დახასიათებული საზოგადოების ცნობიერება ზედმინევენით ესადაგება გ.სიჭინავას რომანის გმირთა საზრისმაფორმირებელ სამყაროს წესსა და რიგს. მათთვისაც დამახასიათებელია, საზოგადოების სხვა წევრთა, მით უმეტეს, სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთაადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, კარჩაკეტილობა, „არავითარი ზრუნვა მეორის მიმართებისადმი“, როცა ცხოვრებისეული ყოველდღიურობისას იძულებულნი ხდებიან ერთმანეთს შეეხონ, მაშინათვე კონფლიქტში შედიან: ერთურთისა არა ესმით რა.

მაშასადამე, ამ ორ საზოგადოებას, სივრცობრივად და გენოკულტურულად ძალზე განსხვავებულთ, რალაც საერთო მახასიათებელი მოეძიებათ, ამაშია ისტორიული საზრისმომცველობის ძალა.

ზემოთ დასახელებულ ზუგდიდურ თავყრილობაზე მკითხველის მიერ მწერლისადმი საყვედურად დაახლოებით ასეთი ტექსტით თქმული: „ნუთუ ასეთი გულგრილნი და დაუნდობელნი იყვნენ მაშინ ჩვენი წინაპრები“, იმ ისტორიული კანონზომიერების გაუთვალისწინებლობის (თუ

არცოდნის) შედეგია, რაც ამ ორ განსხვავებულ საზოგადოებას ერთმანეთს ამსგავსებს. ასე რომ, „ჩვენი წინაპრების გულქვაობა“ დიდად არ განსხვავდებოდა (და არ განსხვავდება) გერმანული საზოგადოების გულქვაობისაგან. ის იმ ისტორიული კანონზომიერების შედეგია, რომელიც ახასიათებს კრიზისში მყოფ დაქუცმაცებულ ფეოდალურ საზოგადოებას. სხვათა შორის, ყოველგვარი ღრმა კრიზისული ვითარება ანადგურებს პიროვნულ თუ საზოგადოებრივ ზნეობასა თუ ღირსებას, სწორედ ამაზეა რომანი.

გიორგი სიჭინავას რომანის ისტორიულობა არა იმდენად ფაქტების ზედმინევენით დამუშავებასა და მათი საჭიროებისამებრ მოხმობაშია (ბოლოს და ბოლოს, ფაქტების სინამდვილესა და სისწორეზე მისი მომპოვებელი და დამაფიქსირებელი მემატინაეა პასუხისმგებელი), არამედ იმაში, თუ რამდენად საზრისმომცველად შეძლო მწერალმა კრიზისში მყოფი ფეოდალური საზოგადოების რეალური სურათის დახატვა, რომელიც თურმე ერთგვაროვნად აისახება როგორც გერმანული, ასევე ქართული საზოგადოების და ა.შ. ცხოვრების წესზე. საქართველოს შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო დამძიმებულია მაკმადიანურ სამყაროსთან სარწმუნოებრივად და ეროვნულად გადარჩენისთვის პერმანენტული ბრძოლის პროცესში სამეფო-სამთავროთა შორის საზოგადოებრივ-კულტურული კავშირების შესუსტებით, რაც ახალი XIX საუკუნის პირველ წელსვე დასრულდა ისედაც ეფემერულად არსებული სახელმწიფოებრიობისა და ათასწლოვანი სამეფო დინასტიის მოსპობით მოყვრულად მოსული ბოროტებით გაჟღენთილი რუსული თვითმპრობელობის მიერ, რომელიც რომანში აღწერილ ეპოქაში ემზადებოდა ბოლო, ყველაზე გემრიელი ლუკმის – სამეგრელოს (სვანეთით) და აფხაზეთის გადასაყლაპავად.

ამდენად, სამეგრელოს „დამოუკიდებელი სამთავრო“ აპოკალიფსურ კრიზისშია, საზოგადოების სასიცოცხლო ძალები – უკიდურესად დასუსტებული; სოციუმის ყველა უჯრედი, მატერიალურ თუ სულიერ სფეროში, მოუცავს გამძაფრებულ შიდა წინააღმდეგობას; ასეთ ვითარებაში, ისედაც ძნელად შენარჩუნებული ტრადიციული ზნეობრივი ნორმები ზედმეტად დუნდება, ადამიანებს იპყრობს „საშინელი მოუსვენრობა“. ბუნებით ცოდვილი ადამიანი სრულ დაბნეულობაშია, აპათიას მოუცავს, სადღაც გამქრალა „აზრისმიერი ნათელი“. მისთვის „წარსული გამქრალა, მომავალი ჯერ არ დამდგარა, აწმყო კი ჩვენს გრძნობას მანამდე უსხლტება, ვიდრე

შეცნობას მოასწრებს“. კრიზისში მყოფი ასეთი საზოგადოების შინაგანი ბუნების ახსნას უტრიალებს, უაილდის თქმულის პერიფრაზით თუ ვიტყვი, ავტორის „ფიქრის ფორმა“ და „ფორმა ფიქრისა“, რომელიც მიმართულია მშობლიური ქვეყნისა და ხალხისკენ, რომელსაც „არასდროს მოსწყინდება თვალი ადევნოს შეშფოთებული სულის ხეტიალს წყვილიდან წყვილამდე“, რომელსაც თან ახლავს ოპტიმიზმის გვარიანი დეგრადაცია (შეადარე ოსკარ უაილდი, კრიტიკოსი, როგორც ხელოვანი, გვ.8, 9. თბ. 1997წ.). ამიტომ ის ცდილობს თავისი ოდაბადეს სულის ამ ხეტიალს მიაყოლოს გონების თვალი. ასეთია მისი მიდგომა ისტორიული წარსულისადმი, შემოქმედებითად რომ გაგვიცოცხლა მწერალმა იმავე უაილდის თქმით – „არაფრად რომ არ ვაგდებდით და მხოლოდ სევდას რომ ჰგვრის კაცს“. მწერალმა აღწერა სულის უგზო-უკვლო ხეტიალით დაღლილი საზოგადოების რეალური სახე, რომელიც „ზედმეტად თამამად“ მოსჩვენებია მავან გადამკითხველს თუ „მეცნიერ ჰუმანისტს“. მაგრამ განსაკუთრებით საგანგაშოა, როცა ქვეყნის განთავისუფლებისა და დათრგუნული ღირსების აღდგენისთვის თავშენიერულ მებრძოლთაგან ისმის მსგავსი შეფასებები.

ერთ შინაურულ სუფრაზე ავტორისთვის უსაყვედურიათ, „ზედმეტად თამამად“ დაგინახავს „ჩემი დედოფალი“. ამ შემთხვევაში, ვერაფერს ვიტყვით იმაზე უფრო სწორსა და გასაგებს, რაზედაც ზემოთ მოყვანილ ამონარიდში მიგვითითა თანამედროვე „პესიმის“ ფუძემდებელმა: „პატრიოტიზმის ზოგიერთი ფორმა გვარიან დეგრადაციას იწვევს“ და ალბათ მხედველობაში ჰქონდა მსგავსი პარტიკულარული გაუგებრობები, რაც ალბათ ისევე ანუხებდა დიდ ევროპას, როგორც პატარა საქართველოს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პატრიოტიზმის ამ „ზოგიერთი ფორმის“ მიმართ კრიტიკულ მიდგომაზე მიმთითებელი არც უაილდამდე გვაკლდა და არც მის შემდეგ.

დიდი ილია გვარიგებდა: ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, გამოუტანია თავი განსაცდელისაგან, წინ წასულა და გაძლიერებულა, რომელსაც შეუტყვია ერთის ნოდების წინ წაწევის დანარჩენის უკან დანევა მოყოლია. მართალი და ჭეშმარიტი მოძღვრება მოითხოვს: „ცალკე კაცია, თუ ცალკე ნოდება მარტო მას უნდა იძახოდეს – თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებო“ (წმინდა ილია მართალი (ჭაჭავაძე), შეგონებანი, გვ. 66, თბ., 2003 წ.).

ასე, ზნეობრიობის დონეზე აყენებდა გაუ-

კულმართებული ნოდებრივი ურთიერთობის და-რეგულირების საკითხს ჩვენი ნამდვილი პატრიცი.

ეროვნული ისტორიის მამამთავარი – ივანე ჯავახიშვილი ისტორიის გამალამაზებელთ და წარსულით მოყვლეულეთ კატეგორიულად შეახსენებდა, ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულებების წამოყენებას სჯობია დასაბუთებული, რეალური სინამდვილის წერა; უნდა ახსოვდეთ ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ავალებთ, თავიანთი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინონ (ივ. ჯავახიშვილი, ტომი I, გვ. 40, თბ. 1979 წ.)

ამდენად, ავტორს თუნდაც ეს ზნეობრივი მოთხოვნები ავალდებულებდა ყოფილიყო გახსნილი და „თამამი“ ამ ისტორიული რომანის წერის პროცესში. „კრიტიკოსებს“ კი მინდა ვურჩიო, დღეს, როცა მოიხსნა რკინის ფარდები, ნუ იხარშებიან პარტიკულარიზმის წვენში, შეხედონ, თუ რა გახსნილად და დაუფარავად წერენ თავიანთ სახელოვან მეფეებსა თუ დედოფლებზე მსოფლიოს დიდი ერების წარმომადგენლები. ჩვენს ძველთაძველ ისტორიას, თუნდაც დინასტიურს, არაფერი სჭირს შესალამაზებელი; მათი, თუნდაც ყველაზე ცუდი წარმომადგენლის ქცევას უფრო მეტი გარეშე გამომწვევი მიზეზები აღმოაჩნდება ხოლმე, ვიდრე რომაელ, ბიზანტიელ, გერმანელ, ფრანგ თუ ყველაზე კონსერვატიულ ბრიტანული იმპერატორების მთელ წყებას. ჩვენს ისტორიას დღეს შელამაზება და ფაქტების დაფარვა კი არ სჭირდება, არამედ მათი მეცნიერულად თუ შემოქმედებითად დამუშავება და პატრონობა, საერთაშორისო არენაზე გატანა, საკაცობრიო კულტურის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილის მიჩენა.

* * *

ალბათ „მადეგრადირებელი პატრიოტიზმის“ მოზღვავებამ წამოაძახებინა დიდ პესიმისტს: „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს იმ ცოდვებს დავტიროდე, მე რომ არ ჩამიდენია და იმ ტრაგედებს ვგლოვობდე, მე რომ არ მესება“ (იქვე). ისე მეჩვენება, რომ უაილდისეული ეს შეგრძნება სრულად მიესადაგება რომანში დახატულ სიტუაციურ ხაზს, საზრისმანარმოებელ მგრძნობელობას. ოღონდაც უაილდისეული დაბნეულობის ნაცვლად, ავტორი, როგორც ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, თავის გულის გულში ატარებს იმ ცოდვებსა და ტრაგედებს, რომლებშიც მას არავითარი წვლილი არ მიუძღვის, როგორც პიროვნებას. ის არა მარტო განიცდის ამ ტრაგედებს, არამედ მათ თავისად მიიჩნევს.

ამ განცდებით მოცული მწერალი ცდილობს

გარდასულ დღეთა ეს დრამები სრულიად შეუღამაზებლად გადმოსცეს, მით უმეტეს, რომ აი დღეს, მის თვალწინ, უფრო მასშტაბურად, უფრო დაუნდობლად მეორდება ეს „ცოდვები“ და ეს „ტრაგედიები“. ამიტომ, იმ ისტორიულ ეპოქაში მიმდინარე პროცესების, პიროვნული თუ საზოგადოებრივი ტრაგედიების, შეცოდებების ყოველგვარი სიმულირების გარეშე აღწერა არა მარტო შემოქმედებითი ეთიკის დაცვის კონტექსტითაა აუცილებელი, არამედ ამას მოითხოვს ის სულიერი განსაზღვრული, რომელშიც გატარებულ უნდა იქნეს ყველა უნებლიე შეცოდებანი თუ დანაშაულობები; სხვანაირად ბოროტების დამარცხება კი არა, მისი რალაცნაირად შეკავება, თუნდაც მცირედით შეზღუდვაც შეუძლებელია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი ახლო და თანამედროვე ისტორია, თუნდაც დღევანდელია.

ამიტომ მათ, ვისაც ყურს სჭრის ისტორიული წარსულის მკაცრი რეალობა და მისი ასევე მკაცრი შეფასება რომანში, ვურჩევდი თვალი გაუსწორონ სიმართლეს და გაიხსენონ, როგორ მოვიქცით გუმინ, როცა საუკუნეების განმავლობაში წარმოებული ბრძოლების გენიალურად დაგვირგვინების ნყალობით მოპოვებულ თავისუფლებას ზურგში ლახვარი ჩავეციოთ.

რომელი კონწარი შეედრება თავისი გულქვაობით მხარზე ავტომატგადადებულ ჩვენს ინტელიგენციას, რომლებმაც მეტეხის ხიდზე ჩაცხრილეს სამშობლოდან დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებით სავსე ავტობუსი; ან მათ მიერვე დიდუბის მოედანზე და ცირკთან დაყენებული სისხლის ღვარი; რომელი კონწარი თუ მარღანია მოიფიქრებდა წამების ისეთ ფორმას, რასაც სჩადიოდნენ სამეგრელოს ხუთგზის ამაოხრებელი კიტოვან-იოსელიანის თუ ბეტეერზე ამხედრებული ჭანტურიას და სხვა „კონგრესელთა“ „ინტელექტუალური ნაწილი“, ნარკოტიკებით გაბრუებული ჯეელები და ა.შ. ყოველივე ამას თავი რომ დავანებოთ, რომელი დადიანი თუ ჩიქვანი გააკეთებდა, უფრო სწორად, აკეთებს რომანში იმას თავის ხალხის მიმართ ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, რაც გააკეთეს პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლებებმა კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, დღევანდელია ჩათვლით... ე.ი. რომანში აღწერილი უარყოფით პერსონაჟთა ყველა ავი საქმე, ერთად აღებული ვერ გადასწონის დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ერთ ცალკე აღებულ ბოროტებას თუ მის შემდეგ ჩადენილ კონკრეტულ მოღალატურ ქმედებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ

განსაკუთრებით სამეგრელოს, აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიმართ.

* * *

კონფლიქტი კეთილსა და ბოროტს შორის რომანში განხილულ წარსულ ეპოქაში კი არ რჩება, არამედ პერმანენტულად განაგრძობს არსებობას. მწერალი ცდილობს, წარსულის მაგალითზე წარმოაჩინოს ადამიანური ყოფიერების, ზოგადად, ცხოვრების აზრი. მისი ფიქრის დინამიკა XIX საუკუნის შუა ხანების კრიზისში მყოფი სამეგრელოს სამთავროს საზოგადოების ცხოვრებისეული დრამის აღწერის გზით მიემართება თანამედროვეობისაკენ. ის უბიძგებს მკითხველს, ჩაიხედოს საკუთარ სულში და ამ თვალსაჩინოდან განსაზღვროს ადამიანური ხვედრის მთელი არსი, მივალნიოთ ჩვენი გონებიდან ემპაკეულის განდევნას.

ასეთი დიაქრონული მიდგომით მწერალი ახერხებს, მკითხველმა გააცნობიეროს წარსულის ბედუკუღმართობის დიალექტიკა და ჩვენი რეალობის დრამატიზმი. ის ისტორიულ წარსულსაც და ჩვენს თანამედროვეობასაც პასუხისმგებლურად უდგება, რაც მავანთ ზედმეტად „თამამ მიდგომად“ მოსჩვენებიათ. მწერლურ სითამამეს რაც შეეხება, ისტორიული რეალობების მთელი სისრულით წარმოჩენის აუცილებლობაზე არაფერი რომ არ ვთქვათ, საკუთრივ შემოქმედებითი თვალსაზრისით: „სითამამე სახელოვნებოს (მწერლობის, მ.ზ) საუკეთესო ნაწილია“ (უაილდი).

დადგენილია და ლიტერატურის (ზოგადად, შემოქმედების) ისტორია გვიჩვენებს, რომ ანტიკურობიდან მოყოლებული „გმირების კანონიზირება“ ხდებოდა, რომლის გავლენითაც წარიმართებოდა „სახელოვნებო სულიერი სამყარო“. სხვადასხვა „შემოქმედებითი იზმების“ მონაცვლეობის პროცესებმა მიგვაჩვია მათ ვულგარიზებას, ზედმეტად გახელოვნურობას. სოცრეალიზმის ეპოქაში კი „ვულგარიზირების“ ეს ნელი და რალაცნაირად შეუმჩნეველი პროცესი შეიკუმშა, გამყარდა, სიზიფეს ავბედით ქვასავით დაგორდა და თან ჩაიყოლია ყოველგვარი წმინდად შემოქმედებითი – „კანონიზებულ გმირთა“ სახება. ის ჩაანაცვლა მასათა კოლექტივიზირებულმა ენთუზიასტურმა ნოვატორობამ.

შემოქმედების „გახალხურობის“ ეს „რევოლუციური“ პროცესი ისტორიული რომანების სამოქმედო სივრცეშიც აღწევს. ისტორიული რეალების სოცრეალიზმის ყაიდაზე „გაშლიფვა და გაღამაზება“ წესად იქცა. იმ პატრიოტიზმს, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ცხენის უნაგირზე

მიკრული ნაბადივით თან რომ დაჰქონდა კოლხ კაცს, არ სჭირდებოდა ასეთი გახელოვნურობა. სოცრეალიზმის იდეოლოგიამ რალაც მეორეხარისხოვან საგნად აქცია ეს წმინდა გრძნობა; მას საზრისი გამოაცალეს ათეიზმის გაბატონების შედეგად ქრისტიანული სულის განადგურებით. მოხდა ის, რასაც მარსელ პრუსტი ამბობდა ტოლსტოიზე: საოცარია – როგორ შეიძლება ტოლსტოის უხაროდეს ის, რომ ნებაყოფლობით დაშრიტოს უანგარობის ის წყარო, რომელსაც დღესდღეობით მაინც პატრიოტიზმი ჰქვია. ამ შემთხვევაში მწერალი აკრიტიკებდა ტოლსტოის მის ნაწარმოებში „პატრიოტიზმი და ქრისტიანული სული“ გამოთქმული მოსაზრებების გამო. ეს გენიოსი აცხადებდა, სოციალიზმით გატაცებული რუსი გლეხი ნებისმიერ ქვეყანაში წავა, თუ იქ ცხოვრების უკეთესი პირობები იქნება. ავტორის აზრით, ამ და სხვა მსგავსი გამონათქვამებით „ტოლსტოი სამშობლოს იდეის განადგურებას ცდილობს“-ო (მ.პრუსტი, წიგნის კითხვა, გვ.100-101, თბ., 1993წ.). უფრო ამიტომ უწოდა ლენინმა ტოლსტოის რუსული რევოლუციის სარკე და არა იმდენად მისი გენიალური შემოქმედების გამო.

ამ „უსამშობლო“ იდეის სარკიდან ირეკლებოდა მთელი სოცრეალისტური შემოქმედება, მისი „უნაკლო“ კოლექტივისტი გმირის სახით. ეს ხელოვნური სახე მკვიდრდებოდა თვით ისტორიულ რომანებშიც კი, მხოლოდ გენიოსებს შეეძლოთ ამ გაუკუღმართებული დოგმებისგან თავის გამოძვრენა. ბევრს ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომია, ბევრს კიდევ მთელი ცხოვრება უხდებოდა, „ვაჟასეული“ დაჭრილი არწივისა არ იყოს, მათზე მისეული ყვავ-ყორნების მოგერიება.

სოცრეალიზმის ამ „პოდიუმური გმირის“ მოთხოვნა გამოუმუშავდათ არა მარტო წითელდროშოვან მწერლებს და შემოქმედთ, არამედ მომხმარებლებსაც – მკითხველებს.

ისტორიული გმირების სოცრეალიზმის იდეურ მოთხოვნათა შესაბამისად „გაშლიფვა“ და შელამაზება, მხოლოდ დადებითის, ისიც გაზვიადებული ფორმით წარმოჩენა, მისი ცხოვრებისეული შეცდომების თუ შეცოდებების, რიგი ნაკლოვანებების ცხრაკლიტულში გადაძაფვა და საზოგადოების თვალთვალს მიფარება „პატრიოტულ მოთხოვნად“ გამოცხადდა და დროთა განმავლობაში ჩვევად ექცათ. ამ ჩვევის რეციდივად, სოცრეალიზმის ბოლომდე განუკურნებელი სენის გამოვლინებად გვეჩვენება „ზედმეტ სითამამეზე“ თუ „გულქვაობაზე“ და ა.შ. მწერლის მიმართ გამოთქმული საყვედურები.

* * *

პოლ ვალერი წერდა, რომ „ის (ისტორია, მ.ზ.) ინვესს ოცნებებს, ათრობს ხალხებს, ყალბ მოგონებებს აღუძრავს მათ რეფლექსებს. პირს უხსნის მათ ძველ ჭრილობებს, არღვევს მათ სიმშვიდეს. განდიდებისა თუ დევნის მანიას უვითარებს, სიმწარეს, ზვაობას, ამაოებას უნერგავს და აუტანელს ხდის ერებს“ და შემდეგ: „ისტორია ამართლებს ყოველგვარ სურვილს; ის დაბეჯითებით არ გვასწავლის არაფერს, რადგან ყველაფერს შეიცავს და ყველაფრის ნიმუშს გვთავაზობს“ (პოლ ვალერი, სულის კრიზისი, გვ. 228, თბ., 1993 წ.). ევროპული „ინტელექტუალიზმის“ წარმომადგენლის ეს მოსაზრება, რამდენადაც მიუღებელია „ჭეშმარიტი ისტორიისა“ და მისი საზრისის მიმართ, იმდენად სრულად ასახავს „მადეგრადირებელი პატრიოტიზმით“ შეპყრობილთა წარმოდგენას შელამაზებულ და გაშალაშინებულ, მით უმეტეს, სოციალიზირებულ და იდეალიზირებულ ცრუ ისტორიაზე. ამიტომ ამ „კრიტიკოსთა“ შეხედულებანი შორს დგას რომანში გატარებული „ცხოვრების საკითხის“ საზრისისაგან.

მწერალი ახერხებს ისტორიული პროცესები წარმოდგინოს ისტორიის გაგების ყველა ძირითადი მიმართულებით. ისტორია, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობის, მის ყველა სფეროში მიმდინარე რეალური პროცესების რეალურად ასახვის (აღწერის) საშუალება. ის ახერხებს მთელი ამ ხდომილებათა ცნობიერად გააზრებას და საზრიმომცველობითი იდეების წინ წამოწევას.

რომანში ყველა სოციალურ-პოლიტიკური თუ ყოველდღიური ყოფითი საკითხები ერთმანეთს ერწყმის და ეს რეალობანი მწერლის შემოქმედებითი ნიჭით გარდაიქმნება ეროვნული სულიერების მანარმოებელ სუბსტანციური საზრისის გამოძახილად ვალურია ქარდას თუ მართალია თოდუას ნათქვამებსა თუ მოგონებებში. ავტორს ამ გააზრებების სუბსტრატად გამოჰყავს „ადამიანთა მოძრავი და მოქმედი ცხოვრება“, შესწორებული და გამართული შემოქმედებითად, სადაც ძველთაძველი, ტრადიციული სიბრძნიდან მომჩქეფარე გენია სრულად წარმოაჩენს ხასიათის სიმტკიცეს და მოდგმის ინტელექტუალურ (კულტურულ) ძალმოსილებას. ამიტომ, ამავე ვალერის პერიფრაზით თუ ვისარგებლებთ, რომ ყველა გონიერი ადამიანი სულდგმულობს ოცნებით, რომ შეიძლება რაიმე სასარგებლო გადასცეს მომავალს და ამას ჰქვია დღეგრძელობა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მწერალმა შეძლო მომავ-

ლისთვის შემოქმედებითად გაეცოცხლებინა არა მარტო ისტორიული ხდომილებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის წინათ, არამედ ის სულიერი სამყარო კოლხური მოდგმისა, რომლის მეშვეობითაც ის ახერხებდა, ათასი ჯურის მტერთაგან დაეცვა თავი ფიზიკურად თუ ზნეობრივად, განსაკუთრებით „ერთმორწმუნე“ ვერაგი რუსული იმპერიისაგან.

მაშასადამე, ამ რომანის დღევანდობაზე ლაპარაკი უდავოდ ლეგიტიმურია. მით უმეტეს, რომ რომანის საზრისმანარმოებელ იდეად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი ლოზუნგის – „კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს; ყველა ღმერთის გაჩენილები ვართ“ – წინა პლანზე წამონევით, ფაქტობრივად გაცხადდა კოლხ-იბერიული ეთნოკულტურული სამყაროს გენეტიკური მიდრეკილება ჰუმანიზმისა და ქრისტიანული ტოლერანტობისადმი, ე.ი. ევროპული ღირებულებებისადმი. ამიტომ შემთხვევითობა არაა, რომ XIX ს. შუა ხანების ევროპული რევოლუციების ცხელ კვალზე არა ვინმე ევროპულად განსწავლული ინტელიგენტი თუ რევოლუციონერი, არამედ მთიანი სამეგრელოს სოფლის მჭედელი რაზმავს ხალხს ამ იდეის ირგვლივ.

ისტორიულადაც და რომანშიც აშკარად და გამოკვეთილად ჩანს, რომ ეს იდეა ნასესხები კი არაა ინგლისელი თუ ფრანგული რევოლუციური მსოფლმხედველობებისაგან, არამედ ის კოლხ-იბერიული მოდგმის გენოკულტურული არსების ნაწილია.

მისი (ლოზუნგის) საპროგრამო იდეად მიღება არის რეაქცია საზოგადოებრივი განვითარების პროცესების შეფერხებაზე, ჯერ მაჰმადიანურ სამყაროსთან რამდენიმესაუკუნოვან ბრძოლაში, შემდეგ კი – ათასწლოვანი დინასტიური მმართველობის მოშლის შემდეგ, ახალი – კოლონიალური, თვითმპყრობელურ-ჟანდარმული წესრიგის გაბატონების შედეგად დამდგარ სტაგნაციაზე.

* * *

რომანში ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღწერილი სახე სოციალურ-კულტურულად დეგრადირებულ თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფისა და მათ არტახებში მოქცეული, მონურ დონემდე დაყვანილი ყმა-გლეხებისა. ამ ბედუკულმართი ურთიერთობის შემოქმედებითად აღწერაში უბადლოა მწერალი.

მკითხველს შევთავაზებ ორიოდ მაგალითს: ანაზდეულად ბატონის გამოჩენით მუცელში

ენაჩავარდნილი ბაკი ბაჩილა – „ჯოლორია მინაზე დაემხო, ფეხებში ჩაუვარდა ბატონის ულახს“ (ხაზი, მ.ზ.). მეორე პასაჟში: „ბატონთან შორიას-ლოს გაჩერდა და მუხლებზე დავარდა...“ ბატონისგან დავალების მიღების შემდეგ კი ფიქრობს: „ჩქვალერში... კი არა, სირბილით წავა სადღაც გადასაკარგავში, ოღონდ არ სცემონ, ოღონდ ხუნდებზე არ დასვან და ორმოში არ ჩააგდონ“. თუ ვინმეს მერვე კლასამდე მაინც უსწავლია ქართული ლიტერატურა და ისტორია, მას ალბათ არც ბატონის წინაშე მუხლებზე დავარდნა, არც ბატონის ბრძანებით ათეული კილომეტრის გარბენისთვის მზაობა გაუკვირდება და არც დასჯის ის ფორმები, რომელიც გონებაში უტრიალებს ჯოლორისას: ცემა, ხუნდებზე დასმა თუ ორმოში ჩაგდება, მით უმეტეს მათ, ვინც შეესწრო პუტჩის შემდგომი საქართველოს სინამდვილეს და ცხოვრობს პუტჩისტური ალიანსის საზოგადოების სინამდვილეში.

მეორე: „როგუნჯი“ ჩანგელიას მაგალითი, როცა ის ნაპირებიდან გადმოსულ ენგურს გადმოყოლილ ზუთხს დაიჭერს გუბეში და მართმევეს თავის ბატონს მხეიძეს; მას, მადლიერებისა და ჯილდოს მომლოდინეს, ხუთი დღით დილეგში უკრავენ თავს, ალბათ სხვა დროსაც იჭერდი ზუთხებს მალულად... ამ თავში, რომლის სათაურია: „როგუნჯი³ ჩანგელია“, ყველაფერი მწერლისეული გამონაგონია და მასში სოციალურ უთანასწოროებაზე უფრო მეტად სულიერი საკითხებია საყურადღებო. ამ თავშიც და მის მომდევნო „დაგუბებულ მდინარეშიც“ წინა პლანზეა წამონეული ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი კრიზისში მყოფი, სტაგნაციიდან დეგრადაციის გზაზე გადასული საზოგადოების და დასალუპავად განწირული სამთავროს რეალური სურათი.

ამ ბოლო თავში აღწერილი დიალოგი უაღრესად განათლებულ მთავარს – დავით დადიანსა და ჭყონდიდელს შორის, რა თქმა უნდა, თავისი ინტელექტუალობით დიდად უფრო მაღლა დგას, ვიდრე კონწარისა და ბიძამისის მელიტონ ჩიჩუას პაექრობა, მაგრამ ორივეგან ერთი და იმავე სიმძაფრით იკვეთება დასალუპად განწირული საზოგადოების კრიზისული მდგომარეობა. ვერც ნასტუდენტარი ჩიჩუას და ვერც უაღრესად განათლებული ჭყონდიდელის თუნდაც ზომიერი მოთხოვნები ვერ პოულობენ შესაფერის გამოძახილს სულიერად დეგრადირებული, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ჩაცვიკლული თავადისა თუ მთავრის მხრიდან.

³ „როგუნჯი“ – გონებაზეზღუდული, გაუთლელი, უცოდინარი და ა.შ.

კონნარის „ფილოსოფიაზე“ არაფერი რომ არ ვთქვათ, თვით განათლებული დავითიცი იმავე „სიბრძნით“ ხელმძღვანელობს: „მე მათი ღონე მჭირდება და არა გონებაო“, – იტყვის ის. თუმცა, თუ კონნარი მასავით უბადრუკი მამის ანდერძს ასრულებს და ბრმად მიჰყვება დრო-ჟამის სიმუხთლით დეგრადირებული საზოგადოების გაუკუღმართებული ცხოვრების ღირსებამოშლილ წესს, სულ სხვა, უფრო საშიშ სიტუაციასთან გვაქვს საქმე დადიასთან მიმართებაში. მან კარგად უწყის, რომ გლეხი კაცი „ბუნებით ჩვენზე (თავად-აზნაურობაზე, მ.ზ.) უფრო ქრისტიანები არიან. ისინი არ განსჯიან, არ განიკითხავენ, თუ ერთ ლოყაზე გაანწავ სილას, მორჩილად მოგიშვერენ მეორეს, არ მრუშობენ, არ კლავენ“ (იქვე, გვ. 34)... აი, ესაა სახიფათო, როცა განათლებული, მისი თანამედროვე ეპოქის ცოდნით შეიარაღებული მთავარი (მმართველი წრე) ბოროტად სარგებლობს საკუთარი ხალხის ეთნოკულტურული სულიერების სინმინდით. ამდენად, მწერალი ცდილობს, უკიდურესობამდე გამძაფრებული კრიზისის სათავე ექებოს არაოდენ სოციალურ თუ ეკონომიკურ პროცესებში, არამედ და უპირატესად, ფსიქოეთნიკური წყობისა და ზნეობრიობის დევალვაციაში.

ჭყონდიდელი კარგად ხედავს, რომ იმ კრიზისის მიზეზი, რომელსაც გაქრობის კარამდე მიუყვანია სამთავრო, პირველ რიგში დრომოჭმული უღვთო წესების შედეგია, რის შეცვლასაც ურჩევს თავის ხელისუფალ დისშვილს. ის მოურიდებლად ეუბნება მთავარს: „გაუნათლებელი ხალხის მართვა არ ეკადრება განათლებულ კაცს. რატომ არ ცდილობ, ცოტა სხვანაირი სამთავრო გქონდეს, ის დრომოჭმული და უღვთო წესები შეცვალო როგორმე...“ (იქვე, გვ.34), მაგრამ მთავარი სხვანაირად სჯის: ის შეგუებულია გარდაუვალი კატასტროფის მოახლოებას, თავისუფლებისთვის მედგარი ბრძოლისთვის შემზადების ნაცვლად შესდგომია შემგუებლობის გზას, სანამ კიდევ დრო არის, რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს, მეტი გამოსწოვოს ისედაც დაუძღურებელ თავის საგამგებლო ყვეყანას, რათა უზრუნველყოფილი შეხვდეს ახალ უსახელო მომავალს.

ის დაგუბებული ცხოვრების სადინარის გახსნაზე და ხალხის სასიცოცხლო ენერჯის განახლებაზე ნებაყოფლობით ამბობს უარს; უჟამოდ ეგუება მტარვალის მიერ მისი საგამგებლო ქვეყნის მიტაცებას: „რალად უნდა ვასწავლო გლეხებს წერა-კითხვა, მაშინ როცა აგერ, აღმოსავლეთ საქართველოში ქართული სკოლები დაიხურა? ვინ იცის, ხვალ აქ რა იქნება, ვინ მოვა და რას

მოიტანს. შორეულზე ფიქრის დრო არ არის“. მისი ფიქრის მდინარეებზე ავტორი გვამცნობს: „დავითი სხვანაირად სჯიდა. ახლო მომავალში სამთავროს გაუქმების შიშით ცდილობდა, სამეგრელოში არსებული ცოცხალი ძალა თავის სამსახურში ჩაეყენებინა, რათა ქონებრივად წელგამართული შეხვედროდა დადიანთა უფლებამოსილების დასასრულს. სწავლა-განათლების შემოღება და დაბალი წოდების ადამიანებისთვის პერსპექტიული მომავლის შექმნა მას არ სჭირდებოდა“ (იქვე, გვ.35/36). მაშასადამე, სახეზე გვაქვს კაპიტულანტური განწყობილებით შეპყრობილი, მტერთან კოლაბორაციონალური ურთიერთობისათვის მზად მყოფი, საკუთარი კეთილდღეობისა და ჩინმედლების მაძებარი მმართველის ტიპური სახე. მასში არაფერი დარჩენილა ცოტნე დადიანისეული ამაღლებული სულიერებისა, რაც ნათლად ჩანს მისი ნათქვამიდან: „თქვენ მეუბნებით, რომ ცარიელი ქვეყნები ახალი ღვინით ავავსო ... გამოგიტყდებით, ეს დადიანთა მისია არ ყოფილა არასოდეს...“ (იქვე, გვ.35). რა თქმა უნდა, ის ტყუის, თორემ მან, განათლებულმა პიროვნებამ ზედმინევნით იცის, რომ ცოტნე დადიანის გმირობა სწორედაც ხალხის (რომელიც მოქცეულა ველური იმპერიის კლანჭებში) სულიერად და ზნეობრივად გადარჩენას ისახავდა მიზნად. ცოტნემ კარგად უწყობდა, რომ ვერც ის და თუნდაც მთელი მისი საგანმგებლო შესწიროდა მტერს – მონგოლთა ფიზიკურ ბატონობას ვერაფერს დააკლებდა. დავითმა დიმიტრი მეფის თავდადების არსიც მშვენივრად იცის, მაგრამ ამას იმიტომ ამბობს, რომ გაამართლოს თავისი კაპიტულანტური განწყობა და ყველაფერი აპკიდოს თავის ხალხს, მათ მოუმზადებლობას თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრებისათვის. ამიტომ ის იყენებს წინა საუკუნიდან მომდინარე და XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელებულ ცრუ თეორიას, ერის დაღლის, გენეტიკური საარსებო ენერჯის ამონურვის თაობაზე, რომლის ევოლუციონირების შედეგაც დიდად იყო მრავალი მემარცხენე სოციალური „იზმებისა“ და თვით გაუკუღმართებული კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრება.

რომანში დავითის პირით მისი გახმიანება, როგორც ითქვა, ხდება კაპიტულანტური განწყობილებისა და პიროვნული ინტერესების – მიიტაცოს მთელი ეროვნული სიმდიდრე – გადასაფარავად.

მას მთელი გულისწყრომა ხალხზე გადააქვს. ის ეუბნება ჭყონდიდელს: „– არ შეუძლიათ იმაზე მეტის მიღება, რაც აქვთ... სიცარიელეს მიეჩვია

მათი ჭურჭელი.... ამ ეთნოსმა გაიღო ის, რისი გაღებაც შეეძლო... დღევანდელმა მეგრელებმა ...არც კი იციან, რომ ბრწყინვალე კოლხების შთამომავალი არიან. მათი სისხლი, ხორცი და სული დაიღალა, ერთ დროს აღზევებულნი დაეცემიან ოდესმე... წარსადინელი ჩაეხერგათ და დაგუბდნენ“ (35). ასე ამართლებს ის თავის საქციელს და ამას წინასწარი განზრახვით აკეთებს და არა უსაშველო პესიმიზმით, რომელსაც შეიძლება შეეპყრო განათლებული მმართველი საქართველოს სამეფო დინასტიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ.

თუ პესიმიზმზე ვილაპარაკებთ, ამ შემთხვევაში უფრო ავტორისეულზე – იმ ქმედებათა გამო, რაც თავს დაატეხა დამოუკიდებელ საქართველოს პუტჩისტური ალიანსის საზოგადოებამ, კაპიტულანტურმა, კოლაბორაციონალურმა მთავრობამ, რომლის რეციდივები დღემდე გრძელდება. ავტორი ასე, ცნობიერად ამყარებს კავშირს წარსულის ბედუკუღმართობასა და ჩვენი დროის უსაშველოდ უზნეო-მოღალატურ რეალობას შორის.

* * *

ეთნოსთა კვდომის ეს წმინდა იმპერიულ-შოვინისტური თეორია, რომელსაც იყენებდა მტერთან ბრძოლის უნარდაკარგული დავითი და სხვა, რუსულ ჩინ-მედლებს დახარბებული მაშინდელი თავადაზნაურული ელიტა, მიწასთან გაასწორა ახალმა თაობამ – „თერგდალეულებმა“; მათ ააფრიალეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, რომელიც წინ მიუძღოდა ერს თავისუფლებისთვის პერმანენტულ ბრძოლაში. ეს ბრძოლა დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ბევრ სხვა რამეს, ამ ეროვნული ღირსების მადეგრადირებელი „თეორიის“ წინააღმდეგ ბრძოლას უმეთაურა დიდმა ილიამ. მან თავის პოლემიკურ წერილებში, რომელიც ცნობილია საერთო სახელდებით „აი ისტორია“ – გაზეთი „ივერია“, 1889 წლის აპრილ-ივლისი, გასცა პასუხი პეტერბურგის ჟურნალ „Северный Вестник“-ში 1889 წლის თებერვალ-მარტის ნომერში (9,10) დაბეჭდილ წერილებზე „Письма о Грузии“.

ეროვნული ნიჰილიზმით აღბეჭდილი წერილების ავტორი იყო ნაროდნიკული მიმართულების მოღვაწე ივანე ჯაბადარი. მას ძალზე უარყოფითი რეაქცია მოჰყოლია ქართულ საზოგადოებაში. ილიას გარდა, მას პასუხი გასცა ბევრმა საზოგადო მოღვაწემ, მათ შორის ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, აკაკი წერე-

თელმა და ა.შ. (ილია ჭავჭავაძე, ტომი 4. გვ.438, თბ., 1987 წ.).

ილიას თქმით, ჯაბადარი გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო, – „საქართველოს ერთ მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს – აქამდე არ დაუნყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისო“ (დასახ., შარომი გვ.12). ილია მიუთითებს, რომ ავტორს უნამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისთვის გარდაუვალი კანონია, მას ვერ წაუვა, ვერ გადასცდებაო. ილია პასუხობს: სინამდვილეში ერთი შეიძლება სრულიად აღიგვას და აღვილა დედამიწის ზურგიდან, სიბერეს კი არ აბრალებენ ამას მეცნიერები, არამედ შინაგან საქმეთა მოუგვარებლობას და ა.შ. (იქვე, გვ.13/14).

მაშასადამე, რომანში ავტორი დავითს ამეორებინებს დრეპერის ამ მოსაზრებას არა იმიტომ, რომ ამ პესიმიზმურ თეორიას იზიარებს და უძველესი ცივილიზაციის მატარებელი კოლხ-ბერული მოდემის სიბერისა და სიკვდილისა სჯერა, არამედ, ჩემი შეხედულებით, იმად, რომ კრიზისში მყოფ ჩვენს საზოგადოებას (მკითხველს) თვალნათლივ დაანახოს, თუ სანამდე შეიძლება მიიყვანოს საზოგადოება და მისი ელიტა – მმართველობა ხელჩაქნეულობამ, კაპიტულანტურმა განწყობილებამ, კოლაბორაციონალურმა დამოკიდებულებამ ოკუპანტის მიმართ, იმისათვის ზრუნვამ, რომ ამ უბედურების გადამკიდემ იქნებ პირადი ცხოვრება მაინც მოვიწყო და სხვა ყველაფერს ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო, ჩემს შემდეგ თუნდაც ქვა უთოვიაო, რაც აგრერიგად დამკვიდრდა ჩვენს პუტჩისტური ალიანსის საზოგადოებაში.

დავითის დეპრესიულობა იქამდეა მისული, რომ თვით ამ „თეორიის“ მიღმა გადის. თუ ჯაბადარი უშვებდა „ინტენსიური ცხოვრებისთვის ერის მიერ თავის შემონახვას“, სამეგრელოს მთავარი, სამთავროს გაუქმების წინ, მერმისისთვის სრულიად გამოუსადეგრად თვლის თავის ხალხს. ჯაბადარის ნიჰილიზმის ილიასეული კრიტიკის პერიფრაზებს თუ გამოვიყენებთ, ის ზედმინენით ასახავს ავტორის მიერ აღწერილი განწყობის არსს მთავრისას: რომ ტყუილად აბნევეს აქ (სამეგრელოში, მ.ზ.) თავის ბრწყინვალე და სიცოცხლის სინარულის სხივებსო. იგი თითქოს არც ათბობს,

არც ანათებს და მარტო თვალს ახამხამებს: კაცს აქ სული უგუბდება და ნათელი არ ნათობს (იქვე, გვ.17). ნიჰილისტი ჯაბადარისთვის „ჩრდილოეთის ციალის“ ნათების აღწერა რომ „არც ათბობს, არც ანათებს“, იმის მიზეზია, რომ ინტელიგენციამ დაკარგა კავშირი „... могучим и глубоким родником общечеловеческой мысли“.

ილიას კომენტარით, ავტორს უნდა უხაროდეს ის, რომ ჩვენს ინტელიგენციას თავი შეუკეტნია და მისი რეცეპტით იქცევა, ვაითუ კაცობრიობის „ინტენსიურმა აზროვნებამ“ ღონე არ შემომახარჯვინოსო. რომანში კი საერთოდ უარყოფილია „ინტენსიური აზროვნების ყოველგვარი შესაძლებელი დაშვებულობა, თუნდაც მომავლისთვის. დავითს მიაჩნია, კოლხ-იბერულ მოდგმას ყოველგვარი სასიცოცხლო ენერგია ამოსწურვია და უნდა მიენდოს რუსულ სააზროვნო და სასიცოცხლო ენერგეტიკას.

ისევ ილიას თუ დავესესხებით, „სიბერე ერისა“ უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, მისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვანაო. მაგრამ, ეს გონიერთათვის, სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლ ოპტიმისტათვის, თორემ ნიჰილიზმით შეპყრობილ, ქვეყნის მტერთა წინაშე დაჩოქილ, ერის ინტერესების დაცვის ნაცვლად საკუთარი კეთილდღეობისთვის დღემუდამ „მებრძოლთათვის“ ეს მკვდრადშობილი თეორია სოფისტიკის უებარი წყაროა, რათა გაამართლონ თავიანთი სილაჩრე, მათ მიერ ერის ღირსებისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაზე უარის თქმაზე; ის დეგრადირებული აზროვნების ნაყოფია.

ამიტომ, ჯაბადარისაზე უფრო შორს მიდის მთავრის სოფიზმი; თუ ეს პირველი სიტყვით მაინც ეძებს მიზეზს ეროვნული სულის დაბერებისას და მას ხედავს ერის“ ... კაცობრიობის აზრთა წყაროსგან, ... ნათლისა და ცოდნის ნიაღვარისგან“ მონყვეტაში და ამასთან უშვებს ალბათობას, რომ მას ჯერ, დღესაქამომდე არ დაუნყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე, მერმისისათვის“ (იქვე, გვ. 15), დავითს ცალსახად მიაჩნია, რომ „ამ ეთნოსმა გაიღო ის, რისი გაღებაც შეეძლო“. მათი მეხსიერება უკიდურესობამდე დაჩლუნგებულია, „არც კი იციან, რომ ბრწყინვალე კოლხების შთამომავალნი არიან, მათი სისხლი, ხორცი და სული დაიღალა... ასეთია ბუნების კანონი“ („უტუ მიქა“,

გვ. 35). ტყუის რუსული იმპერიის წინაშე კაპიტულაციისათვის შემზადებული დადია, ვინაიდან, როგორც ილია იტყვის: „ძნელი წარმოსადგენია ერის ამონყდომა, მაგრამ თუ მოხდა, აქ სიბერე არაფერ შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი ყოვლად შეუძლებელია (იქვე, გვ.14). მთავარი, ერს, მისი შეხედულებით თუნდაც დაბერებულს, ხელს კი არ ნააშველებს, არამედ სასტიკად და გულქვად გადაუნყვეტია „გუბე ამოაშროს“.⁴

ის არ უშვებს ჯაბადარისეულ სოფიზმსაც კი, რომ ერს შეიძლება ინტენსიური ცხოვრებით ცხოვრების ენერგია შემონახული ჰქონდეს მომავლისათვის. ჭყონდიდელის რჩევაზე, სწავლა-განათლების უფლება და საშუალება მისცეს თავის ნიჭიერ ქვეშევრდომთ, დაგუბებულ წყალს სადინარი გაუხსნას, რომ „წყალი წყალს ეძებს და უნდა მისცე საშველი პატარა მდინარეს, რათა უფრო დიდს შეუერთდეს“... უარს აცხადებს. ის მარტივი ჭეშმარიტება, რაც ჯაბადარს – ამ უსაშველო ნიჰილისტსაც კი ესმის, მიუღებელია უძველესი კოლხური მოდგმის შთამომავალთა მმართველისათვის, რომ აუცილებელია კაცობრიობის აზრთა წყაროდან თავისუფლად მომჩქეფარე ცოდნასა და სინათლესთან მიერთება, რომ მისმა მოდგმამ განაგრძოს ინტენსიური ცხოვრება და იკვებოს საკაცობრიო ცივილიზაციისგან მომდინარე იმ კულტურულ-საგანმანათლებლო წყაროდან, რომლის ამოგებაშიც მასაც მიუღია მონაწილეობა. მისი ფილოსოფია მარტივია: „მე მათი ღონე მჭირდება და არა გონება“; სასახლე ხალხისთვის არ არის; პირიქით, ხალხი უნდა ზრუნავდეს სასახლისათვის“ და უმთავრესი: „შორეულზე ფიქრის დრო არ არის“. ასე მარტივად სწყვეტს უძველესი მოდგმის მომავლის ბედს, ბრძოლას თავგარიდებულ, ეროვნული ღირსებისა და ზნეობისგან დაცლილი მმართველი ელიტა, შეპყრობილი „კონწარიზმის“ ავი სენით.

ასე გვიხატავს კრიზისში მყოფი საზოგადოების მმართველთა ფსიქოსოციალურ სახეს ავტორი. მისი თქმით, დავითი „ახლო მომავალში სამთავროს გაუქმების შიშით ცდილობდა, სამეგრელოში არსებული ცოცხალი ძალა თავის სამსახურში ჩაეყენებინა, რათა ქონებრივად ნელგამართული შეხვედროდა დადიანთა უფლებამოსილების დასასრულს. სწავლა-განათლების შემოღება და დაბალი ნოდების ადამიანებისთვის პერსპექტიული მომავლის შექმნა მას აღარ სჭირ-

⁴ „გუბის ამოშრობის“ ამ იდეის გაჟღერებისას არ შეიძლება თავში არ მოგივიდეს შედარება ამ დღეებში გაჟღერებულ იდეასთან: მივცეთ ახალგაზრდებს ხელობა, შემდეგ ავუღოთ უფასო ბილეთი და გავუშვათ სხვა ქვეყნებში...

დებოდა“ (იქვე, გვ.36).

დავითი თითქოსდა ატარებს რაღაც რეფორმას, ეს ისტორიული ფაქტიცაა, მაგრამ ის მთლიანად მიმართულია მმართველი წრის ზემოთ აღწერილი კაპიტულანტური გუნება-განწყობილებისა და პიროვნული ინტერესების, რუსეთის იმპერიასთან მიერთებისთვის მზადებისკენ.

„დავითი აშენებდა ქარხნებს და მუშახელი უცხოეთიდან მოჰყავდა. ადგილობრივი გლეხი მხოლოდ მიწას იყო მიჯაჭვული. მათ არავინ ასწავლიდა დაზგების გამართვას. ჭყონდიდელის მცდელობა, ოდნავ მაინც შეეცვალა მდაბიოთა ცხოვრება, კვლავაც უშედეგოდ დამთავრდა“ (იქვე). მაშასადამე, ავტორი მთელი სისრულით აღწერს დასაღუბად განწირული კრიზისში მყოფი სამთავროსა და საზოგადოების ბუნებას.

განწირული ხალხი და მოქეიფე ელიტა. „სასახლის დარბაზში კი ხალხმრავლობა იყო... მორიგი წვეულება ჰქონდათ“. საინტერესოა ავტორისეული რემარკა: „დღესასწაულები, რაც სასახლეში იმართებოდა, არაფერთან არ იყო დაკავშირებული“ (იქვე). მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენს დღევანდელ კრიზისულ ყოფას უფრო ხომ არ მიესადაგება, ვიდრე XIX ს. შუა ხანების სამეგრელოს, გამზადებულს რუსულ იმპერიულ ჯოჯოხეთში მოსახვედრად?

მაშასადამე, რომანის ამ თავში: „დაგუბებული მდინარე“ უნდა ვეძიოთ კრიზისული საზოგადოების დევალიზირებული იდეურ-მსოფლმხედველობრივი „საკუჭნაოს“ გასაღები. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, მწერალი დანის პირზე გადის, ვინაიდან არის საშიშროება, ამ ბრძოლისუნარიანობაგამოცლილ ისტორიულ პერსონაჟთა დიალოგში, ამ ცრუენიკური თეორიის გამოყენების გამო, თვითონაც არ შერაცხონ მის მიმდევრად; ან უკიდურეს შემთხვევაში, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით არ მიიღონ ავტორისეული პესიმიზმის გამოხატულება. უფრო მეტიც, ეს შეიძლება ამ მკრეხელური თეორიის მოხმობის უკან არ ან ვერ დაინახონ მომაკვდინებელი ირონია მათ მიმართ, ვისაც მოდგმის საზრისმატარებელი ისტორია დღევანდელი, ვითომდა „ინტენსიური ცხოვრებისთვის“ ზედმეტ ტვირთად მიუჩნევიან.

ასევე ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს თეორია „მოხმობილია სწორედ მათ სანინა-ალმდეგოდ, ვისაც დამოუკიდებელ ქართულ-სახელმწიფოებრივ „გუბეში“ ჭყუმპალაობას“

ურჩევნია დიდ ვოლგაში დახრჩობა⁵. ამ კონტექსტით მყარდება კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის. ის ახერხებს ჭყონდიდელის მოზომილი პოზიცია დაუპირისპიროს მთავრის ხელჩაქნეულობას კარსმომდგარი უბედურების მიმართ. ამ დაპირისპირებაში იკვეთება, ერთი მხრივ, ჭყონდიდელის – ხალხის მომავლისთვის მზრუნველი მაღალმოქალაქეობრივი პასუხისმგებლური სახე პატრიოტი მამულიშვილისა; მეორე მხრივ – მომავალზე ხელჩაქნეული, მტრის ძალადობას შეგუებული მმართველი ელიტისა, რომელიც თავის უბადრუკობას ამ ცრუთეორიით ამართლებს. ასე ახერხებს მწერალი მკითხველს შეუძღვეს იმ ჯოჯოხეთურ სინამდვილეში, სადაც ცხოვრება უხდებოდა და უხდება ხალხს.

რომანში აღწერილი მეგრული გლეხის ცხოვრება, რომელიც მხოლოდ მიწას იყო მიჯაჭვული, გიბიძგებს ერთი ასოციაციური შედარებისაკენ, რომ ის ზედმინევენით ჰგავს მისგან ერთი საუკუნით დაშორებული ფრანგი გლეხის ცხოვრებას, რომელნიც თურმე „...სანოლში იმიტომ წვებიან, რომ დაიხოცონ“. ასე რომ, რომანში გამოყვანილ გლეხთა ტიპაჟები ასევე არიან დასახოცად განწირულნი. ასე იყო მანამ, სანამ ფრანგმა თანაკლასელებმა არ შეიგნეს, რომ აუცილებელია თავისუფლებისთვის ბრძოლა როგორც შინაგანი, ასევე გარეშე მტრის წინააღმდეგ. თავისუფლებისთვის ბრძოლის ამ მართალ გზას აუყვამეგრული გლეხიც.

რომანში „კონწარიზმის“ გამამართლებლად გამოყენებული დადიასეული მოსაზრება, მეგრული გლეხის სულიერ დაცლილობაზე, რომ ის ოდენ ბატონს უნდა ემსახუროს და სხვა მისიის ტარების უნარი არ გააჩნია, ბათილდება ავტორის მიერ შემოქმედებითად დახატული ისტორიული პიროვნების, ლაკადელი მჭედელი გლეხის ღირსეული საქმეებით. ის, ზოგადად, მშრომელი ხალხი, როცა დასჭირდება სამშობლოს, კარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ ხელში იარაღს იღებს და თავისი „კლასობრივი მტრის“ გვერდიგვერდ იბრძვის; ხოლო როცა საჭირო გახდება საკუთარი კლასობრივი ინტერესების დაცვა, დათრგუნული ღირსების აღდგენისთვის ბრძოლა – ის ბარიკადებთან დგება. ამდენად, მეგრული გლეხი ღირსებისგან დაცლილი, ცარიელი, გაბზარული ჭურჭელი კი არა, არამედ თავისი ქვეყნის პატრიოტი, ტრადიციული ზნეობის მატარებელი გონივრული არსებაა; ქვეყნის გადარჩენის იმედია!

⁵ კრემლის მიერ შემოგდებულ ამ დიდ მდინარეში დახრჩობის „თეორიის“ გამხმინებელი აფსუურ-აფხაზური ეთნოსი უკვე იხრჩობა რუსულ ვოლგასა და სომხურ არაქსში; პუტჩის ალიანსის იდეოლოგები იქითკენ ექაჩებიან სრულიად საქართველოს, ნაწილ-ნაწილ, როგორც ეს ხდებოდა რომანში აღნიშნულ ეპოქებში.

ასეთია ის სულიერი პათოსი, რომლითაც ავტორი აცოცხლებს ისტორიულ წაროსულს; მის საზრისმატარებელ სისტემას ასოციაციურად აკავშირებს არანაკლებ წინააღმდეგობრივ თანამედროვეობასთან.

მწერალი ნათლად აღწერს არა მარტო იმ ბოროტებას, რომელიც თან სდევდა XIX საუკუნის შუა ხანების კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებრივ ურთიერთობას, არამედ ის ამჩნევს მის მსგავსებას ჩვენს თანამედროვე ყოფასთან და ეძებს გამოსავალს ამ უნივერსალური ბოროტებიდან. ჩვენი შეხედულებით, ამის მიღწევის გზად ესახება ერის სულიერი ცხოვრების, ადამიანში განსხეულებული მორალურ-ზნეობრივი მოცემულობის უწყვეტობის უზრუნველყოფა. ამიტომ ეძებს ყყონდიდელი საშველს პატარა მდინარისთვის, რათა ის ეროვნული და საკაცობრიო კულტურის დიდ მდინარეს შეუერთდეს.

* * *

რომანში სულიერი კავშირი ისტორიასა და თანამედროვეობას, წარსულსა და აწმყოს შორის „თანგანცდით“ ხორციელდება. მწერალმა შეძლო, ცოცხლად განგვაცდევინოს ის, რაც წარსულში მოხდა. ვინაიდან „მხოლოდ ისტორიულ (თან) თანგანცდაში ამოიხსნება ამ ცხოვრების საიდუმლოება“ (რითაკერი). საბოლოო ჯამში, მან შეძლო იდეის (სულიერების), ეთნოტრადიციის და ცხოვრებისეული რეალობის (ყოველდღიურობის) ერთობაში წარმოსახვა.

რომანში ისტორიზმის განცდის საკითხი გვაახლოებს ისტორიის ფილოსოფიურ გაგებასთან და ეს ერთ-ერთი ღირებულებითი ფაქტორია ამ ტრილოგიისა.

ისტორიული ფაქტების არა მარტო მხატვრულ-შემოქმედებითად გადაამუშავება ხდება, არამედ მათი იდეალიზებისგან თავდახსნა მიიღწევა ეპოქის სულისკვეთების ფილოსოფიურად გააზრებით; შესაბამისად, ნაწარმოებს ეძლევა თანამედროვე ჟღერადობა. წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების საკითხი გადანწყვეტილია კრიზისული სიტუაციის მთელი სიგრძე-სიგანით გააზრებით. კონკრეტული ისტორიული ეპოქის ცხოვრებისეული სიმართლის მთელი სიმკაცრით აღწერა: მმართველი ფენის თავაშვებულობა, განუკითხაობის ატმოსფეროს შექმნა, ზღვარსგადასული სიხარბე თავად-აზნაურებისა თუ ჩასახვის პროცესში მყოფი ვაჭრულბურჟუაზიული წრისა, ცხოვრებისეულ ყოველდღიურობაში ჩანერგილი წვრილმანი ინტრიგები, ცბიერება, შური, გაუტანლობა ანადგურებს

ზნეობრიობასა და მორალს; მთლიანობაში ისინი ზღუდავენ პროგრესისკენ სწრაფვას, იწვევს კულტურულ თუ სარწმუნოებრივ სტაგნაციას. მაშასადამე, სახეზეა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რისი გარდაუვალი შედეგია ეროვნულ ღირებულებათა დევალვაცია და თავისუფლების დაკარგვა. ამიტომ ავტორისეული პათოსი მიმართულია ზნეობრივი პროცესებისკენ. სწორედ ამ მიზნითაა რომანში, ფაქტობრივად, მთავარ პერსონაჟებად წარმოდგენილი, ერთი ისტორიული პიროვნება – მართალია თოდუა და მეორე გამოგონილი, უფრო ავტორის პროტოტიპი – ვალურია. ისინი შექმნილი არიან ამ უმძიმესი ისტორიული ეპოქის გაკვეთილის ფსიქოლოგიურად და ფილოსოფიურად გააზრებისთვის. მათი ფილოსოფიის ფონზე წარმოჩინდება ხალხის (ერის) ცნობიერი სამყაროს საზრისი. სწორედ ასეთი გააზრების ფონზე განხილული ეპოქის მამოძრავებელი ძალები. ერთი მხრივ – ის მმართველი ზედაფენა, რომელნიც თითქოსდა სრულად დაცლილი არიან ეროვნული და ზნეობრივი თვითშეგნებისაგან, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობისაგან; მეორე – რეალური ძალა, აწმყოს შემოქმედი და მომავლის იმედი.

კრიზისულ ვითარებაში მყოფი სამთავროს ისტორიული სურათის ცოცხლად გამოხმობა ჩვენს თანამედროვეობაში, უმძიმეს საგარეო-პოლიტიკური (ოკუპაცია და დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება) და შიდა სოციალურ-პოლიტიკური (სახელმწიფო გადატრიალება, რევანშიზმი და იმპერიული ინტერვენცია, რევოლუცია, ოკუპაცია, კონტრრევოლუცია და სახელმწიფო ძალაუფლების მიტაცება) კრიზისის ხანაში, ხორციელდება ისტორიის ფილოსოფიური გააზრების გზით.

ჩემი ღრმა რწმენით, ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლის მიღმა იკვეთება რომანის მთავარი პერსონაჟის სოცრეალიზმის იდეოლოგიური გარსისგან განწმენდა – ერთი მხრივ, და მეორეც – მისი ცარიზმის ოხრანკასთან, ზოგადად რუსეთის კოლონიალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამოგონილი ვერსიის დასაბუთებულად უარყოფა. ეს კი უტუ მიქასთვის არა მარტო სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლი „კლასობრივი“ გმირის, არამედ მშობლიური მიწა-წყალის დაცვისთვის უანგარო მებრძოლის, თავისი ქვეყნის პატრიოტის სახელის დაბრუნებაცაა.

ამასთან უნდა ვივარაუდოთ, რომ მწერალს განუზრახავს, გვაგრძნობინოს ამ ორი კრიზისული ეპოქის დევალვირებული სულიერების

მსგავსება, რომელსაც გარდაუვლად მოჰყვება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა; ვინაიდან, როგორც ნიკოლოზ კუზანელი ამბობდა, სული და მატერია ადამიანში ოდნავლა განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

აი ასე, ცხოვრების ერთიანობის წინ წამოწევი, მწერლის ჩანაფიქრი წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართებაზე შემოქმედებითი გააზრების გზით აისახება მკითხველის ცნობიერებაში.

ამ თვალსაზრისით, რომანში ისტორიულ მასალას – ფაქტს არც აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარია ისტორიული ფაქტის, მოვლენების ღრმად ჭვრეტის უნარი. ამ გზით ის ამყარებს ლოგიკურ კავშირს თანამედროვეობასთან. სწორედ ამაში იკვეთება მწერლის შემოქმედებითი ამოცანის მთავარი მიმართულება, რომელიც ფილოსოფიური გააზრების კონტექსტით სრულად იკითხება სტრიქონსა და სტრიქონს შუა და ჩაგვაფიქრებს დღევანდელ უმძიმეს კრიზისულ ვითარებაზე. ამაში მყლავნდება ავტორის მაღალი შემოქმედებითი დონე, რაც განსაკუთრებით აისახა მშობლიური კოლხეთის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მხატვრულად დამუშავებაში, რომელიც გამოკვეთილად ჩანს ვალერიასა და მართალიას დიალოგებსა თუ მონოლოგებში.

კიდევ უფრო სრულყოფილადაა გაცოცხლებული უძველესი კოლხ-იბერული ლეგენდები, მხატვრული სიტყვა-თქმანი, არაკები და ა.შ. და ყოველივე ამას თან ახლავს არგონავტების ხანიდან მოყოლებული მრავალგზის და მრავალხალხთა ენაზე დახატული კოლხეთის ფლორისა და ფაუნის სურათი თავისი წყარის დიდათი, ოჩოკოჩით, ტყაში მაფათი, ჭიჭკეთი თუ ხელით ნაკეთი ძივავათი.

ავტორი მაღალმხატვრული ალღოთი აცოცხლებს არა „ლეგენდარულ კოლხეთს“, არამედ რეალურ კოლხ-იბერულ სამყაროს და მათგან მომდინარე ისტორიულ-კულტურულ (ცივილიზატორულ) ჭეშმარიტებებს.

უდიდესი ღირებულების მატარებელი ეს ხალხური შემოქმედება, მათგან მომდინარე ფილოსოფიური თუ სხვა ზოგადადამიანური სიბრძნე იმდენად გამარტივებული და გაუბრალოებული კრიტერიუმებითაა გადმოცემული, რომ ნებისმიერი მკითხველი მათში ამოიკითხავს „ბრწყინვალე კოლხეთის“ იმ სიდიადეს, რომლის დაუნახაობაშიც, რუსეთის მოახლოებითა და „ვაი-ძლიერებით“ გათანგული მთავარი ბრალს სდებდა ქვეყნის მასაზრდოებელ მშრომელ ხალხს.

შემთხვევითი არ იყო, ერთმა ჩემმა საყვარელმა პიროვნებამ ალფროთოვანებით რომ გამიზიარა თავისი შთაბეჭდილება რომანზე და მითხრა: „ახლა მეორედ ვკითხულობ „უტუ მიქას“, ჩემი ღრმა პატივისცემა მწერალს; რამდენი ცხოვრებისეული სიბრძნეა აქ თავმოყრილი; ... გაცოცხლებულია ჩვენი მოდემის სასიცოცხლო ენერჯის მატარებელი ყველა უჯრედი... და ა.შ. და ა.შ.

მწერალი ასეთ ეფექტს აღწევს წარსულის „ინტონაციების“ ინტუიტიურად „დაჭერით“ და მათი ისტორიის შემოქმედებითად დამუშავების პროცესში ჩართვით. მას ჩვენს თანამედროვე, უკიდურესობამდე პოლარიზებულ ლიტერატურულ ატმოსფეროში შემოაქვს საკუთარი სიმართლე, აღვიძებს მიძინებულ ღირსების გრძნობას, იძლევა შესაძლებლობას დაძლეულ იქნეს ფატალურობამდე მისული შიში, რომელსაც მოუცავს საზოგადოება, განსაკუთრებით მისი ე.წ. ზედაფენა.

ასეთი სამართლიანობით აღჭურვილი პერსონაჟები ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებენ მონობაში ყოფას, ვისაც ეს არ შეუძლია, ის დასალუპავადაა განწირული. რომანში ასეა წარმოჩენილი ცხოვრების უნივერსალური კანონი; ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა ამოიკითხოს კვალიფიციურებულმა მკითხველმა კერძოდ, რომ ბრძოლა და შემოქმედებითობა, სულიერი სრულყოფილება ბადებს ადამიანში ჭეშმარიტ ღირსებას.

ცხოვრებისგან გატეხილთ სიღრმეებში წვდომა არ ძალუძთ, მათი სააზროვნო პოტენციალი არ სცილდება სტომაქს. მათ თვალის დასანახადაც კი ეზარებათ ყოველგვარი შემოქმედებითობა; ამ „გადაგვარებულ ადამიანებს, როგორც ჰაინრიხ მანი ამბობს, სძულთ მხატვარი, რომელმაც ისინი მეტისმეტად კარგად დახატა“.

ამდენად, ამ რომანში ავტორი ეძებს სულს და არა მატერიას, ისტორიული ფაქტების (მოვლენათა) საზრისს და არა საკუთრივ ისტორიას; მისთვის მთავარია ცნობიერება, შემოქმედებითობა და მისი გენეზისი. ამიტომაც რომანის საზრისმატარებელ ღირებულებად და ავტორისეულ მიზანდასახულობად არა იმდენად საკუთრივ ისტორიულ მოვლენათა ანალიზის წარმოჩენა, მისი რეალური პერსონაჟების გაცოცხლება და უკდავყოფა (თუმცა არც უამისობაა), რამდენადაც კოლხ-იბერული მოდემის სულიერი სამყაროს გახსნა და მისი ღვთითბოძებული ნიჭის (ბუნების) წარმოჩენა. ამ თვალსაზრისით ვაყენებთ მას (რომანს) ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა გვერდით. ისე გვეჩვენება, რომ ეს სამეული დას-

რულებული სახით წარმოაჩინეს ქართველური მოდ-გმის (ერის) ბუნებას მისი ყველა განზომილებით.

* * *

ის სულიერი პათოსი, რომლითაც აცოცხლებს ავტორი ისტორიულ წარსულს, დალდასმულია პესიმიზმსა და ოპტიმიზმს შორის ბრძოლით. მიუხედავად საფუძვლიანი (რეალური) დაპირისპირებულობისა, რაც მომდინარეობს ისტორიული თუ თანამედროვე ავბედითობიდან, მწერალმა შეძლო დაეძლია ის პესიმისტური განწყობა, რომელიც აგრერიგად მოედება ჩვენს საზოგადოებას ხანით ხანად. ცალკეულ შემთხვევაში ისე გეჩვენება კაცს, თითქოსდა თვითონ ავტორიც ჩაითრიო ამ ნიჰილისტურმა განწყობამ, მაგრამ არა, იმარჯვებს ოპტიმიზმი, თავისუფლების სული.

„კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს“, – ნიგნის ეპიგრაფად გამოტანილი ამ სოციალური სამართლიანობის ჟღერადობის ყიჟინის ხმა ყველგან, რომანის მთელ სიგრძე-სიგანეზე, ყველა სიუჟეტში თუ ცალკეულ, თითქმის თვითკმარ ნოველებში ესმის მკითხველს. ასე მგონია, თითქოსდა ეს შეძახილი ისტორიულ პერსონაჟებს კი არ მიემართება, არამედ უფრო მეტად ჩვენს დღევანდელ რეალობას. ის თვითონ ავტორსაც კი აიძულებს, ფხიზლად იყოს და არ ჩაითრიოს მისი არსება პესიმისტურმა განცდამ. რომანში რთულად, მაგრამ მაინც დაიძლევა ეს ნიჰილისტური განწყობა. ნაწარმოების ფინალი, მიუხედავად მთავარი გმირის სიკვდილისა, მომავლის იმედით, თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინით განაწყობს მკითხველს.

კატორღაგამოვლილი გმირი, თითქოსდა რუ-

სულ რეჟიმს შეგუებული, მშვიდად კი არ კვდება საკუთარ ლოგინში, არამედ ვერაგულად მონამ-ლული, კოლხურ მიწაზე ღრმად ფესვებგადგმულ საუკუნოვან მუხას მიყრდნობილი, გულის ძგერა და ძარღვებში სისხლის მიმოქცევა შეჩერებული, გაყინული ღია თვალებით მისჩერებია მშობლიური ქვეყნის შორეულ ჰორიზონტს, საითკენაც ეს-ესაა მოასწრო და მათრახის ტყლაშუნით, ძალისძალად მიუშვა თავისუფლებაზე თავისი ერთგული ბედაური.

თავისუფლებისკენ მარადიული ლტოლვის სიმბოლოა ეს ბედაური, ამიტომაც არ აკადრა მას ჩხოლარიას კაცის („კაცის კაცად“ დაბადებულისა და დარჩენილის), ბუკიას ტომრის ზურგზე შედე-ბა. „ტომარას არ შეიდეგს ეს ცხენი ზურგზე...“ უტუ არა იმდენად ჩხოლარიას ყმის გასაგონად, არამედ უფრო საკუთარ თავს ეტყვის: დაებერ-დი... გრძნობს ამას ცხენი... ზედმეტი ტვირთი ვარ მისთვის... და მიატოვა ბუკია ტვირთიანად გზაზე. ამით ყველაფერი თქვა მწერალმა. **ვინც თავისუფლებისთვის ბრძოლას შეწყვეტს ან ამის უნარი არ გააჩნია, ის ზედმეტი ტვირთია ამ ცხოვრებისთვის.** თავისუფლება ვერ გუობს უძრაობასა და მორჩილებას, ასეთათვის გამზადებულია ბაჩილასეული რიყის ქვით საგსე ან ბუკიას ფქვილით გატენილი ტომარა, **მარადიული სამარცხვი-ნო ტვირთი, ბრძოლისუნარდაკარგული მონური სულის კაცუნებისა.**

ამდენად, მწერალი აზრის ძლევაგამოსილებით ძლევს სასონარკვეთასა და სენტიმენტალიზმს.

წარსულის ანალოგიით კი არ აგებს აწყმოს, არამედ აწყმოდან უყურებს წარსულს, ამყარებს მასთან კავშირს და ჭვრეტს მომავალს.



კონსტანტინე ვეკუა

რას გვიაგობს მაფუალია?

ვალერიან ვეკუა კოლხური ფესვებიდან ამოზრდილი მუხაა. მისი მეგრული პოეზია ც ამ პროტოქართველური სურნელის მატარებელია. როგორც ძველქართულია ჩვენი სიტყვიერების თაფლი, ისეთივე საგანძურია ქართველი ერისთვის მრავალსაუკუნოვანი კოლხური სიტყვის მაღლი. რაც უფრო უღრმავდები მის სიმდიდრეს, მით უფრო ორგანულად აღიქვამ ქართული ენის იმ არქაულ პირველსაწყისებს, რომელნიც ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინ იყო განსხვავებული ჩვენს წინაპრებში.

ვალერიან ვეკუას მრავალფეროვანი შემოქმედების განსაკუთრებულ მარგალიტებს წარმოადგენენ მისი მეგრულად დაწერილი ლექსები. მათში მოკიან ვარსკვლავებით გაბნეული ლირიულობა, სიბრძნე, ღვთისადმი ვედრება, ზნეობა და ეროვნული მოტივები ერთობლიობაში იმ მწყობრად დალაგებულ მოზაიკას ქმნიან, რომელიც განსაზღვრავს ავტორის პიროვნულ პორტრეტს.

მეგრული პოეზიით ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ვალერიან ვეკუას წიგნი „ჩქინი მაფუალია“ სასიამოვნო აღმოჩენა იქნება. აქ ერთდროულად შეიძლება წარმოგვიდგეს ის კოლხური ომახიანი სიღინჯე, შორსმხედველური სიბრძნე, წარსულისადმი რომანტიული სევდა და მელანქოლიის სიღრმიდან ამომავალი იმედი, რომლითაც ასე მდიდარია მეგრული სიმღერები.

რა არის ის მთავარი კოდი, რომელიც უძველესი ნამყოფიდან მოგვდევს და დღესაც გამოკრთის ჩვენი ერის ცნობიერებაში? ესაა თანატოსისაგან არსობრივად განსხვავებული მედეას, სიცოცხლის ცივილიზაციის ფესვები, რითაც არიან გაჯერებული პრემედიტერიანული კულტურები და, მათ შორის, კოლხური კულტურა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური სისტემაა. ვალერიან ვეკუას, როგორც ხელოვანისა და მოქალაქის, პოზიცია გადის იმ ხიდზე, რომლის შემოქმედება მიმართულია არა ქვეყნის დანაწევრების ტენდენციის ნებისმიერ გამოვლინებაზე, არამედ ერთიან, ძლიერ და სიყვარულით განმტკიცებულ საქართველოზე, რასაც მთელი თავისი შეგნებული არსებობის განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე – სამეგრელო.

ქართული ენისთვის იმავე ფუნქციის მატარებელია მეგრული და სვანური, რომელიც ჩვენი ენის უმდიდრესი საგანძურია. უნდა გავიხსენოთ ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული დისკუსია ქართული ენის განახლების, გამდიდრებისა და გამართვის შესახებ, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა ჰქონდათ ჩვენი მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს. ანტიეროვნული ხასიათის საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ საკითხმა უკანა პლანზე გადაინია და 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ შიდა და საგარეო ფაქტორების გავლენით ხელოვნურად თავდაყირა დაყენებული საქართველოსთვის, სამწუხაროდ, პრიორიტეტი არსებობისთვის ბრძოლა იქცა და არა თავისი ბუნებრივი განვითარების გზაზე დაბრუნება.

ვფიქრობთ, რომ დიდი ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი შანიძის კურსის გაგრძელება იქნება ქართულ სკოლებში მეგრულისა და სვანურის ისეთი ინტეგრირებული მეთოდიკით სწავლება, რომელიც, ერთი მხრივ, ქართულ ენას კიდევ უფრო წაადგება და გაამდიდრებს მას, მეორე მხრივ კი, მეგრულსაც და სვანურსაც იხსნის გაქრობისა და განადგურებისაგან. ამგვარად, ნებისმიერი ქართველი უფრო ახლოს და შინაგანად იგრძნობს იმ პროტოქართველური ენის თავანკარა მაღლს, რომელიც ათასწლეულებს ითვლის. აღნიშნული საკითხი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ენათმეცნიერული განზომილებით, რადგან იგი, ამავე დროს, იმთავითვე ატარებს ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ბალავრის შინაარსს. ამ მასშტაბური სამუშაოს ორგანიზებასა და განხორციელებას სჭირდება ისეთი საზოგადოებრივი შეგნება და მთავრობა, რომლის ინტერესი მხოლოდ სოციალური და დემოკრატიული განვითარებით კი არ შემოიფარგლება, არამედ თავისი ხასიათით ეროვნულიც იქნება.

ყოველივე ზემოთქმული შესაბამისად აისახება ქვეყნის ცხოვრების სხვა მიმართულებითაც. კერძოდ, დღეს, როდესაც საქართველოს სათავეში კარგა ხანია, რაც არა ჰყავს ქართველი ერის ინტერესების წარმომადგენელი, დამცველი და განმახორციელებელი ძალა, არაა გასაკვირი,

რომ ქვეყანაში მოსახლე ეთნიკური უმცირესობებისთვისაც არ გაგვაჩნია ქართული ენის შემსწავლელი დახვეწილი სახელმძღვანელოები. შედეგად, საკმაოდ ხშირად, არცთუ სახარბიელოა, რაც ხელს უშლის საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციას.

ხატოვანია ვალერიან ვეკუას მოფერება ვეკუას გვარის ფესვებისადმი. ეს არ არის საკუთარი წარმომავლობის ოდენ ნოსტალგიური აღქმა, არამედ პოეზიით ასურათხატებული ის საგვარეულო ტრადიციაა, რომელიც გვარის უხუცესთა მიერ თაობიდან თაობას დალოცვის სახით გადმოეცემოდა, რათა საკრალიზებულ განწყობას ჯიშის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებასა და გახანგრძლივებაში თავისი მზრუნველი წვლილი შეეტანა. ვალერიან ვეკუას პოეზიაც ამ სანყისისა და მწიფე ნაყოფის ორგანული ერთობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანური ყოფიერების კოსმიური სუნთქვითაა გაჯერებული.

„ჩქინი მაფშალიას“ მეგრული ლექსების კრებულში ზნეობრივ მოტივებთან ერთად შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიცია, რომელიც წითელ ხაზად გასდევს ავტორის მთელ შემოქმედებას. აქ წარსული, აწმყო და მომავალი ერთ ცოცხალ მთლიანობას წარმოადგენს და უახლესი ისტორიის მოვლენებიც პოლისტურ ჭრილშია გატარებული, რომელიც ყველა ჩვენთაგანს პირდაპირ გვეხება. ერთმანეთთანაა დაკავშირებული აფხაზეთში ინსპირირებული კონფლიქტი და მისი შედეგები, აფსუების ჩრდილოკავკასიური წარმომავლობა და 1991-1992 წლების პუტჩის გამო საქართველოში დატრიალებული უსამართლობა, რომელიც

სხვადასხვა ფორმით დღემდე გრძელდება, თუმცა ვალერიან ვეკუას მართალი სიტყვა არ ეპუება მწარე რეალობას და კონფორმისტების მიერ არჩეული დუმილის მაგივრად დაუდგრომლად ამხელს სამშობლოს დაქცევასა და ისტორიული ლალატის შემოქმედთ. კავკასიის დიდი შვილი, ასლან მასხადოვი ამბობდა: „როცა სამშობლოს პატივს ხდიან, მისი ყველა მამაკაცია შეურაცხყოფილი“. ქვეყანა თუ ტირის, მისი ჭკუათამყოფელი შვილის გული ვერ მიეცემა მხიარულებას, მაგრამ საზოგადოების მწარე ხვედრის შეცვლა მხოლოდ სამშობლოზე გლოვით ვერ გამოვია, თუკი ჩვენ სახელმწიფოს სათავეში მოსკუპებულ უკეთურებას საჯარო სივრცეში ყოველდღიურად პრაგმატული საქმიანობით არ ვუპასუხებთ. ვალერიან ვეკუას მართალი სიტყვა თამამად შეგვიძლია ამ ქმედით ნაბიჯებად ჩავთვალოთ.

გულში გავლილი ძვირფასი ხალხის, მშობლიური ალაგების ტკივილნარევი მონატრებით და პატივისცემით არის ნაქსოვი ვალერიან ვეკუას მეგრული ლექსები. ამ გულის გეოგრაფია კი არც კოლხეთით იწყება და არც კოლხეთით მთავრდება.

ავტორის მეგრული პოეზიის კრებულს ბოლოში ამშვენებს გალექსილი ანდაზა-სენტენციები, რომლებიც სამეგრელოსათვის დამახასიათებელი დარბაისლური სიკობტავითაა გამოყვანილი.

რაც უფრო მეტი მსგავსი წიგნი დაიბეჭდება ჩვენ ქვეყანაში, მით უკეთესი ნებისმიერი გონიერი ქართველისათვის და ქართული ენისათვის, რადგან ასეთი ალალ-მართალი, ნაფიქრი და განცდილი შემოქმედება ერის გულმკერდზე ჩამოკიდებული კიდევ ერთი, მორიგი სამკაულია.



მარინე ღამენია

ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში

საინტერესო ნიგნი შესთავაზა მკითხველებს ზუგდიდელმა პუბლიცისტმა და ჟურნალისტმა მარინე ღამენიამ – „ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში“ (რედაქტორი ლაშა გვასალია, რეცენზენტი მურმან თავდიშვილი).

ნიგნში მოთხრობილია ზუგდიდელთა ღვანლზე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში როგორც პირველი რესპუბლიკის პერიოდში, ისე გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, მოყვანილია საინტერესო ფაქტები რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან სამეგრელოში, კერძოდ, ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის მაზრაში; მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ზუგდიდში შექმნილ ვითარებას სამხედრო-კრიმინალური პუტჩის შემდეგ.

გთავაზობთ რამდენიმე თავს მარინე ღამენიას ნიგნიდან.

1918-1920 წლის 26 მაისის დღესასწაულები ზუგდიდში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ზუგდიდელები დიდი ზეიმით შეხვდნენ. ამის შესახებ ცნობები იმდროინდელ გაზეთებშია დაცული.

1919 წლის 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 18 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ გვამცნობს, რომ „...16 აპრილს დამფუძნებელი კრების დარბაზში შედგა კრება ხელოვნების კომისიის მთელი შემადგენლობისა. კრების მიზანი იყო გაეთვალისწინებინა ის პირობები და საშუალებანი, რომელშიაც შესაძლებელი იყო ედღესასწაულა ქართველ ერს და კერძოდ, ქ. ტფილისს დამოუკიდებლობის წლისთავი...“

კრება პრინციპულად თანახმაა იმ თეზისებისა, რომელიც წამოაყენა ბ. პ. საყვარელიძემ... უნდა იქნას ნამდვილი მოქალაქეობრივი ეროვნული დღესასწაული, რევოლუციურ ფონზე ამოქარგული. დღესასწაულში უნდა მიიღონ მონაწილეობა რაც შეიძლება ფართო მასებმა. ტფილისში დღესასწაულს ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია, ხოლო პროვინციებში ერობები, ქალაქის თვითმმართველობა და სადაც ასეთები არ არიან – ან ინტერპარტიული კომისია, ან ცნობილი საზოგადო დაწესებულება. ხელოვნების კომისია პროვინციას ვერავითარ მატერიალურ დახმარებას ვერ მისცემს და ამ მხრივ, დღესასწაულის მატერიალური მხარე დამოკიდებულია ადგილობრივ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ღირსება-შეგნებაზე“.

ზუგდიდმა, როგორც ყოველთვის, აქაც გამოიჩინა თავი და ეს დღე შესანიშნავად აღნიშნა, რისი დამადასტურებელია გაზეთ „ერთობა“ 1919 წლის №122-ში განთავსებული წერილი:

„საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი ზუგდიდში შესანიშნავად ჩატარდა. დღესასწაულში მონაწილეთა რიცხვი 15 000-მდე იყო. წინა დღეებში გამუდმებით წვიმდა, 26 მაისს კი

მშვენიერი დარი დადგა. თითქოს, ბუნებაც ხელს უწყობდა ხალხის ზეიმს, და აუარებელ ხალხმა სადღესასწაულოთ მორთულმა დროშებით და სიმღერებით დილიდანვე იწყო დენა სოფლებიდან. ქალაქი ამ დროს წარმოგვატყდა სურათს წარმოადგენდა. ის სულ ერთიანად იმალებოდა ეროვნულ დროშებით აფერადებულ გირლიანდებში. სოც. დემ. ბიურო კი სულ ერთიანად ყვავილებით იყო მორთული და მის აივანს ამშვენებდა ცოცხალი ყვავილებით კოხტად გაკეთებული საქართველოს ღერბი. დილის 10 საათზე ხალხმა თავი მოიყარა ყოფილ სამეგრელოს მთავრის სასახლის წინ. აქ ერობის თავმჯდომარე ლეო შენგელაიამ განუმარტა ხალხს დღის მნიშვნელობა და სიდიადე. აღტაცებულმა ხალხმა ვაშას ძახილით და სიმღერით უპასუხა მას. ამის შემდეგ ყველა გაემართა ქუჩებისკენ. წინ, თეთრში გამოწყობილი, ყვავილებით ხელში, პატარა ბავშვების წრეში, მიდიოდა ორი ქალი „რევოლუციის“ და „დამოუკიდებელი საქართველოს“ სიმბოლოს ნიშნებით. ამათ მისდევდა მოზურთავენი, მოჭიდავენი, ფეხის მარულაში მონაწილენი, გვარდია და რაზმები, პარტიები დროშებით, ხალხი და რაზმი კოხტად გამოწყობილი ცხენოსნებისა. აქა-იქ გაისმოდა სიმღერა. 12 საათზე ბალის წინ გაიმართა ფეხის და ცხენების მარულა და ჯირითი. ნაშუადღევს 4 საათზე ბურთის თამაში. მთელი ზღვა ხალხი მონაწილეობას იღებდა თამაშში. შემდეგ უკვე, საღამო ჟამს, სასახლის წინ მოედანზე გაიმართა ჭიდაობა, ფერხული და ცეკვა-თამაში. 10 საათზე ხალხი ნელ-ნელა დაიშალა კმაყოფილი და ნასიამოვნები.

„რა კარგია! ასეთი დღე ბევრი ხანია არ გვახსოვს, ასე რა ხანია, ჩვენ ბედშავებს არ გვიმხიარულებია. სიყმანვილე გაგვახსენდა.“ ამ ხალხში აქა-იქ იტყოდნენ თვალეგაბრწყინებელი, მომცინარე მოხუცებულები. სიმღერა და ხმა-

ურობა შუალამემდე გაისმოდა მთელს ქალაქში. – ვ. ჯ-ნია“. (სტილი დაცულია).

გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, №133. „ზუგ-დიდი. 26 მაისის დღესასწაულმა ტრადიციული ხასიათი მიიღო. ის გახდა უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად; ან რა იქნება ერისათვის უფრო ძვირფასი თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე! ამას კი ჩაეყარა საფუძველი 26 მაისს. ამიტომ არის, რომ ქართველი ერი ამ დღეს ზეიმობს სულითა და გულით, ამიტომ არის, რომ ის დიდი ალტკინებით, ალტაცებით ეგებება ამ დღეს. ქართველმა ხალხმა შეიგნო 26 მაისის მნიშვნელობა აგრეთვე ინტერნაციონალური თვალსაზრისით. ამ დღეს ის უყურებს, რევოლუციის განმტკიცების დღეთ, რასაც პატარა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თვალთახედვის ისრით.

ქ. ზუგდიდში ამ დღესასწაულის მონყობის ინიციატივა მაზრის ერობის გამგეობამ მიიღო თავისთავზე. მან შეადგინა კომისია ზუგდიდში არსებულ სხვადასხვა საზოგადო და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და ადრევე შეუდგა სამზადისს. დღესასწაულს რომ მისცემოდა ნამდვილი ეროვნული ხასიათი, პროგრამა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული, ტრადიციული გასართობებიდან შესდგებოდა, როგორც არის: მარულა ცხენის, ფეხის, ჯირითი, ჭიდაობა, ბურთაობა და სხვ.

დილის 10 საათიდან ხალხმა იწყო დენა ერობის ეზოში. მონაფეები, გვარდია, ადგილობრივი და სოფლიდან ჩამოსულები სამხედრო წყობით, დროშებით და სიმღერებით თავს იყრიდა აქ, როგორც სხივები სინათლის ფოკუსში.

12 საათზე დაიწყო მანიფესტაცია, პროცესია გაემართა ქალაქში, მათ წინ მიუძღვებოდა დამოუკიდებლობის ემბლემა – თეთრ ცხენზე მხედარი შუბით და ფართი და თავისუფლების ემბლემა ფეხით – შესაფერისად მორთული ქალიშვილი. ერობის ეზოს კარებთან დამსწრეთ მიესალმა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვლ. ვეკუა, რომელმაც გააცნო მას ამ დღესასწაულის შინაარსი და მნიშვნელობა მოკლე სიტყვაში. პროცესიამ შემოუარა ქალაქის ირგვლივ უმთავრეს ქუჩებით და შემდეგ გაიმართა ზეიმი. ხალხის მხიარულებას საზღვარი აღარ ჰქონდა. საზოგადოება ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა ხოლმე აქა-იქ და ცეკვა-თამაშში ატარებდა დროს. ჩვენდა საბედნიეროდ, ქალაქს შუა მდებარეობს მინდორი და ამან ხელი შეუწყო ხალხის საზეიმო სულიერ განწყობილების დაკმაყოფილებას. ყველას სახე უბრწყინავდა, ყველა გრძნობდა ამ დღის არაჩვეულებრივობას, მის სიდიადეს. ამ ზეიმის მაყურებელი არაქართველი ტომებიც აუცილებლათ იგრძნობდა, რომ დღე-

სასწაული, რომელსაც იხდიდა ქალაქი, გამოწვეული უნდა იყოს ფრიად მნიშვნელოვან მიზეზით, რომ ის ისე ღრმად ჩანვდენია ხალხის სულსა და გულს და ასეთი აუარება ხალხი დიდი და პატარა მისცემია ასეთ უსასზღვრო მხიარულებას. ზეიმი გაგრძელდა საღამოს 9 საათამდე, რის შემდეგ ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. – კანვინ“. (სტილი დაცულია).

ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის

(ნაწყვეტი ლევან ჯიქიას ნაშრომიდან „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“)

1921 წლის თებერვლიდან 1990 წლამდე საქართველომ არაერთი მძიმე დღე გადაიტანა. მათ შორისაა 1924 წლის აჯანყება, რომელიც მძიმე შედეგით დამთავრდა.

1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობა დაიწყო. ქართული ეროვნული მოძრაობის მიზანს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. 1921 წელს დაწყებული ეროვნული მოძრაობა 1924 წლის აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებამ აგვისტოს მიწურულს მთელი ქვეყანა მოიცვა. ამ აჯანყებაში მონაწილეობას ლებულობდნენ ზუგდიდელებიც.

სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა ზუგდიდის მაზრაში დამოუკიდებლობის კომიტეტის შესაქმნელად და მასზე მეთვალყურეობის მიზნით მიაველინა ეროვნულ-დემოკრატი შალვა თვალთვაძე (დაიბადა 1897 წ. ნალენჯიხის რაიონში. იყო სასულიერო წოდების. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. დაპატიმრებამდე იყო ადვოკატთა კოლეგიის წევრი. ცხოვრობდა ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №15. დააპატიმრეს 04/30/1938 წელს. ბრალად ედებოდა, რომ 1936 წლიდან შედიოდა კ/რ ნაციონალისტურ ფაშისტურ ორგანიზაციაში და ეწეოდა კ/რ საქმიანობას ორგანიზაციაში ახალი წევრების გადასაბირებლად. ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას ძალაუფლების ხელში ძალით ჩადების მიზნით და უშუალო კავშირში იყო კ/რ ორგანიზაციის ცენტრის წევრ ვ.ვ. ღვამიჩავასა და პოლიტბანდიტ მ. ჭანტურიასთან. თავი დამნაშავედ ცნო. გაასამართლა შინსახკომის სამეულმა. მომხსენებელი: უჩანეიშვილი. მონაწილეობდნენ: გოგლიძე, ჩარკვიანი, ტალახაძე).

შალვა თვალთვაძემ ადგილზე ჩასვლისთანავე ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტი შექმნა. კომიტეტში შევიდნენ: მამია ანჯაფარიძე (თავმჯდომარე), ალექსანდრე გაბუნია (ზუგდიდის არქივში დაცულ დოკუმენტში

ის ზუგდიდის მაზრის დამკომის თავმჯდომარედ იხსენიება, რაც რეალობას არ შეესაბამება – ავტ. ლევან ჯიქია), ესტატე ლატარია, ტიტე საჯაია, ლუკა გვასალია (მოლარე), ბიდი წულეისკირი (ოფიცერი), ნიკოლოზ გვათუა (ეროვნულ-დემოკრატი, სტუდენტი), გრიგოლ ჭაბუკიანი (ეროვნულ-დემოკრატი, სტუდენტი). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი შედიოდა ზუგდიდის მაზრის სამხედრო შტაბში. სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი იყო ქ. ზუგდიდის კომენდანტი და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი ბიდი წულეისკირი. ზუგდიდის მაზრის დამკომმა დარჩელის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელებად სოკრატ კეზუა (მცხოვრები სოფ. კახათში) და კალისტრატე ზარანდია (მცხოვრები სოფ. დიდინეძში) დანიშნა. ამავე რაიონში აჯანყების ორგანიზატორობა სოკრატ კეზუასა და ადამურ ცხაკაიას (მცხოვრები სოფ. კოკში) დაევალებათ. საჭირო ინფორმაციებს მათ კოლი კეიღია აწვდიდა. სოკრატ კეზუა ასევე ითავსებდა ორგანიზატორის ფუნქციებს სოფ. დიდინეძში. უჯრედში 12 კაცი იყო განევრინებული: კალისტრატე ზარანდია, მიხეილ შონია, ერასტო ქარჩავა, ლევან ზარანდია, გრიგოლ კუკავა, ალექსი თოდუა, გრიგოლ კუტალია, გრიგოლ ნანავა, ესტატე ქირია, ვარლამ მაქაცარია, არსენ წურწუმია და მიხეილ (მიხა) შონია. ხშირ შემთხვევაში მაზრის დამკომი ამა თუ იმ სოფელში მუშაობას მთლიანად სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაბამის უჯრედს ანდობდა. დარჩელში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ოთხი უჯრედი ჰქონდა. ერთ-ერთ უჯრედს ბაადურ აბესაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო წევრები იყვნენ: ბიქტორ ჯიქია, ნიკო ჟვანია, მიხეილ შენგელია, ბარდღუ აბსანძე, კირილე ქეცბაია. მეორე უჯრედს პავლე ბიგვავა მეთაურობდა (ის აცხადებდა, რომ უჯრედში მარტო იყო). მესამე უჯრედს სათავეში ფედია კორკელია ედგა, წევრები იყვნენ: კალისტრატე ყუფუნია, პორფირე სორდია, დუდუ ქართიშვილი, დომე კორკელია. მეოთხე უჯრედის ორგანიზატორი ბესა ბერაია იყო, ხოლო წევრი – დომე ქართიშვილი. სოფ. ანაკლიაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მხოლოდ ერთი უჯრედი ჰქონდა, რომელსაც ოქროპირ ჭანტურია ხელმძღვანელობდა.

1924 წლის აჯანყების წინა დღეებში სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა მაზრის ყველა რაიონში აჯანყების ხელმძღვანელად დანიშნული პირები შეკრიბა. შეკრებაზე გაირკვა, რომ აბაშის, ბანძისა და სალხინოს რაიონებში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები კარგად იყო ჩატარებული. საპირისპირო ვითარება იყო მარტვილისა და ნოქალაქევის რაიონებში, ამიტომ

სალხინოსა და ბანძის აჯანყებულებს თავიანთ რაიონებში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მარტვილისა და ნოქალაქევის დაკავებაზე უნდა ეზრუნათ. ქალაქი ახალი სენაკი 200 შეიარაღებულს უნდა აეღო. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების ზუსტი თარიღი აჯანყებამდე სამი დღით ადრე თედო ესართიას შეატყობინა. თედო ესართიამ 1924 წლის 26-27 აგვისტოს სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში აჯანყების მეთაურები გააფრთხილა. 1924 წლის 28 აგვისტოს, დილით, სენაკის მაზრის დამკომისა და სამხედრო შტაბის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების თარიღი თედო ესართიასგან შეიტყო. ზუგდიდის მაზრის დამკომმა მაზრის სამხედრო შტაბი და აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმების მეთაურები გააფრთხილა. აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები, მაზრის დამკომის მტკიცებით, დამაკმაყოფილებელი იყო.

აჯანყებულები 1924 წლის 28 აგვისტოს სოფ. კახათის კოოპერატივის შენობას დაეცნენ. ზუგდიდის რაიონული მილიციის უფროსი ა. თოლორაია სოფ. კახათისკენ მილიციელების თანხლებით გაემართა. მანამდე ა. თოლორაიასთან მივიდა პიროვნება (აჯანყებულების მიერ შეგზავნილი), რომელიც მას ყაჩაღების ბინის ჩვენებას დაჰპირდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ყაჩაღების ბინისკენ (სოფ. ობუჯისკენ, წალენჯიხის რაიონი) მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე როგავა სამი მილიციელის თანხლებით გაემართა. რაიონის მილიციიდან ორი მილიციელი ჩხორონწყუში ტუსაღების ბადრაგად იყო გაგზავნილი. ამდენად, მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებაში მაზრის მილიციიდან დამატებით მხოლოდ ოთხი მილიციელი აღმოჩნდა, ზუგდიდის რაიონის მილიციიდან – ხუთი. 1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსმა მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ ინფორმაცია ინფორმპუნქტის რწმუნებულის თანაშემწისგან მიიღო. მან მილიციელებს სათანადო მითითება მისცა, თვითონ კი პარტიულ ამხანაგებთან ერთად ქალაქში პატრულირება დაიწყო, თუმცა საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა. აჯანყებულებმა ქ. ზუგდიდზე იერიში 1924 წლის 29 აგვისტოს დილის ოთხ საათზე მიიტანეს. აჯანყებულები ინფორმპუნქტის შენობაში შეიჭრნენ და აღმასკომის თავმჯდომარე გრიგოლ როგავა სიცოცხლეს გამოასალმეს. აჯანყებულთა სხვა ძალები ქალაქისკენ სამხრეთის მხრიდან მიიწვედნენ. აქ ისინი მაზრის მილიციის უფროსსა და მილიციელებს წააწყდნენ. ხანგრძლივი სროლის შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს.

ამასობაში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა დადიანების სასახლის მახლობლად. აჯანყებულებს ტყვიამფრქვევით სამხედრო კომისარი ჩიჩუა უმკლავდებოდა. რიცხობრივი უპირატესობა აჯანყებულთა მხარეს იყო, ამიტომ მაზრის მილიციის უფროსი დადიანების სასახლისაკენ გაემართა ვანიჩკა ჩხეტიასა და მილიციელებთან ერთად. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ვანიჩკა ჩხეტია. პოზიციური ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. კომუნისტებს ტყვია-წამლის მარაგი აღმასკომის შენობაში ჰქონდათ, ამიტომ აღმასკომის დაუფლებისათვის ბრძოლას ამბოხებულები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მათ აღმასკომის შენობის დაკავება მაინც ვერ შეძლეს. შენობები ხელიდან ხელში გადადიოდა (საავადმყოფო, გამასწორებელი სახლი (საპრობილე) და სხვ.). აჯანყებულებმა გამასწორებელი სახლიდან პატიმრები გაათავისუფლეს. ქ. ზუგდიდის დაუფლებისათვის ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა კომუნისტების განიარაღებასა და დაპატიმრებას მიჰყვეს ხელი. აჯანყებულებმა დააპატიმრეს კირილე მიქაია, მელიტონ ხორავა და სხვ. ამის პარალელურად აჯანყებულები მოსახლეობაში მოწოდება-პროკლამაციას ავრცელებდნენ და აცხადებდნენ: „ყველაფერი გათავებულია“. მამია ანჯაფარიძე და ესტატე ლატარია ცენტრიდან ტელეგრამებს ლეზულობდნენ. ზუგდიდის მაზრაში აჯანყებულთა რიცხვმა 1500 მიაღწია. მამია ანჯაფარიძემ ზუგდიდის მაზრის მასშტაბით სამხედრო ხელმძღვანელად ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი დანიშნა. 1924 წლის 31 აგვისტოს ზუგდიდში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა დაიწყო, რომელსაც სათავეში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი აქირთავა და გალის საინფორმაციო პუნქტის უფროსი შარია ხელმძღვანელობდნენ. განახლდა შეტაკებები. სროლა მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმი, რომელსაც ვ. გეგეჭკორი მეთაურობდა, მდინარე ჩხოუშის ხიდთან დაბანაკდა. ამ დროს აჯანყებულებთან ვინმე კალანტარია მივიდა და აუწყა, რომ მათკენ მოინევდნენ სამურზაყანოელი კომუნისტების შეიარაღებული რაზმები ყოლბაიასა (სოფ. ჭუბურხინჯის საბჭოს თავმჯდომარე) და იასონ ქარდავას ხელმძღვანელობით. კალანტარიას თქმით, იასონ ქარდავას სურდა აჯანყებულებთან მოლაპარაკება. ვლადიმერ გეგეჭკორმა კალანტარიას დაავალა იასონ ქარდავასთვის გადაეცა, რომ ის უკან იხევდა და მათ გზას უთმობდა. სამურზაყანოს შეიარაღებული ძალები ქ. ზუგდიდში შევიდნენ. ვ. გეგეჭკორი თავისიანთა

შტაბში გამოცხადდა (აჯანყებულთა შტაბი სასტუმრო „ფრანციაში“ მდებარეობდა). იქ ვ. გეგეჭკორს ჰკითხეს, თუ რატომ გაიარეს თავისუფლად კომუნისტებმა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის იცავდა. ამაზე ვ. გეგეჭკორმა უპასუხა, რომ მონინალმდეგის შეიარაღებული ძალა 150 მეგრძოლისგან შედგებოდა და მათი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდაო. სამხედრო შტაბში თათბირი დაიწყო. თათბირის დასრულების შემდეგ შტაბიდან სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ქავთარაძე (გენერალ-მაიორი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში, 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი) გამოვიდა და ვ. გეგეჭკორს უბრძანა, მათთვის იარაღი ჩაებარებინა, რადგან ის არასანდო პიროვნებად მიიჩნიეს. ვ. გეგეჭკორმა შაშხანა და რევოლვერი ა. ქავთარაძეს ჩააბარა. იარაღის ჩაბარებას ესწრებოდნენ იასონ ჯღამაია, კონსტანტინე ჟვანია (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების წევრი და ხაზინადარი), ბიდი წულეისკირი (მოჯანყეთა მიერ ქ. ზუგდიდის კომენდანტად დანიშნული), კაკულია და სხვ. ამ ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ვ. გეგეჭკორი მათი მეგობარი იყო და თვითონაც იარაღის დაყრით იმუქრებოდნენ. ე. ლატარია და ა. ქავთარაძემ ვ. გეგეჭკორს მოუბოდიშეს და იარაღი დაუბრუნეს. ვ. გეგეჭკორმა ზუგდიდის მაზრაში არსებულ აჯანყებულთა ცალკეული შეიარაღებული რაზმების ხელახლა შეკრება დაიწყო. სოფ. მანცხვარში მეამბოხეთა ოთხი რაზმი შეიკრიბა. თითოეული რაზმი 100 მეგრძოლისაგან შედგებოდა. რაზმებში სულ ხუთი ოფიცერი იყო: პირველ რაზმში იასონ ჯღამაია, მეორეში – დურუ როგავა, მესამეში – კონსტანტინე ჟვანია, მეოთხეში – გეთია და მეხუთეში – ვლადიმერ გეგეჭკორი. თითოეულ მეგრძოლს შაშხანა და 15 ვაზნა ჰქონდა. ვ. გეგეჭკორმა შემდგომი მოქმედების გეგმის შედგენის მიზნით თათბირი ჩაატარა და სენაკის მიმართულებით ნასვლა გადაწყვიტა. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ მსურველებს შეეძლოთ არ გაჰყოლოდნენ მას. აჯანყებულთა სამხედრო შტაბი და 200 აჯანყებულთა ხელმძღვანელს გაჰყვა. ვ. გეგეჭკორმა რაზმიდან 30 შეიარაღებული გამოყო, რომლებსაც პატიმარი კომუნისტების წაყვანა ევალებოდათ. მოიყვანეს 20-მდე პატიმარი კომუნისტი. აჯანყების მეოთხე დღეს სოფ. ცაიშთან აჯანყებულები 8 შეიარაღებულ კომუნისტს გადაეყარნენ. ვ. გეგეჭკორმა კომუნისტი შამუგია კომუნისტებთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად, რათა მათთვის გზა მიეცათ. ვ. გეგეჭკორმა მოჯანყეთა ერთად სოფ. ცაიში გაიარა. სოფ. ხე-

თაში ვ. გეგეჭკორი აჯანყებულთა 60-კაციან რაზმს შეხვდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი ვარლამ კობახიძე მეთაურობდა. მათ თან 200 დაპატიმრებული კომუნისტი მოჰყავდათ. 1924 წლის 1 სექტემბერს აჯანყებულებმა სოფ. ხეთა დატოვეს და ახალი სენაკისკენ გააგრძელეს გზა. მათ დაბა ხობში შეისვენეს. მოგვიანებით ვ. გეგეჭკორმა ე. ლატარიასა და ჭაბუკიანთან საუბარი მოისურვა, მაგრამ ისინი ადგილზე არ აღმოჩნდნენ. ვ. გეგეჭკორი ახალი სენაკიდან მოსულ ერთ სოციალ-დემოკრატს გაესაუბრა, რომელმაც მას კომუნისტების მიერ ახალი სენაკის აღება აცნობა. ვ. გეგეჭკორმა აჯანყებულებს ყველაფერი აუწყა და დასძინა, რომ მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ის პასუხს არ აგებდა და თითოეულ მათგანს შეეძლო თავად ეშველა საკუთარი თავისთვის. აჯანყებულებმა ხობის დატოვება დაიწყეს, მაგრამ ამ დროს მათ კომუნისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც სროლითვე უპასუხეს. შეტაკებისას აჯანყებულები დაიქსაქსნენ. ისინი 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. კახათში ზუგდიდის რაიონის მილიციის უფროსს ა. თოლორაიას დაესხნენ თავს, რომელიც ორი მილიციელის თანხლებით სოფელში იყო მივლინებული იქ მომხდარი ყაჩაღობის ფაქტის გამოსარკვევად. ა. თოლორაია აჯანყებულებს გაექცა და ზუგდიდისკენ აიღო გეზი, თუმცა ზუგდიდში შესვლა ვერ შეძლო, რადგან ქალაქი აჯანყებულების ხელში იყო. ის სოფ. ჯოღეჯიანში გადავიდა, იქიდან – სოფ. ცაიშში და კომუნისტების შეგროვება დაიწყო. ამ ორ სოფელში მან ხუთ მეზობლს მოუყარა თავი. სოფ. ცაიშში მათ აჯანყებულები დაესხნენ თავს, თუმცა გაქცევა ადვილად მოახერხეს. ამის შემდეგ ა. თოლორაია შეკრებილ კომუნისტებთან ერთად სოფ. კახათში დაბრუნდა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო (ისინი აქ 60 კაცს შეადგენდნენ). ა. თოლორაიამ 25 აჯანყებულის განიარაღება და მათ მიერ დაპატიმრებული კომუნისტების გამოსხნა შეძლო. ამასობაში მისი რაზმი თანდათანობით ივსებოდა, რის შემდეგაც მათ აჯანყებულები საბოლოოდ დაამარცხეს. სოფ. კახათის დაკავების შემდეგ ის სოფ. ცაიშში გადავიდა. აქ მემამბოხეთა წინააღმდეგ ცხარე ბრძოლა გაიმართა. შეტაკებისას ერთი აჯანყებული, გვარად ბიბლაია დაიღუპა, ცხრა კი ტყვედ ჩავარდა. ა. თოლორაიამ 40 კომუნისტი ტყვეობიდან გაათავისუფლა. აჯანყებულებმა სოფ. ხეთის მიმართულებით დაიხიეს. თოლორაია 1924 წლის 1 სექტემბერს ქ. ზუგდიდიდან უკან დახეულ მემამბოხეთ ჩაუსაფრდა. ბრძოლაში ერთი აჯანყებული, გვარად ჯიმკარიანი დაიღუპა, დანარჩენები კი სოფ. ხეთის მიმართულებით გაიქ-

ცნენ, სადაც საბოლოოდ დაიშლნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის 7 საათისათვის, დარჩელის რაიონში ქ. ზუგდიდიდან იაკობ ეგნატეს ძე ახალაია (1884-1963 წწ. დარჩელის რაიონის აგრონომი) და ვარლამ თორია (სოციალისტ-ფედერალისტი) ჩავიდნენ, რომლებმაც ადგილობრივებს აჯანყების თარიღი აცნობეს. ადგილობრივმა მემამბოხეებმა დანიშნულ ადგილზე შეკრება დაიწყეს. 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის ორი საათისთვის, 22 კაცი მოგროვდა, რომელთაგან 10 შეიარაღებული იყო. აქ მათ დილაშუალო დაჰყვეს, დილას კი გამოსვლა დაიწყეს. ვარლამ ტარასის ძე ანჩაბაძისა (1893-1938 წწ. დაბადების ადგილი: ქ. სოხუმი. სოციალური წარმომავლობა: თავადი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების წევრი, უპარტიო. იყო „საქმშენის“ თანამშრომელი. ბრალად დაედო, რომ 1931 წელს სიმონ ხმალაძემ გადაიბირა კ/რ ტერორისტულ მემარჯვენე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და ტერორისტული აქტების მოწყობას სკკპ(ბ)-სა და საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების წინააღმდეგ. ენეოდა კ/რ სამუშაოებს. წარსულში იყო მენშევიკთა არმიის კავალერიის ოფიცერი, აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. თავი დამნაშავედ ცნო. მიესაჯა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია. გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული. მომხსენებელი: კომოლცევი, მონანილეობდნენ: ქობულოვი, წერეთელი, ტალახაძე, მოროზოვი. მუხლი: 58-8, 58-11, 58-13) და ვალოდია ჩხოლარიას ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები განიარაღეს და დააპატიმრეს. ისინი კომუნისტებისთვის წართმეული იარაღებით შეიარაღდნენ. გამოსვლებში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო, რის შემდეგაც მემამბოხეთა რიცხვმა 500-600 მიაღწია. აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ჩამოაყალიბეს თავდაცვის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვარლამ ანჩაბაძე, კალისტრატე ხუფენია, ესავა სიჭინავა და ტარასხან სიჭინავა. ბრძანებასა და განკარგულებას ვ. ანჩაბაძე და კ. ხუფენია იძლეოდნენ. აჯანყებულებმა დარჩელში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ კირილე ქეცბაიას მეთაურობით 10-კაციანი რაზმი გაგზავნეს სოფ. ანაკლიის მიმართულებით. ფოთიდან დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ დარჩელის რაიონის მილიცია აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და სოფ. ანაკლია მთლიანად განმინდა მემამბოხეთაგან. სოფლების: ერგეტისა და ორულუს კომუნისტები მდინარე ჯუმს მიადგნენ. ხიდის ერთ მხარეს პოზიციები დაიკავეს აჯანყებულებმა,

მეორე მხარეს – კომუნისტთა რაზმმა. შუადღისთვის სოფ. დარჩელი კომუნისტებმა აიღეს. სოფ. ორულუ-ერგეტაში აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით დაიწყო. აჯანყებულები ზუგდიდის მაზრის უფროს მილიციელს ს. მიქავასა და მის ძმას დაესხნენ თავს. ძმები მიქავეები სროლით გავიდნენ სახლიდან და სოფ. ორულუ-ერგეტაში მყოფი კომუნისტის მიხა მამფორიას რაზმს შეუერთდნენ. ამ რაზმმა სოფ. ორულუ-ერგეტა მონინალმდეგეთაგან განმინდა და 1924 წლის 31 აგვისტოს ქ. ზუგდიდში დაბრუნდა. ს. მიქავა მაზრის მილიციის უფროსთან გამოცხადდა და არსებული ვითარების შესახებ პატაკი ჩააბარა.

1924 წლის 29 აგვისტოს, დღის ორ საათზე, სოფ. ხეთაში მოიტანეს ცნობა კომუნისტების მიერ სოფ. ცაიშის დაკავების შესახებ. ხეთის აჯანყებულებმა ცაიში-ხეთის საზღვრის დაცვის გადანეცილებლა მიიღეს, რაც შესრულდა კიდეც. უფრო მეტიც, მათ სოფ. ცაიშიც კი დაიკავეს და 26 კომუნისტი დააპატიმრეს. 1924 წლის 31 აგვისტოს ქ. ზუგდიდიდან უკანდახეულმა აჯანყებულებმა მამია ანჯაფარიძემ, ვარლამ გობეჩიამ, ვარლამ ხუბუტიამ, ბაგრატ ვეკუამ, არსენ კუჭავამ, ბეგი გეგეჭკორმა და სხვებმა ხეთაში 150 კომუნისტი პატიმარი მოიყვანეს 100 მცველის თანხლებით, 40 ავადმყოფი პატიმარი სოფ. ხეთაში დატოვეს, დანარჩენები კი ხობის მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით ვ. კობახიძემ ხობში კაცი გაგზავნა კითხვით – შეეძლოთ თუ არა მათ დამატებით პატიმრების მიღება? აღმოჩნდა, რომ ხობი უკვე კომუნისტებს ჰქონდათ დაკავებული. ამასთანავე, ხეთაში ცნობა მოვიდა, რომ სოფ. ანაკლიის კომუნისტებისგან შემდგარი რაზმი სოფ. ხეთაზე თავდასხმისთვის ემზადებოდა. ვ. კობახიძემ რაზმი დაშალა.

აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: კონსტანტინე (ჯუგუ) გრიგოლის ძე დადიანი (სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავითის უმცროსი ძმის, კონსტანტინეს შვილიშვილი), ფუხული ლომია, ალექსანდრე ლომია, რაჟდენ ყურაშვილი, აკაკი ქაჯაია (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი).

1924 წლის 28 აგვისტოში დაწყებულმა აჯანყებამ რამდენიმე დღე გასტანა, საბოლოოდ კი შეამბოხეთა მარცხით დასრულდა.

ზუგდიდის მაზრაში აჯანყებაში მონაწილეობა 2 769 მოქალაქემ მიიღო. მათ შორის: აბასთუმანში – 140; სოფ. ჯოლეჯიანში – 45; სოფ. შამგონაში – 42; სოფ. ცაიში – 51; სოფ. ყულიშკარში – 250; სოფ. ცაიშის კახათში – 43; სოფ. რიყეში – 36; სოფ. კორცხელში – 130; სოფ. ნიკოსიაში – 27; სოფ. ჯიხაშკარში – 100; სოფ.

ლედგებიში – 64; სოფ. კოკში – 150; სოფ. დინდში – 100; სოფ. ხეთაში – 220.

ზუგდიდში 40 ამბოხებული დახვრიტეს, 8 აჯანყებული დასახვრეტად ფოთში გაგზავნეს, 30 ადამიანი დახვრიტეს ზედაენერის ტყეში, 28 ადამიანი კი – სოფელ კახათის ასასვლელ ფერდობთან.

აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიმღებთა ძებნა-დაპატიმრებები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როდესაც ძებნილები ვერ უძლებდნენ ოჯახებზე განხორციელებულ ზენოლას და ნებაცოფლობით ბარდებოდნენ.

ზუგდიდის მასმედია 1992-1994 წლებში

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მასმედია დაიბრუნა თავისი მისია. რაიონულ გაზეთ „ოდიში“ ამკარად იგრძნობოდა სიტყვის თავისუფლება, ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის თემების წინა პლანზე წამოწევა, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა.

როდესაც ედუარდ შევარდნაძის უკანონო ხელისუფლება დამკვიდრდა საქართველოში და როდესაც სამეგრელოს რეგიონში სხვადასხვა მოძალადეებთან ერთად დათარეშობდა „მხედრონი“, საგამომცემლო საქმიანობა გაძნელდა. 1992-1993 წლების ზუგდიდში საქალაქო, სარაიონო ბეჭდვითი ორგანო აღარ არსებობდა.

ცენტრალური ტელევიზია მხოლოდ უკანონო ხელისუფლებისათვის საჭირო ინფორმაციას გადმოსცემდა, რომელიც მტკნარი სიცრუით გამოირჩეოდა.

გაზეთის არალეგალური გამოცემა გმირობის ტოლფასი გახდა, თუნდაც ხელნაწერის სახით.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, ზუგდიდსა და, საერთოდ, სამეგრელოში დაიწყო ახალი დამოუკიდებელი, ობიექტური მედიის განვითარება. სრულიად საქართველოს ეროვნული დამოურჩილებლობის კომიტეტის პრესცენტრმა ბიულეტენის „ჯვარცმული საქართველოს“ ერთადერთი ნომერი 1992 წლის 27 იანვარს გამოსცა. ფაქტობრივად, იგი სავლელ პირობებში გამოიცა. 28 იანვარს კი ზუგდიდში ხუნტის სადამსჯელო ბანდები შემოვიდნენ. გაზეთს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია. სინამდვილეში გაზეთს რედაქტორობდა ედემ კვირტია. საქართველოში უკანონო ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად ედემ კვირტიამ დატოვა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი და საქართველოს მწერალთა კავშირი.

ამავე სახელწოდების გაზეთი „ჯვარცმული საქართველო“ გამოსცა მეორე ჯგუფმა, რომლის რედაქტორი იყო ანრიდ სანაია. სარედაქციო კო-

ლეგიაში იყვნენ: გოჩა რაფავა, სოსო ბებურია, ნანი ჯგვიშია, ნატრული აკობია, ზური ამორტია, ნოდარ ჩაბალუხა. აღსანიშნავია ნოდარ ჩაბალუხასა და მისი ოჯახის ღვაწლი ამ გაზეთის გამოცემაში. ისინი ორი თვე ზრუნავდნენ გაზეთის გამოცემასა და სარედაქციო კოლეგიის დაცვაზე.

იატაკვემ მოქმედმა ორგანიზაციამ „მეფიცულთა საქმე“ 1992 წლის იანვარ-მარტში არალეგალურად გამოსცა გაზეთი „მესიის მახვილი“. გაზეთი პირველად საკანცელარიო ქალაქდზე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, შემდეგ საკანცელარიო საბეჭდ მანქანაზე იბეჭდებოდა. გაზეთში არცერთი პროფესიონალი ჟურნალისტი არ თანამშრომლობდა. ამ გაზეთს ქმნიდნენ პატრიოტული გზებით ანთებული ახალგაზრდები: ბადრი მაქაცარია, გურგენ მალანია, კახა ჯიჭონაია, რეზო შენგელია, მარინე დამენია. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

გაზეთს რედაქტორობდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი გურგენ მალანია, ფსევდონიმით „ლურუში მაგორუ“. მას ხუნტისტებმა 13 წელი მიუსაჯეს. 1993 წლის 9 სექტემბრიდან 2002 წლის 15 მარტამდე იმყოფებოდა პატიმრობაში. გათავისუფლდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

კახა ჯიჭონაია 1994 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში. მისჯილი ჰქონდა დახვერეთა. გათავისუფლდა 2000 წელს.

აფხაზეთიდან ქართველების განდევნის შემდეგ ხუნტამ გაზეთ „აღდგომის“ რედაქცია სოხუმიდან გამოაძევა. კერძოდ, გააგულუამ სპეციალური ბრძანებით აკრძალა გაზეთი. ეს მაშინ, როცა გაზეთის დახურვა მხოლოდ სასამართლოს წესით უნდა ხდებოდა.

1993 წლის თებერვლიდან გაზეთი „აღდგომა“ გამოიცემა ქ. ზუგდიდში, რასაც ადასტურებს 1993 წლის 28 თებერვლის №7(39)-ში გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი: „გაზეთ „აღდგომის“ რედაქციას იძულებით მოუხდა სოხუმის დატოვება. ე. წ. სამთავრობო ჯარების შემოსვლის შემდეგ სოხუმის კომენდანტმა აკრძალა კანონიერი, იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული გაზეთი „აღდგომას“ გამოცემა, ვინაიდან იგი ეროვნულ ნიადაგზე იდგა და სამართლიანად გამობდა ძალადობით მოსულ უკანონო მთავრობას.

ეს გაზეთ „აღდგომის“ რედაქციაზე, მის თანამშრომლებზე თავდასხმის პირველი შემთხვევა როდია. ჯერ კიდევ აფხაზეთში ხიდებისა და რკინიგზის „დასაცავად“ შემოსულმა სამთავრობო ჯარებმა, პირველ ყოვლისა, გაზეთ „აღდგომას“ გაუსწორეს ანგარიში, ძალით გამოაძევეს სოხუ-

მის სტამბიდან. ხუნტის მიერ დევნილი გაზეთი ზუგდიდმა შეიფარა. არც ის იყო შემთხვევითი, დევნილი გაზეთის რედაქტორს გიორგი სიჭინავას, ამავე გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებს – ზური კვარაცხელიას, მურმან ზაქარაიას, დაუმორჩილებლობის კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელს ედემ კვიციანს ზუგდიდის ერთ-ერთი ქუჩის განაპირას მსუბუქი ავტომანქანა რომ დაეჯახა.

ამჟამად ჩანს: სისხლიან ხუნტასა და მთავრობაში მოსულ ბოროტმოქმედთა ხროვას სიმართლის ეშინია. მათ სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა ერთისა: სიმართლის ხმა ჩაახშონ ტერორისტული აქტებით“. – გაზეთი „აღდგომა“, №12(44), 9 აპრილი, 1993 წ.

სამეგრელოში ხუნტის შეიარაღებული ბანდების შემოსევის შემდეგ გაზეთი ფაქტობრივად იატაკქვეშ გამოდის. ის ზუგდიდის სტამბაში ღამით სანთლის შუქზე იბეჭდება, ხოლო ჟურნალისტებს დიდი ხიფათი ელოდათ.

აი, როგორ იხსენებს გიორგი სიჭინავა ამ ვითარებას: „სოხუმში შემოსული მხედრიონი პირდაპირ სტამბაში შემოგვეჭრა. იქ მუშაობდნენ შესანიშნავი პიროვნების, ოჩამჩირელი ჟურნალისტისა და მწერლის, ალიო ქობალიას ქალიშვილები ნონა და ნანა ქობალიები. სტამბის უკანა კარი ღია რომ არ ყოფილიყო, ყველას იქ დაგვეცხრილავდნენ. სოხუმის დაცემის შემდეგ ზუგდიდში გავაგრძელეთ მოღვაწეობა. სამწუხაროდ, აქაც გაგრძელდა ჩვენი დევნა. არ გვყავდა დაცვა, არ გვექონდა არანაირი იარაღი, რადგან ჩვენ ჯარისკაცები არ ვიყავით. ჩვენი იარაღი იყო კალამი და მაინც ჩვენ დაგვეძებდნენ ყველგან. თუ ვინმე ჩვენი ნათესავი ცხოვრობდა ზუგდიდში, ყველგან მივიდნენ, ყველას სახლი აწიოკეს. გაზეთი ციხეშიც შეგვექონდა. მიცვალებულზე აუგის თქმა არ მიყვარს. ღმერთმა გაასამართლოს ან უკვე გარდაცვლილი გენერალი. ის ზუგდიდის ციხეში იჯდა და ჩემზე იქიდან დაიქადა: სოხუმიდან გამოვრეკეთ ესენი. აი, რომ გამოვალ აქედან, პირველ ტყვიას გიორგი სიჭინავას ვესვრიო. ამიტომ არ დამედგომებოდა და წავედი უკრაინაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მურმან ზაქარაიამ გააგრძელა გაზეთ „აღდგომის“ გამოცემა“.

გაზეთ „აღდგომის“ დამფუძნებლები არიან: გიორგი სიჭინავა, ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია. პირველი რედაქტორია მწერალი გიორგი სიჭინავა, სარედაქციო კოლეგიის წევრები: ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია, ზურაბ კვარაცხელია, ნონა ქობალია, ედიშერ გიორგაძე, თენგიზ კიკაჩიეშვილი, რამაზ კუპრავა, მუხრან მაჭავარიანი, სერგო საჯაია, სოსო სიგუა, ზაურ ქობალია, გოგი ხაფთანი, ელიზბარ ჯაველიძე, გაა ძონენიძე.

გაზეთ „აღდგომის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მურმან ზაქარაიამ ფასდაუდებელი ღვაწლი გასწია. მაშინ, როდესაც სოხუმში რედაქციას თავს დაესხნენ, საკუთარი სახლი დაუთმო მას. ზუგდიდში გადმოსვლის შემდეგაც არ დაუკლია მორალური თუ ფინანსური დახმარება. გიორგი სიჭინავას ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მურმან ზაქარაია ჩაუდგა სათავეში გაზეთის გამოცემას და წლების განმავლობაში თავდაუზოგავად იღვანა თავისუფალ, ობიექტურ მედიაში.

არც ფოტოკორესპონდენტებისათვის იყო ადვილი მუშაობა. აი, როგორ იხსენებს იმ დღეებს ზუგდიდელი ფოტოკორესპონდენტი არჩილ ყუფუნია:

„არ მინდა მახსოვდეს, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან ვერ ამოვშალე შეხვედრა გია ყარყარაშვილთან.

ზუგდიდში ჩამოსული იყვნენ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები და იღებდნენ საინტერესო კადრებს.

ბაზრის წინ შევხვდი შაოსან ქალს, მკერდზე ორი მიცვალეზულის სურათით, რომელსაც ზვიად გამსახურდიას პორტრეტი და საქართველოს დროშა მოჰქონდა. ამ კადრის ასახვისას ორმა უცნობმა მამაკაცმა მტაცა ხელი და „მხედრონის“ შტაბში წამიყვანა. გია ყარყარაშვილთან შემიყვანეს. მან მკითხა:

– ვის უმზადებდი ფოტო და ვიდეომასალას? ალბათ, თქმა არ უნდა, ზვიად გამსახურდიას.

წამში წამართვეს ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა. ყარყარაშვილმა ამოიღო ფირები და იქვე ცეცხლი წაუკიდა. გული დამწყდა. ამ კადრებისთვის ბევრი ვინვალე. ქალაქის მოედანზე ხუთსართულიანი სახლის სახურავზე ვიჯექი და იქიდან ვიღებდი, თუ როგორ მოდიოდა ბეტეერების კოლონა ქალაქისაკენ. ამასთანავე, სხვა მრავალი საინტერესო კადრიც იყო დაფიქსირებული.

დღესაც მაგონდება ის ავადსახსენებელი დღე, როგორ ინვოდა ერთი თვის მონაპოვარი ფოტოკადრები და ვიდეომასალა“.

1993 წლის ივლისში ქ. ზუგდიდში მუშაობა დაიწყო სახელმწიფო რადიოსადგურმა „თავისუფალი საქართველო“. რადიოსადგურს ხელმძღვანელობდა ანზორ გვარამია.

1993 წლის დასაწყისში, უმოკლეს დროში, შეიქმნა საქართველოს დაუმორჩილებლობის კომიტეტის ტელეარხი „თავისუფალი საქართველო“. საინფორმაციო ვაკუუმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია დაუმორჩილებლობის კომიტეტის ამ ტელეარხმა. მისი მეშვეობით მიეწოდებოდა ინფორმაცია სამეგრელოს მოსახლეობას. ტელევიზიას ხელმძღვანელობდა ედემ კვირტია, საინფორმაციო გადაცემები მიჰყავდა

მარინე კაჭარავას, შემდეგ კი – დავით სოკოლოვს. ტელევიზიის მუშაობაში აქტიურად თანამშრომლობდნენ: რენე კალანდია, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები: ირინე ტალიაშვილი და გურამ პეტრიაშვილი. ოპერატორები: ბადრი მაქაცარია, რეზო ჯიქია, რევაზ (ჭურა) ქარჩავა, მურმან ქაჯაია. რეზო არა მხოლოდ ოპერატორი იყო, არამედ იგი იყო ტელევიზიის ხერხემალი. მან ააწყო და მოაწესრიგა ტელევიზიის ტექნიკური მხარე. მაშინ, როდესაც მხედრონი დათარეშობდა ზუგდიდში, იგი სპეციალური აპარატით სხვადასხვა ადგილიდან გადასცემდა ინფორმაციებს. მხედრონელები მთელ ქალაქში დაეძებდნენ სასიგნალო ტექნიკასა და იმ ოჯახებს, საიდანაც გადაიცემოდა ინფორმაცია, მაგრამ, ამოდ. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არავინ გასცა ისინი, რაც მეტყველებს ზუგდიდელთა ერთიანობაზე. გარკვეული დროის შემდეგ რეზო ჯიქია საკუთარ სახლში აიყვანეს მხედრონელებმა, რომელთაც ქუთაისელი ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობდა და ქუთაისის აეროდრომამდე ერთ-ერთ ავტოგაჩერებასთან შენობის კედელზე მიაყენეს ანრიდ სანაიასა და რობერტ ზარქუასთან ერთად, სამივე ფეხებში ტყვიით დაჭრეს. დაჭრილები 10 დღე ჰყავდათ ქუთაისის პოლიციის სამმართველოში, რამაც გააუარესა მათი ჯანმრთელობა და იძულებული გახდნენ, თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ, სადაც 25 დღე იმყოფებოდნენ.

ამ საქმეში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მურმან ქაჯაიას. მას ჰქონდა სპეციალური აპარატი, რომელიც გარკვეულ რადიუსში გამორთავდა საქართველოს ტელევიზიას და ჩართავდა ზუგდიდის ტელევიზიის გადაცემებს. მისი მხრივ, ეს გაბედული მოქმედება იყო.

დასაფასებელია ბადრი მაქაცარიას ღვაწლი ეროვნულ მოძრაობაში. ის 1990 წელს ქ. ზუგდიდის ბატალიონს გაჰყვა სამაჩაბლოში. ბრძოლის ამსახველ ვიდეომასალებს საქართველოს ტელევიზიას აწვდიდა. 1991 წლის ოქტომბრიდან აფიქსირებს ყველა მოვლენას, რასაც პუტჩისტები სჩადიოდნენ და ტელევიზიისთვის პირადად აწვდიდა ცნობილ დიქტორს, ბატონ დავით სოკოლოვს. ასევე გადაღებული აქვს 1992 წლის 20 იანვრიდან 1993 წლამდე ყველა მოვლენა: მიტინგები, გაფიცვები, დაუმორჩილებლობის კომიტეტის საქმიანობა... მშვიდობიანი მიტინგების დარბევა, მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა...

მისი თავდაუზოგავი მუშაობიდან გამომდინარე, 1992 წლის დეკემბერში გროზნოდან პირადად ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა დასავლეთ საქართველოს ფოტოკორესპონდენტად და ტელეოპერატორად.

ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ტელევიზიამ „თავისუფალი საქართველო“, გაზეთებმა: „ჯვარცმული საქართველო“, „აღდგომა“, „მესიის მახვილი“ და სხვა მედიასაშუალებებმა, ეროვნული ცნობიერებით მოაზროვნე ჟურნალისტებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. ისინი იბრძოდნენ იმ იარაღით, რასაც თავისუფალი და მართალი სიტყვა ჰქვია. მათ მიერ დაფიქსირებული ყოველი ფაქტი, კადრი ისტორიამ შემოინახა და დრო შეაფასებს.

ზუგდიდში სახელისუფლებო ბეჭდვითი ორგანო ზუგდიდის გამგებლის ედიშერ ჩარგაზიას ბრძანების საფუძველზე 1994 წლის პირველ იანვარს აღდგა გაზეთ „ოდიშის“ სახელწოდებით.

გაზეთის რედაქტორი აკაკი ჭანტურია (1929-2015 წწ.) თანამდებობიდან გადადგა იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა გაეთავისუფლებინა მის მიერ აღზრდილი კოლეგები.

ჟურნალისტები: ჯამბულ არქანია, ზურაბ ცხონდია (1937-2017 წწ.), ლალა ნარმანია (1954-2002 წწ.) შემდგომ მაინც დაითხოვეს.

იმისათვის, რათა ჩვენმა მომავალმა თაობამ იცოდეს, პუტჩისტები როგორ ნათლავდნენ ეროვნულ მოძრაობას და თავდადებულ მამულიშვილებს, მაგალითად მოვიყვან ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებლის ედიშერ ჩარგაზიას მიერ ქ. ზუგდიდის გაზეთ „ოდიშის“ 1994 წლის 11 თებერვლის №6(10639)-ში განთავსებული წერილის „ვინც გულწრფელად მოინანიებს...“ ამონარიდს: „... ჩვენ, ქართველებმა, ვერ გამოვიჩინეთ სიფხიზლე, მიუტევებელი შეცდომა და ვუშვიტით და რესპუბლიკის ხელმძღვანელად ავირჩიეთ კაცი, ...ავანტიურისტი და პროვინციელი ფაშიზმის მეთაური. მან და მისმა გარემოცვამ, უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებიც შეუზღუდავი ხელისუფლების უსაზღვრო მოყვარულნი აღმოჩნდნენ, თბილისში და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში ჩაიდინეს დივერსიული და ტერორისტული აქტები, რასაც შედეგად მოჰყვა უდანაშაულო ადამიანთა აუნაზღაურებელი მსხვერპლი.

ისტორიაში შავ ლაქად დარჩება ქ. ზუგდიდში პრეზიდენტყოფილის და მისი დამქაშების, თვითმარქვია ხელისუფლების ორთვიანი არსებობა, რომელიც ყვარყვარიზმის აპოგეას წარმოადგენდა.

ამრიგად, გამოიკვეთა საქართველოს მოღალატეთა და სავარძლების დასაუფლებლად ქვეყნის მაოხრებელთა ნამდვილი სახე. საზოგადოების ასეთ ნაძირლებს შექსპირი ჭინკებს უწოდებდა, ხოლო რუსთაველი – ქაჯებს. ისინი, როგორც უმეცარნი, ადვილად აიყოლია კვაზიინ-

ტელიგენციის წარმომადგენლებმა; მათ, ხალხით შეიარაღებულებმა, გამართეს სისხლიანი დოღი სრულიად საქართველოში, განსაკუთრებით კი – დასავლეთ საქართველოში...

... სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1993 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, „რაიონების გამგეობის თავმჯდომარეებისათვის დროებით საგანგებო უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ“, დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლდნენ: განათლების განყოფილების გამგე ლუარა კვიციანი, ხორცკომბინატის დირექტორი მამუკა ნარმანია, ჩაის მეორე ფაბრიკის დირექტორი ნოდარ ნადარეიშვილი, კულტურის განყოფილების გამგე მათა კალანდია, მესამე საშუალო სკოლის დირექტორი ნანა ფიფია, მეშვიდე საშუალო სკოლის დირექტორი არისტო თოლორაია, ახალსოფლის გამგებელი ფრიდონ ქადარია, გაზეთ „ოდიშის“ რედაქტორის მოადგილე ზურაბ ცხონდია, განათლების განყოფილების ინსპექტორი თენგიზ ესებუა, ბინსოცბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველი თ. ნადარაია, განათლების განყოფილების მეთოდისტი ნ. კურტანიძე, ახალსოფლის ჩაის ფაბრიკის დირექტორი თ. ქებურია, ჭკადუაშის გამგებლის მოადგილე გოგი შონია, თითქმის ყველა სოფლის გამგებელი, საკრებულოთა თავკაცი, რომლებიც აქტიურად თანაუგრძნობდნენ ქვეყნის გაჩანაგებისა და ნგრევის კურსს. ზოგიერთნი თვითდამშვიდებას მიეცნენ, გულგრილად მოეკიდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ვერ აუნყვეს ფეხი ახალ მოთხოვნებს და კანონის დარღვევაც დაუშვეს. ამიტომ გათავისუფლდნენ თანამდებობიდან: ნარაზენის მეურნეობის დირექტორი ბ. ლომია, მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი რ. ბუსქანიძე, ტრესტ „ზუგდიდგაზის“ მმართველი ლ. ჭანია, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. ხუფენია. სხვები პირადი განცხადებით გაეცალნენ თანამდებობებს, როცა დარწმუნდნენ, რომ ვერ იმუშავებდნენ ვითარების შესაფერისად...

ვაფრთხილებ ყველას: ეს პროცესი არ დამთავრებულა...

დროა, გონს მოეგოთ, პრეზიდენტყოფილის შემორჩენილო დამქაშებო!“

ედიშერ ჩარგაზიამ ეს არ იკმარა და იმავე გაზეთ „ოდიშის“ 1994 წლის 13 მაისის № 19-ში ბეჭდავს კიდევ უფრო ამაზრზენ წერილს „აი, ვის არ უნდა ჩვენი წინსვლა!“ მოგვყავს ამონარიდი:

„ზვიადიზმის ნაშთები ზუგდიდში ჯერ კიდევ დაუმარცხებლად გრძნობენ თავს. გარკვეულ აქტიურობასაც კი იჩენენ, რაც სალად მოაზროვნე საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. ეტყობა, ეს იმის შედეგია, რომ შენელდა ბრძოლა მათ

ნინალმდეგ, განსაკუთრებით, იდეოლოგიურ ფრონტზე.

ზვიადიზმის უკურნებელი სენით დაავადებულები ზვიადიზმის იდეოლოგიას ქადაგებენ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, უსაქმურთა ბირჟაზე დღესაც, მაშინ, როცა ამ იდეოლოგიისგან იღუპება ერი. ზვიადიზმის იდეოლოგია უნდა აღმოიფხვრას, რათა აღიზარდოს ჯანსაღი მომავალი თაობა, ყველამ ერთმნიშვნელოვნად უნდა იცოდეს, თუ რა არის ზვიადიზმი.

ზვიადიზმი – უპირველეს ყოვლისა, ეს არის თავზე ხელაღებულით კარიერიზმი, რომელიც არ ინდობს საკუთარ შვილსაც კი... აგრესიული ნაციონალიზმის ნაირსახეობაა, სიკეთის კეთების დაუნახველობაა.

ზვიადიზმის ფილოსოფიაა უმეცართა და უგუნურთა აღზევება, დამნაშავეთა და ზნედაცემულთა შემოკრება, მათი ძალაუფლება და იარაღის მეშვეობით გაბატონება ინტელექტუალურ საზოგადოებაზე.

ზვიადიზმის სტრატეგიაა ცილისწამებით და ქორებით, ბარბაროსული ძალადობით გაუსწორდეს სხვანაირად მოაზროვნეებს... გააღვივოს საყოველთაო სიძულვილის ატმოსფერო... გათიშოს საზოგადოება, ხალხი ხალხს დაუპირისპიროს... ამით შექმნას ანარქია და ქაოსი საზოგადოებაში, შემდეგ კი იქადაგოს თავისი ნება-სურვილი და პირად ამბიციებს შესწიროს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები. ყოველივე ეს კი ბრძნულის და ისტორიულად დადასტურებულის ფალსიფიკაციაა.

ზვიადიზმი – ეს ეროვნულ დროშას ამოფარებული არა მარტო პროვინციული ფაშიზმია, არამედ შიზოფაშიზმიცაა... პათოლოგიური სიძულვილიცაა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებისადმი. ის ადამიანის სულისა და ქრისტიანული მოძღვრების სიმახინჯეა, რომელიც ეყრდნობა მედროვეებს, ორპირებს, უსაქმურებს, დემაგო-

გებს, კარვის უზნეო დაქირავებულ დიაცებს, საზოგადოების ნაძირლებს – ჭინკებს და ქაჯებს...

ზვიადიზმის იდეოლოგებმა დოკვაძე, შურლაია, ქობალია და ძმანი მისნი გამოიყენეს საკუთარი სამშობლოს გასანადგურებლად და დასანგრევად, ახალგაზრდის ფსიქიკის დასამახინჯებლად, ხოლო შემდგომ მიატოვეს ისინი ტყე-ღრეში უპატრონოდ. ეს არის ზვიადიზმის, იგივე, თანამედროვე ყვარყვარიზმის აპოგეა...

ზვიადიზმი საშინელი, გადამდები, თითქმის უკურნებელი ვირუსული პოლიტიკური ავადმყოფობაა. ის შეიძლება დაემართოს ყველას: დიპლომატსა და უდიპლომოს, მეცნიერსა და უმეცარს, მაგრამ ყველაზე უფრო კარიერისტებში, უგუნურებსა და ხელისუფლების მოყვარულებში ვრცელდება...

ზვიადიზმი პროგრესული კაცობრიობისაგან განზე გადგომა და თვითიზოლირებაა, საყოველთაოდ აღიარებული ცივილიზაციისთვის ზურგის შექცევაა...

ზვიადიზმი ერის მთლიანობის გახლეჩაა, სამეგრელოს არარსებული სეპარატიზმის გაღვივების დემაგოგიური პროპაგანდაა. ის ჩვენი ერის ისტორიის გაყალბებაა.

დღეს ზვიადიზმი ორ სკამზე ჯდომასაც ნიშნავს. თითოეული ამ ჰიპოთეზის დადასტურება კონკრეტული მაგალითებით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუმცა დღეს კონკრეტული მაგალითებისაგან თავს ვიკავებთ.

აი, ეს არის ზვიადიზმი!..“

P. S. აი, ასე წერდნენ უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარ შემოქმედზე, საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის ერთგულ, ეროვნული ინტერესების დამცველ ადამიანებზე...

თორნიკე ქავშავაია

თავაზვეულობა

1. ჭანჭრობის გომბეშო და ჭკუაგაასტრალეზული მორიელი

აპოკალიფსურ აღძვრით მოსწრაფე
 ჭანჭრობის გომბეშო და
 ჭკუაგაასტრალეზული
 მორიელი, ანუ ქვეშევეშა,
 გარემოს დამამძიმებელ
 ავდროვან სთვლობას
 არც კი ამჩნევენ.
 მათ ხედვიდან გამორჩათ ის ცხად-მალღიერი,
 რომელიც სააშკარაოდ არ ჩანს,
 რომელიც მხოლოდ გაბერძნებულ
 ორთოდოქსთა გონჭვრეტის
 ძველისძველ პლანტაციასში გადარჩა.
 მაშინ, როდესაც, საქვეყნოდ ფეიერვერკობს
 მუცლის ძლომის ლიტერატურა,
 სარგოიან პოზიციებზე შემდგარი,
 ეს ორი ანტიგალურჯება-ანტიმშვენიება,
 ეს ორი ურთიერთმონინაალმდეგე
 და ამავე დროს, საიდუმლო პარტნიორი,
 მე „რალაცის“ ფსკერზე მტოვებენ,
 რომლის შორეულ ნაწილში სულუმშვიდები შედასებით ჩანან,
 რუსეთის იმპერიის სახელით მოკლულები
 და ევროპული საქართველოს სახელით მოკლულები,
 სადაც წყლის ძნელად-ძნელ სულამწვანებას
 ჩვენს შეგნებაში ჯერარნახული მინისაკებნები ძოვენ,
 სადაც რტოებდამტვრეულ მარადმწვანე
 სეკვოიას ფორმის მიკროორგანიზმები
 უკიდვანო შრემრავლად გამოხატულან...
 ან, გაჰგემონებულებს,
 ჩემი იდეურ-სარწმუნოებრივი უფლება
 მაშინ უნდათ აღიარონ,
 როცა ჩემი ცალპირალესილი მახვილი
 პოლიტიკური პოლიციის სახით მოვლენილ,
 ახალი ბაბილონის
 ყურმოჭრილ პლებსად ამირეკლავს.
 როცა მე სიბრძნე-უმეცრების უბოროტესი სინთეზი მძღვეს და
 ჩემი ქრისტიანულ-ნარმართული გამომეტყველება
 ხელოვნური სიმშვიდის სამრეკლოდან დარეკავს:
 „ამბოხ-ცდომის უსიერიდან გამოვალნიე“.
 მე მოძალებულ მენელთბილობის მიუხედავად,
 უსახელო, მნიშვნელობაარმოცემულ ფსკერზე ვერ დავრჩები,
 რადგან სამყაროს ბრუნვადობის საღვთო მონაკვეთს
 მე ერთხელ უკვე მაგრად ჩავეჭიდე.
 მე იოანე ღვთისმეტყველის მონინასწარმეტყველე სუნთქვა,
 „დიდი ჭირის“ აღსასრულთან რომ მათბობდა, ის მახსოვს.

2) ფსიქომახვილი. დამრიგებლური მიმართვა ტიბუს

საექსორიო ფსიქომახვილით ფრიად
 საგრძნობია ჩვენზე ზენოლა, ტიბუ!
 (თავი ქუდში აქვთ მხოლოდ ძველ და ახალ ინკუბატორებში

დაფრთიანებულ პოეტებს, ტიბუ!)
თანამედროვე სახის საექსორიო ფსიქომახვილი,
ეს არის ბოლომდე აუნერელი შერცხვენა-უმართებულობა.
და არაკრძალულობის სხივმეტობა.
ენეასური რომიდან დღემდე.
ასეთ სიმუხთლეს ვერ იხსენებს,
ფსევდოთანასწორობაში აყვანილი,
ჩვენი რეალფოთლოვანი და
სიურრეალფოთლოვანი სამყარო.
ტიბუ!
ეს სუპერჩეკისტური სავენახე,
რომელმაც ვერ აღკვეთა
თავისი ბოროტექსპერიმენტული ბუნება,
კი იწოდება სახელმწიფოდ,
მაგრამ ის უსაშინლეს ზეულრუბლობას იხატავს სულში.
დაუშვებელია უსაშინლესი ზეულრუბლობა.
ჩვენ გვაძრწუნებს მაღალი ანტიზეციერის ჟღალი ცა –
სიტყვასექსის ხელოვნებით დაშვებული წვდომა.
აკი შესაძლებელარს, რაღაც მანქანებით,
უნიკალური აღმოჩენა: „წყალთა დაღვრის, წყალთა აკამკამების დრო“,
საამკარაოდ,
თვალმიუნვდომელ სიმაღლეზე აფრენილ
რობოტ-ძერაბოტისგან რომ განხორციელდეს,
რაც იქნება თავისუფლად
მიჩნეულ სულთა
სუპერმოხიბვლის იარაღი.
ძმაო, ტიბუ! შენ შენს დაუმორჩილებელ ხმას თუ არ ააბგერებ,
მხდალ-განდგომილის თავდახრით, არ იპირუტყვო მაინც.
ეს არ იქნება შენი კეთილადამიანად დარჩენის წინაპირობა,
რადგან თავდაუცველებს, მბრძანებელი წითლების შემდგომაც კი,
ამბოხაურიდებელ ფსიქომახვილით თრგუნავენ.
ყველგან, მდიდარი სისტემურ-პროგრამული ფსიქომაქინაციების გამოყენებით,
მათ არ ინდობენ.
„გიყვარდეს მოყვასი შენი“ – ამას მარტო უუფლებო ტანჯულებს თხოვენ.
არადა რა ძნელია სიყვარულის ასეთი ცალმხრივობა.
არადა რა ბნელნათელია, უსუსური ცოდვილის ცალმხრივი სიყვარული.
ის, თვისტ-ათვისტ ღვთისუშიშთა უკიდურესობების ტრაგედიულ განედზე,
უნაყოფო ხეარარასთან ერთად, მარადიულ სალხინებელს,
წითლად-თეთრად-შავად-ლურჯად (4 რასობრივად)
გაუმრავალწერტილდა...
ხედავ, რა დამართეს ფსიქომახვილით ქვეყანას, ტიბუ!
შენ იმ ვეება დარბაზის სცენისკენ გულუბრყვილოდ, ხმელეთის
ზღაპრულ-ანომალიურ თევზივით არ გაიხედო,
სადაც ჩვეულებისამებრ სიტყვამთავრობს
უფლებამისჯილი კომუნარის ბადიში,
რომელმაც შვა
უმნიფარი ერისკაცებისთვის განკუთვნილი
სახალისო ლიტერატურა.
ის თავის უშუალობით, უკვე დიდი ხანია, რაც
წმინდანობადაბრალეულ
სახალხო-ეროვნულ სულისკვეთებით მოღვაწე
წინამორბედებს წარემატა.
მას ცხოველურმა მოთხოვნილებამ შერთო
მუზაათვისტურ კერპსიახლის გონებრივი ამინდი,
რაც არ არის რომის ოქტავიანუსური ეპოქის ჰორაციუსობა.
რაც არის ცისფერუკანალიანი სათაელის ხელმოსათბობ
სამსახურში ნებაყოფილებითი ჩადგომა.

სიკვდილის პირველი წუთებიდან დასრულებული
 თავაშვებულობა, რაც ნიშნავს, –
 მას მადლიანმა დედაბუნებამ,
 სამეუფო ზარების რეკვით,
 არაერთხელ მიანიშნა,
 მაგრამ სულ ამაოდ...
 ისე ჩანს, ჩვენი საპირისპირო მიზანმიმართებაც
 მხოლოდ იდეური მიდგომით აღძრული
 ხიბლ-მდინარეებაა, ტიბუ.
 ჩემი პოეტობა, – ჩემი საბედისწერო თავგანწირვა,
 ჯერ კიდევ ადგას ტრაგედიული გენიოსებით გაღანდებულ თემშარას
 და არის ამაო გარჯილობის ზეინსპირატორისაგან შეუწყნარებელი.
 ვეცადოთ, ყველა ჩვენი წინდაუხედაობის კათხა,
 ერთიანი დაქცევით არ დაიქცეს და არ დაიღვაროს
 დიდი „გაუმდინარი დაშრეტის“ არსმცნება...
 ვისურვოთ ღვთისთვის მეტრძოლი ჭირთათმენა, ტიბუ!...

3) დადგა სარიდალი ზამთარი

თიხის ვნებაცეცხლოვან ნაპერწკლებსგან
 სულის სინმინდის ხელყოფა,
 ამყამად, ეს არის ღმერთუარყოფილ სანაპიროზე
 სიურრეალური სახის ზვირთმობჯენა
 და ფერლურჯი გახრწნილობის ინსპირატორი
 გამხოლოდმობილება.
 ცოდვის უწყვეტობა და მყობადის კეთილნებლობითი განზრახვა,
 საურთიერთობოდ ვერანაირ
 ექსპრესახურებას ვერ
 იშუამდგომლებენ.
 თვალსანიერზე, მალლა,
 თეთრწიული მოვლენა-ასხივების მრავალწერტილი
 და ზღვის ბატქათამა,
 ჩვენს მშობლიურ სამოსახლოში, ენერგეტიკული
 ლივლივით გვენვიაო, ამბობენ.
 ყოველი ხილულის წინაშე
 ჩვენს უკიდურეს უალრესობას სწუხანო, არ ამბობენ.
 მაგრამ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი სწუხან.
 ჩვენი გონხედვა-ფილოსოფიის უმდგრადი კიდეგანი
 აღმოჩნდა მათი მნიშვნელობამიცემულ
 არსმატერიულობის
 საპრობლემო არე.
 ფუჭმშვენიერების მიშტერებით,
 ფლორა-ფაუნის სამყაროს ხელებით ქმნილთა,
 გაამაოებული თვალები,
 შეიძლება კი ჩვენს ამაღლებულ
 არსებობას ახლოსაც
 რომ არ ეთვალეზოდეს?
 ჩვენი სინანული დაემსგავსა
 ულტრარადიკალური იდეოლოგიის
 წარწყმედაუგრძნობ პოეტობას.
 გარდასული საუკუნის უსირცხვილოები
 და ამიერთგან, დლეკეთილობის ნიშნით აღძრული
 უმნიკვლოებად ცნობილები,
 ერთსულ-დაუნმენდავში გათანაზომიერდნენ.
 ტირანოზავრი –

ასტრალმოახლოებულ ძეხორციელთა სარიდალი
ზამთარი,
მგზავრობს და მაინცდამაინც,
ჩემს მითქმა-მოთქმით გაბედნიერებულ მუზას
დათოვლილი მწვერვალის პირისახესავით ეზურგება...

4) არაბუნებრივი გაბრწყინების დანაშაული

კენწერო აშრიალების მაღალ არეში მოქცეული,
მასშტაბშემცნობლად მიღებული
და შორიდან შორეთში მოქანავე გრილოებით გახიდული,
ეს ჩვენი მზერა-ხე ფხიზლობს და,
დაკვირვებით, ჰა, რას ეცნობა:
არაბუნებრივი გაბრწყინების არსებობა-განსაზღვრაში შესული
მრწამს-ტაროსები
ძეხორციელის სულგამავერანებელ
ბოროტებად გადაიქცა.
ჩვენი მზერა-ხე
კანონზომიერებიდან გადახვევით გაორდა,
მერე ანგელოსის ჯიბრზე გასამდა და
გარეუხილავისგან შეძენილი თვალგანჭვრეტით,
თითქმის გადემონდა.
ყველა მძიმედ განწონასწორებული
იერნაცვალი რამ
მე იმით მანუგეშებს,
რომ ეს ყველაფერი არაბუნებრივი გაბრწყინების სამხილად გამოდგება.
შენ ამბობ:
„დღემდე, გაორების გარეშე, ვერაფერმა ვერ იარსება!..“
შენი ფილოსოფიური „უმოქმედობის“ მისამხრობი თქმა,
გათანამედროებულ
ბრძნობის კარებთან, საუნყებო
ასტრალზარივით ახმოვანდა
(ძველი ბრძნობა, ფარვანული ვითარების
რკალ-სალტეში მოექცა,
თიხა-მტვრად გარდაიქმნა და შეყვითლებული
ღვარძლის სამზერიდან იკითხება.)
ფერ-უფერობის დამქანცველი ასპარეზი
ისეთია, როგორც თეთრად დაუსრულებელი ზამთარი
და არა ისეთი, როგორც დიდი ხნით ნაზამთრალი,
მაგრამ სასონარუკვეთელი ანეული.
ხმელეთმა შეიხვედრა ზღვა, ტევრმა – საფლობი.
არაბუნებრივი გაბრწყინების ცოდვა-სიავემ, -
ენტელსულიანი
რეპტილოიდ-ნეფელიმი.
ერთადერთმა, კეთილმონყალე
გარეუკიდეგანობამ,
თავის არს-დარბაზში, უდიდესი
გრილთვალშეპარული ცა შეითავსა.
უახლოესი ზეჰაერცვალებადობა და
უსავანო ჰედუსი,¹
ამჯერად, ჩვენთვის სამართლიანი მალვით, ცეცხლოვანი
ქარიშხლების დაქროლებას წინასწარმაუნყებლობენ.

2018

¹ ჰედუსი (ლათ.) – ქარიშხლის მომასწავებელი თანავარსკვლავედი.

ჩარლზ ბუკოვსკი (აშშ) თარგმნა თორნიკე ქავუბაიაშ

ჰეგასი

იქით, გაყინული ხე რომ დგას, იგი
 მსურდა დამეხატა,
 მაგრამ უცებ ჩამოცვივდნენ ყუმბარები,
 როცა მზეერას გამოუჩნდა მწვანე
 ვეგასური ტენტი,
 საათის ოთხზე, დილაუთენია,
 „ატლანტიკ მანსლის“ ნომრის გარეშე,
 მე სიკვდილი დავაპირე.
 ფანჯრები ნამოიყვირებდნენ ხოლმე,
 როგორც ბომბდაშენილი
 მილანის ატირებული მტრედები.
 მე საცხოვრებლად თავგებთან გადავედი.
 აქ ისტორიული ხანძრის მეტისმეტი სიმკვეთრე
 მაინც აღწევდა.
 მე ვიაზრე, ალბათ უკეთესი იქნება, დავბრუნდე
 და პოეტურ სემინარებს დავესწრო.

მბრწყინავი გაზელების აღწერა რაცაა,
 ეშმაკმა უწყის. ჩემს ფანჯარაზე ბუზი
 ისეა მიწებებული, როგორცა ფვარცმა.
 ვიგრძენი, მშობელი დედის ჩასუნთქვა – ამოქაქანებით,
 ჩემი თვითშეგნების ფოთოლი
 ოდნავ რომ შეირხა.

მე, გამჭოლი ღრუბლებით ნაბახუსევი,
 ავტოსტოპით ლოს-ანჯელესის გზას დავადექი.
 მე ჯიბიდან ამოვიღე წერილი., ხმამალა ნავიკითხე.
 რა არის ესო, – მძლოლი მეკითხება.
 მე ვპასუხობ: არაფერი ისეთი, ერთი ჩრდილოელი
 გოგონა, რომელსაც პაუნდთან ერთად ეძინა,
 თავდაჯერებული მიმტკიცებს, რომ ჩვენი
 საუკეთესო პოეტი გახლდათ ქალბატონი ჰ.დ.
 ხოლო ამ ჰილდამ ჩვენ გვიძღვნა მხოლოდ რამოდენიმე
 ვარდსახოვანი ბერძნული ღმერთი.
 მისი წაკითხვის დღიდან, ას ორმოცი ლოლუა
 მეკვრის და მტეხავს შიგ ძვლებში.
 ლოს-ანჯელესამდე სანამ ჩავიდოდეთ, მანქანა უნდა მოვატრიალო,
 ამბობს მოულოდნელად მძლოლი.
